

ISSN 1987-5789

**ეკონომიკა და ბიზნესი**  
**ECONOMICS AND BUSINESS**  
**ЭКОНОМИКА И БИЗНЕС**

**3**

ტომი ✧ Volume ✧ Том

VIII

№3, 2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და  
რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and Practical Journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Реферируемый и рецензируемый международный научно-практический журнал  
факультета экономики и бизнеса Тбилисского государственного университета  
им. Иванэ Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,  
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January 2008 once in two months,  
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,  
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.  
e-mail: ebf.journal@tsu.ge  
lia\_lugela@mail.ru

## სარედაქციო კოლეგია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია (*მთავარი რედაქტორი*), თამაზ ზუბიაშვილი (*პასუხისმგებელი მდივანი*), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ქეთევან მარშავა, მურთაზ მალრაძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), ავთანდილ სილაგაძე (*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი*), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღალანაძე, თეიმურაზ შენგელია, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

## EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, Giorgi Ghaghanidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia (*Editor-in-Chief*), Tamaz Zubiashvili (*Executive Secretary*), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Ketevan Marshava, Murtaz Maghradze, Iakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Davit Narmania, Vladimer Papava (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Avtandil Silagadze (*Academician of the National Academy of Sciences of Georgia*), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharaishvili.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Теймураз Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Реваз Гогохия (*главный редактор*), Тамаз Зубиашвили (*ответственный секретарь*), Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Кетеван Маршава, Елгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Владимир Папавა (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Автандил Силагадзе (*Академик Национальной Академии Наук Грузии*), Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Нодар Хадური, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

## სარედაქციო კოლეგიის უსსრელი წევრები

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი; ოლეგ კარასევი – ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; გრაჟინა კარმოსკა – დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ფინანსებისა და სისტემური ანალიზის კათედრა, პროფესორი (ქ. შჩეცინი, პოლონეთი); იან მიხალეკი – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; დიმიტრი სოროკინი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ვიტალი ტამბოვცევი - მიხეილ ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის ინსტიტუციური ანალიზის ლაბორატორიის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი; ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

## FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD

*Wolfgang Weng - Berlin University, Professor; Oleg Karasev - Lomonosov Moscow State University, Chair of the Department of Statistics, Doctor of Economic Sciences, Professor; Grazyna Karmowska, Faculty of Economics, West Pomerania University of Technology in Szczecin, Professor (Poland); Jan Mikhalek - University of Warsaw, Dean of the Faculty of Economics, Doctor of Economic Sciences, Professor; Dmitry Sorokin - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor; Vitaly Tambovtsev - head of the Laboratory for Institutional Analysis of Economic Faculty of Lomonosow Moscow State University, Doctor of Economic Sciences, Professor; Toomas Haldma - Tartu University, Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.*

## ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ

*Вольфганг Венг - профессор Берлинского Университета; Олег Карасев - зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор; Гражина Кармовска, Экономический фак. Технологического Университета Западного Померания, профессор, Шчецин (Польша); Ян Михалек - декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор; Дмитрий Сорокин - член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор; Виталий Тамбовцев - Заведующий Лабораторией институционального анализа Экономического факультета Московского Государственного Университета им. Ломоносова, д. э. н., профессор; Томас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса университета Тарту, профессор.*

# ს ა რ ჩ ე ბ ა

## აქონების მფლობელები და აქონების პოლიტიკა

<b>გიორგი ცაავა.</b> ირვინგ ფიშერის „ფულის მასის გაანგარიშების ფორმულის“ კორექტივის მიზანშეწონილობის შესახებ.....	9
<b>მანანა ხარხელი.</b> პიროვნება, როგორც დროის ორგანიზაციის სუბიექტი .....	25

## მიკროეკონომიკა ✦ მაკროეკონომიკა ✦ ეკონომეტრიკა

<b>იოსებ ხელაშვილი.</b> უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტი: აქტუალურობა საქართველოსთვის.....	35
<b>ლია ჩარეჩიშვილი.</b> ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, როგორც სამართლებრივი სტატისტიკის ახალი მიმართულება .....	58
<b>ელენე პილიპენკო.</b> ეკონომიკა ბუნება - საზოგადოება - ადამიანის ერთიან სისტემაში (რუსულ ენაზე).....	68
<b>თენგიზ ვერულავა, ნინო სიბაშვილი.</b> ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისის ფინანსური უზრუნველყოფა საქართველოში.....	78

## მენეჯმენტი ✦ მარკეტინგი ✦ ტურიზმი

<b>გიორგი ლალანიძე.</b> საექსპორტო პოტენციალი და კონკურენტული უპირატესობა .....	91
<b>რუსუდან სირბილაძე.</b> ტურიზმის განვითარება საქართველოში უმუშევრობის შემცირების ასპექტით .....	100
<b>კარინა ნაზაროვა.</b> შიგა და გარე აუდიტის ადაპტაციის პრობლემა უკრაინის პრაქტიკაში (ინგლისურ ენაზე).....	114
<b>იზოლდა ჭილაძე.</b> სანარმოს საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის სრულყოფა .....	127
<b>ქრისტინე ოდიშვილი.</b> ადამიანთა რესურსების მნიშვნელობა ინოვაციური კომპანიების ფორმირებაში .....	143

## ანალიტიკური ინფორმაცია

<b>შორენა ფარჯიანი.</b> საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: სტატისტიკური მიმოხილვა .....	151
<b>ვევენია გეორგიცა, დიანა გროსუ.</b> მოლდოვას რესპუბლიკისა და საქართველოს ბიუჯეტების შედარებითი ანალიზი (ინგლისურ ენაზე) .....	163

**პრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

**გივი ბედიანაშვილი.** არაფორმალური ინსტიტუტების ფუნდამენტური  
გამოკვლევა(რუსულ ენაზე) ..... 172

**ჩვენს იუბილარში**

**იური ანანიაშვილი, ავთანდილ სილაგაძე.**  
პროფესორი ნუგზარ პაიჭაძე – 75 ..... 177  
**ნოდარ ხადური.** პროფესორი მირიან ტუხაშვილი – 70 ..... 180

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

<i>George Tsaava.</i> About the Reasonability for Adjustment of Irving Fisher's Formula Calculating Money Supply .....	9
<i>Manana Kharkheli.</i> Person as the Subject of Time Organization.....	25

### MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

<i>Ioseb Khelashvili.</i> Real Estate Investment Trust – An Opportunity for Georgia Georgia's Economic Reforms: Analysis, Challenges, Forecasts.....	35
<i>Lia Charekishvili.</i> Family Violence as a New Direction of Justice Statistics .....	58
<i>Elena Pilipenko.</i> Economics in the Unified System Nature-Society-Human (in Russian) .....	68
<i>Tengiz Verulava, Nino Sibashvili.</i> Financial Support for Mental Health Services in Georgia.....	78

### MANAGEMENT ✧ MARKETING ✧ TOURISM

<i>George Gaganidze.</i> Export Potential and Competitive Advantage .....	91
<i>Rusudan Sirbiladze.</i> Tourism Development in the Context of Unemployment Reduction in Georgia .....	100
<i>Karina Nazarova.</i> The problems of External and Internal Audit Adaptation into Ukrainian Practice (in English).....	114
<i>Izolda Chiladze.</i> Improvement of the Enterprise's Operating Leverage Analysis .....	127
<i>Kristine Odishvili.</i> The Value of Human Resources in the Formation of Innovative Company.....	143

### ANALYTICAL INFORMATION

<i>Shorena Pharjiani.</i> The Foreign Direct Investment in Georgia: Statistical Review. ....	151
<i>Eugenia Gheorghita, Diana Grosu.</i> Republic of Moldova and Georgia – Brief Comparison of Their Budgets (in English) .....	163

### CRITICS AND BIBLIOGRAPHY

<i>Givi Bedianashvili.</i> Fundamental Research of Informal Institutions (in Russian) .....	172
---	-----

### CELEBRATING JUBILEE

<i>Iuri Ananiashvili, Avtandil Silagadze.</i> Professor Nugzar Paichadze – 75 .....	177
<i>Nodar Xaduri.</i> Professor Mirian Tukhashvili – 70 .....	180

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<i>Георгий Цаава.</i> О целесообразности внесения корректива в формулу Ирвинга Фишера расчёта денежной массы .....	9
<i>Манана Хархели.</i> Личность как субъект организации времени .....	25

### МИКРОЭКОНОМИКА ✧ МАКРОЭКОНОМИКА ✧ ЭКОНОМЕТРИКА

<i>Иосиф Хелашвили.</i> Инвестиционный траст недвижимого имущества: актуальность для Грузии .....	35
<i>Лия Чарекишвили.</i> Статистика семейного насилия как новое направление правовой статистики .....	58
<i>Елена Пилипенко.</i> Экономика в единой системе Природа- Общество- Человек (на русском языке).....	68
<i>Тенгиз Верулава, Нино Сабашвили.</i> Финансовое обеспечение сервиса психического здоровья в Грузии .....	78

### МЕНЕДЖМЕНТ ✧ МАРКЕТИНГ ✧ ТУРИЗМ

<i>Георгий Гаганидзе.</i> Экспортный потенциал и конкурентное преимущество .....	91
<i>Русудан Сирбиладзе.</i> Развития туризма в Грузии в аспекте сокращения безработицы .....	100
<i>Карина Назарова.</i> Проблемы адаптации внутреннего и внешнего аудита на украинской практике(на англ. языке).....	114
<i>Изольда Чиладзе.</i> Совершенствование операционного анализа леввериджа предприятия .....	127
<i>Кристина Одишвили.</i> Значение людских ресурсов при формировании инновационных компаний.....	143

### АНАЛИТИЧЕСКАЯ ИНФОРМАЦИЯ

<i>Шорена Парджиани.</i> Прямые иностранные инвестиций в Грузии: Статистический обзор .....	151
<i>Евгения Георгица, Диана Гросу.</i> Сравнительный анализ бюджетов Республики Молдова и Грузии (на англ. языке) .....	163

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

<i>Гиви Бедианашвили.</i> Фундаментальное исследование неформальных институтов (на рус. языке) .....	172
--	-----

### НАШИ ЮБИЛЯРЫ

<i>Юрий Ананиашвили.</i> Профессору Нугзару Пайчадзе – 75 .....	177
<i>Нодар Хадური.</i> Профессору Мириану Тухашвили – 70.....	180



## ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

---

### ირვინგ ფიშერის „ფულის მასის გაანგარიშების ფორმულის“ კორექტივის მიზანშეწონილობის შესახებ <sup>1</sup>

*ვიორჯი ცაავა*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი*

სტატიაში გაანალიზებულია ფულის თეორიების ევოლუცია, როგორცაა: ფულის ლითონური თეორია, სასაქონლო-ლითონური თეორია, ნომინალისტური თეორია, ი. ფიშერის რაოდენობრივი თეორია, კემბრიჯის სკოლის თეორია, ჯ. მ. კეინზის ფულის თეორია, კლასიკური მონეტარული თეორია, კ. მარქსის ფულის რაოდენობრივი თეორია. განხილულია საბანკო სისტემაში ფულადი რესურსის მულტიპლიცირებით ახალი უნაღდო ფულადი მასის შექმნის შესაძლებლობა და მისი გათვალისწინებით, ირვინგ ფიშერის მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაანგარიშების ცნობილი ფორმულის სრულყოფის ავტორისეული ვარიანტია შეთავაზებული.

**საკვანძო სიტყვები:** ფულის ღირებულება; ფულადი ნაკადი; სარეზერვო ფონდი; საპროცენტო განაკვეთი; ფულადი აქტივები; ფულადი ბაზარი; საბანკო კრედიტი.

### ფულადი თეორიების მოკლე მიმოხილვა

ეკონომიკის განვითარებაში ფულისა და ფულადი სისტემის როლის თაობაზე ფულის აღიარებული სხვადასხვა თეორია არსებობს. ფულის თეორიის ევოლუცია განვითარების ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებით განისაზღვრება და ყველა თეორია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში პრაქ-

---

<sup>1</sup> იბეჭდება საკითხის განხილვის წესით.

ტიკული რეკომენდაციების შემუშავებაზეა მიმართული. ესა თუ ის თეორია დასტურს ღებულობს და გარკვეული პერიოდი ბატონობს კიდევაც. თუმცა, თანამედროვე პირობებში ზოგიერთი მათგანი, პირიქით, რეალურად ვერ იმკვიდრებს ადგილს, რამდენადაც პრაქტიკა მათ ან არ ადასტურებს, ან გარკვეულ კორექტივებს მოითხოვს, ზოგიერთი კი, უბრალოდ, შეიძლება უარყოფილიც იქნეს.

ფული - რეალურად, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია, ეკონომიკის მუშაობის ხელშემწყობია და იგი წარმოების პროცესის ყველა სტადიაზე შემოსავლებისა და ხარჯების წრებრუნვის სასიცოცხლო ძალაა {1, გვ. 6-8}. ფულის ძირითადი ფუნქციებია: ღირებულების საზომი, მიმოქცევა საშუალება, გადახდის საშუალება, დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება, მსოფლიო ფული {1, გვ. 10-21; 10, გვ. 126-143}. თანამედროვე პირობებში ფული ასევე სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებსაც ასრულებს {უფრო დეტალურად იხ. 2, გვ. 239-243}.

თავდაპირველად ეკონომიკაში ფულისა და მისი როლის არსის გაგება უშუალოდ ლითონური ფულის მიმოქცევის პირობებში ყალიბდებოდა, რაც **ფულის ლითონური თეორიის ფორმირებით** გამოიხატა. აღნიშნული თეორიის ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად XIV საუკუნის ფრანგ მეცნიერ ნიკოლო ორეზმეს თვლიან. აღნიშნულმა თეორიამ შემდგომი განვითარება XVI-XVII სს. მიღო და საბოლოოდ **მერკანტილისტების ეკონომიკური სწავლების** ჩარჩოებში ჩამოყალიბდა.

მერკანტილისტების პირველი კრიტიკოსები გახდნენ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც მხარს **ფულის სასაქონლო-ლითონურ თეორიას (მეტალიზმს)** უჭერდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი ფულს უკვე სიმდიდრესთან კი არ აიგივებდნენ, არამედ პირიქით, ფულს, თავისი არსის მიხედვით, გაცვლის ტექნიკურ იარაღად მიიჩნევდნენ და ფულის ძირითად ფუნქციად მიმოქცევის საშუალებას თვლიდნენ. ჯ. კეინზი ფულის სახით განიხილავდა არა მარტო ლითონის ფულს, არამედ საკრედიტო ბუნების მქონე და მეურნეობაში ფართო გავრცელება მოპოვებულ, ემისიური ბანკის ბანკნოტებსაც ითვალისწინებდა.

**ფულის რაოდენობრივი თეორია** ეკონომიკური დოქტრინაა, რომელიც მიმოქცევაში ფულის რაოდენობას, საქონელთა ფასების დონესა და თვით ფულის ღირებულებას შორის დამოკიდებულებას განსაზღვრავს. მისი არსია ის, რომ მიმოქცევაში ფულის რაოდენობა საქონელთა ფასებისა და ფულის ღირებულების დონის პროპორციულად ცვლილების პირველმიზეზს წარმოადგენს. აღნიშნული დებულება თავიდან ლითონური ფულისადმი, ხოლო შემდეგ კი - ქალაქის ფულისადმისაც გამოიყენებოდა.

ფასების დონეს და თვით ფულის ღირებულებაზე ფულადი მასის ზემოქმედების პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალურობა ფულად-საკრედიტო მიმოქცევის განვითარებისას შეიძინა. თუ ლითონური ფულის მიმოქცევისას პირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი მოქმედებდა, ანგარიშსწორებების საკრედიტო ინსტრუმენტების (თამასუქების, ბანკნოტების, ჩეკების) გავრცელების პირობებში კი ფულადი მასის ფასებზე ზემოქმედება საალრიცხვო განაკვეთის დონით ხორციელდება. ფულადი მასის ირიბი ზემოქმედების მექანიზმი პირველად ინგლისელმა ეკონომისტმა გ. ტორნტონმა (1760-1815) აღწერა. აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ინგლისში ეკონომიკური აზროვნების ორ სკოლას - „ფულად“ და „საბანკოს“ შორის მწვავე კამათი გაიშალა. „ფულადი სკოლის“ მომხრეები (ლორდი ოვერსტონი, რ. ტორენსი) მეტისმეტ საკრედიტო ექსპანსიას უფრთხოდნენ და საკრედიტო ინსტრუმენტების ემისიაზე კონტროლის განხორციელებას თავაზობდნენ. „საბანკო სკოლის“ მომხრეები (ტ. ტუკი, ჯ. ფულარტონი) თვლიდნენ, რომ ბანკნოტები მეურნეობის დაკრედიტების კვალობაზე, ეკონომიკური ბრუნვის მოთხოვნების შესაბამისად გამოიშვება და ემისიურ ბანკში რეგულარულად ბრუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი რაოდენობა რეგულირდება ავტომატურად.

### **ი. ფიშერის როლი ფულის რაოდენობრივი თეორიის განვითარებაში**

ფულის რაოდენობრივი თეორიის შესაბამისად, მიმოქცევაში ფულის მოცულობის გაანგარიშების მრავალი და საინტერესო მათემატიკური ფორმულაა ცნობილი {1, გვ. 28-29; 3, გვ. 98-101; 5, გვ.68., 214}. XXI ს. 20-იანი წლების დასაწყისისათვის **ფულის რაოდენობრივი თეორია გაბატონდა და პოლიტიკური ეკონომიის ნეოკლასიკური მიმართულების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად იქცა**. ყველაზე დიდი პოპულარობა მოიპოვა მისმა ორმა ვარიანტმა - ტრანსაქციულმა და კემბრიჯულმა.

ტრანსაქციული ვარიანტი, ფულის თანამედროვე რაოდენობრივი თეორიის საფუძვლის სახით, ჩადებული იქნა ამერიკელი ეკონომისტისა და მათემატიკოსის ირვინგ ფიშერის (1867-1947) მიერ, რომელმაც 1911 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ფულის მყიდველობითი ძალა“. ი. ფიშერი შრომის ღირებულებას უარყოფდა და - „ფულის მყიდველობითი ძალიდან“ გამოდიოდა. იგი გამოყოფდა ფაქტორებს, რომლებზედაც „ფულის მყიდველობითი ძალა“ იყო დამოკიდებული: მიმოქცევაში ნაღდი ფულის რაოდენობა, ფულის მიმოქცევის სიჩქარე, ფასების საშუალოშენიშნული დონე, საქონლის რაოდენობა. მისი ვარიანტი დაფუძნებულია გარკვეულ პერიოდში საქონელგაცვლითი გარიგებების თანხის ორგვარად გამოსატყვავზე, ხოლო აღნიშნულ დამოკიდებულებას ასახავს „გაცვლის განტოლება“:

$$M \times V = P \times Q,$$

სადაც: **M** - ფულის რაოდენობაა,

**V** - ფულის მიმოქცევის საშუალო სიჩქარე,

**P** - საქონელის საშუალო ფასი,

**Q** - რეალიზებული საქონლის რაოდენობა.

ამასთან, ი. ფიშერს შეაქვს ზოგიერთი პირობითი დაშვება: იგი განხილვიდან გამორიცხავს საბანკო დეპოზიტებს და საჩეკო ბრუნვებს, ასევე ფულის მიმოქცევის სიჩქარესა და რეალიზებული საქონლის მოცულობას უცვლელ სიდიდეებად მიიჩნევს.

მოგვიანებით, აღნიშნული განტოლების სხვა ფორმით გამოსახვა დაინყეს, სადაც საერთო საქონელბრუნვის (**Q**) მაჩვენებელი (საშუალო ფასებით) შეცვლილი იქნა ეროვნული შემოსავლის (**Y**) მაჩვენებლით (ფასების ინდექსის გათვალისწინებით):

$$M \times V = P \times Y.$$

ი. ფიშერისაგან განსხვავებით, კემბრიჯის სკოლის ეკონომისტები ინგლისელი ეკონომისტის ა. მარშალის (1842-1924) და მისი თანმიმდევრების (ა. პიგუს, დ. რობერტსონის, რ.დ. ხოუნტრის) სახით, ყურადღებას არა ფულის მიმოქცევაზე, არამედ მეურნე სუბიექტებთან მის დაგროვებაზე, „რეალური სალაროს ნაშთების“ ანალიზზე ამახვილებდნენ. ამასთან, ისინი იყენებდნენ არა მაკროეკონომიკური, არამედ მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდებს, რომელიც მეურნე სუბიექტების ქცევის მოტივების შესწავლასა და სალაროს ნაშთებს მათი მოთხოვნის ფორმირებად ფაქტორებზეა მიმართული.

კემბრიჯის სკოლის ეკონომისტებმა ი. ფიშერის ფორმულა გარდაქმნეს, მასში შეიტანეს კოეფიციენტი **k**, რომელიც ნლიური შემოსავლის (**Y**) ნილს გამოხატავს და რომლის შენახვას მეურნე სუბიექტები მეტწილად ნაღდი ფულადი ფორმით ახორციელებენ {9, გვ. 215}:

$$M = k \times P \times Y.$$

ი. ფიშერის ტრანსაქციული ვერსიის სანაცვლოდ, რომელიც საქონელგაცვლით გარიგებებში ფულის მოძრაობის სიჩქარეზე იყო დაფუძნებული, შემოსავლებში ფულის მიმოქცევის სიჩქარის ახალი კონცეფცია იქნა შეთავაზებული, რომელიც სალაროს ნაღდი ფულის გახარჯვად შემოსავლებში გარდაქმნის პროცესს ასახავს. კოეფიციენტი **k** როგორც სიდიდე, ფულის მიმოქცევის სიჩქარის საპირისპიროა ( $k = 1 / V$ ), და იგი ხარჯებსა და სალაროს ნაღდი ფულს შორის თანაფარდობას გამოხატავს, სადაც **V** - არის ფულის მიმოქცევის სიჩქარე შემოსავალთან მიმართებით. აღნიშნული მიდგომა ნიშნავს, რომ ფასების ცვლილება უკუპროპორციულია სიჩქარის, რომლითაც სალაროს ნაღდი ფულის, განხორციელებული ხარჯების შედეგად მისი შემცირების შემდეგ, აღდგენა ხორციელდება. ამრიგად, კემბრიჯის სკოლის

ეკონომისტებმა ფულის რაოდენობრივი თეორიის ორი ვერსია შეიმუშავეს: პირველი, სალაროს ნაშთების კატეგორიაზე, მეორე კი - შემოსავლის კატეგორიაზე დაფუძნებული.

კემბრიჯული ვარიანტი ფულის რაოდენობრივი თეორიის ფუძემდებლურ პრინციპებს კი არ არღვევს, არამედ მხოლოდ აქცენტი გადმოაქვს ეკონომიკური პროცესების ტექნოლოგიური მხარიდან (ტრანსაქციიდან) სუბიექტურ-ფსიქოლოგიურზე - ფულის დაგროვების მოტივებზე, რაც ფულის ფლობის მოხერხებულობას უსვამს ხაზს, უპირველეს ყოვლისა, როგორც „გამზადებულ მყიდველობით ძალას“, მეორე მხრივ კი, როგორც სადაზღვევო რეზერვს გაუთვალისწინებელი ხარჯების შემთხვევაში. ყველა ვერსიაში რაოდენობრივი თეორიის მთავარი პოსტულატი „ფასების დონის მიმოქცევაში ფულის რაოდენობაზე დამოკიდებულების შესახებ“, შენარჩუნებულია. კემბრიჯელი ეკონომისტების იდეები განავითარა ჯ.მ. კეინმა, გაითვალისწინა რა ის ლიკვიდობის უპირატესობის საკუთარი თეორიის საფუძველში, რომელშიც სალაროს ნაღდი ფულის სახით (მოთხოვნა ფულზე) ფულის შენახვის სამი მოტივი არის გამოყოფილი {7, გვ. 351; 8, გვ. 452}: ტრანსაქციული მოტივი ფულზე მოთხოვნა მიმდინარე გარიგებებისათვის; სიფრთხილის მოტივი არის ფულზე მოთხოვნა გაუთვალისწინებელ შემთხვევაში; სპეკულაციური მოტივი კი, სიმდიდრის ყველაზე უფრო ლიკვიდური ფორმით შენახვისაკენ მისწრაფებაა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჯ.მ. კეინი ამტკიცებდა, რომ საერთო მოთხოვნა ფულზე მიმდინარე გარიგებებისათვის და გაუთვალისწინებელ ხარჯებზე (L1) განისაზღვრება შემოსავლების დონით (Y), ხოლო ფულზე მოთხოვნა სპეკულაციური მიზნებისათვის (2) პროცენტის განაკვეთის (R) უკუპროპორციულია. ამრიგად, კეინის თეორიის შესაბამისად, ფულზე (M) მოთხოვნის ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$M = L1 \times (Y) + L2R.$$

შემდგომში კეინი არა მარტო ფულის რაოდენობრივი თეორიის კრიტიკით და მისი ძირითადი პოსტულატების სრულად უარყოფით გამოდიოდა, არამედ პრინციპულად ახალი მიდგომაც შეიმუშავა, რომელიც წარმოების ფულადი თეორიის შექმნით გამოიხატა. მისი ყურადღების ცენტრშია უკვე არა შეზღუდული რესურსების განთავსების პრობლემა და მასთან დაკავშირებული ფასები, არამედ წარმოების მოცულობისა და დასაქმების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ საკითხი. ანალიზის ათვლის წერტილად გამოდიოდა „ერთობლივი მოთხოვნა“, რომლის სტიმულირება სახელმწიფონ ჩარევის გზით საბიუჯეტო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტის მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. ამასთან, უპირატესობა ფისკალურ პოლიტიკაზეა მიკუთვნებული, როგორც უშუალოდ ერთობლივი

მოთხოვნის სიდიდეზე ზემომქმედი ყველაზე ეფექტიანი საშუალება. მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკა სახელმწიფო ხარჯების გადიდებას და გადასახადების შემცირებას ითვალისწინებს, ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოშობილი საბიუჯეტო დეფიციტის გადასაფარავად ფულად-საკრედიტო ემისიის გამოყენება დასაშვებია.

XX საუკუნის 50-იანი წლების შუა პერიოდიდან ფულის რაოდენობრივი თეორიისადმი ინტერესის აღორძინება შეიმჩნევა მონეტარიზმის სახელწოდებით დამკვიდრებული ეკონომიკური აზროვნების ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლების, 1976 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის მ. ფრიდმანისა და მისი თანმიმდევრების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე. თანამედროვე მონეტარიზმი კეინზიანური მიდგომის ალტერნატივაა და იგი თავისთავად **კლასიკური მონეტარული თეორიის** გართულებულ ვარიანტს წარმოადგენს. მონეტარიზმის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ფულზე მოთხოვნა არ წარმოადგენს მხოლოდ პროცენტისა და შემოსავლის ფუნქციას, არამედ მასზე ასევე რეალური და ფინანსური ყველა სახეობის აქტივებისაგან მოგების ნორმაც ზემომქმედებს. კეინზიანური თეორიისაგან განსხვავებით, ფული განიხილება როგორც სუბსტიტუტი არა მარტო ფინანსური, არამედ ყველა სხვა დანარჩენი აქტივებისაც.

მონეტარისტები ფულსა და ფულად პოლიტიკაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ხედავენ და ბიუჯეტურთან შედარებით მიმართებით, უპირატესობას ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ანიჭებენ. მათი მთავარი წესია (ფულადი მასის წესი) ის, რომ ფულადი მასა მუდმივი სიჩქარით, მიახლოებით, წარმოების მოცულობის გადიდების ტოლი სიჩქარით უნდა იზრდებოდეს. ისინი თვლიან, რომ წარმოების სტიმულირებისათვის საჭიროა ნორმალურ პირობებში მიმოქცევაში ფულის გადიდების მუდმივი დაბალი ტემპისაკენ 3 და 5 %-ის დონეზე მისწრაფების დამკვიდრება. მათი მოსაზრებით, უფრო მნიშვნელოვანია მიმოქცევაში ფულის რაოდენობის კონტროლი, ვიდრე პროცენტის ნორმისა და კრედიტის მოცულობისა {5. გვ. 221}.

კ. მარქსი მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობას განსაზღვრავდა არა მარტო ფულის როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციისათვის, არამედ ფულის როგორც გადახდის საშუალების ფუნქციისათვისაც:

$$\text{რმიმ.} = (\text{ფ} + \text{გდ} - \text{კრ} - \text{გდუგ.}) / \text{ბს},$$

სადაც: **რმიმ.** - მიმოქცევის საჭირო ფულის რაოდენობა;

**ფ** - ფასების თანხა გაყიდული საქონელისა და მომსახურებისათვის;

**გდ** - ვადადამდგარი გადახდები;

**კრ** - გაცემული კრედიტები;

**გდუგ.** - ურთიერთგადაფარვადი გადახდები;

**V** - ფულის მიმოქცევის სჩქარე.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი თანხის მოცულობის განსაზღვრისათვის რამდენიმე ფორმულა გამოიყენება, რომელთა შორის ერთ-ერთი შემდეგია:

$$\text{ფმიმ.} = (\text{სფ.} + \text{გდვდ.} - \text{გდუგ.} - \text{ვგდ.} - \text{რუვ.} - \text{გდვგდ.} + \text{თმგდ.}) / \text{ბს},$$

სადაც: **ფმიმ.** - მიმოქცევის საჭირო ფულის თანხა;

**სფ.** - რეალიზებადი საქონლის ფასების თანხა;

**გდვდ.** - ვადამდელი გადახდების თანხა;

**გდუგ.** - ურთიერთგადაფარვადი გადახდების თანხა;

**ვგდ.** - გადაცემული ვალების თანხა;

**რუვ.** - უცხოური ვალუტით რეალიზებული საქონელის ფასების თანხა;

**გდვგდ.** - ვადაგახანგრძლივებული გადახდების თანხა;

**თმგდ.** - ცენტრალური ბანკის მიერ გადარიცხული თამასუქების თანხა;

**ბს** - ფულის ბრუნვის სიჩქარე.

მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის კანონი თავიდან განმარტებოდა როგორც სასაქონლო მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობის განმსაზღვრელი კანონი. მაგრამ, რამდენადაც მიმოქცევის პროცესში საქონელი გარკვეული ფასების მიხედვით რეალიზდება, მოცემული კანონის მიხედვით ფულის რაოდენობა, უპირველეს ყოვლისა, საქონლის ფასების თანხით განისაზღვრება, მეორე მხრივ, აღნიშნულ რაოდენობაზე არა მარტო ფასობრივი ფაქტორები, არამედ ფულადი ნიშნების ბრუნვის სიჩქარეც მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ფულის როგორც მიმოქცევის საშუალების ფუნქციისათვის ასევე სხვა კანონზომიერებაც ჩანს, რომლის მიხედვით: რამდენად უფრო სწრაფად მიმოქცევა ფული, იმდენად მისი ნაკლები რაოდენობაა საჭირო მისი მიმოქცევისათვის. გამარტივებული სახით აღნიშნული კანონი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით:

$$\text{რმიმ.} = (\text{ფ ს მც}) / \text{ბს},$$

სადაც: **რმიმ.** - მიმოქცევისათვის საჭირო ფულის რაოდენობაა;

**ფ** - ყველა საქონლის, მომსახურების ფასების თანხა;

**მც** - საქონლის მოცულობა;

**ბს** - თანამოსახელე (ერთი დასახელების) ფულადი ერთეულის ბრუნვის სიჩქარე.

ფულადი მასის განსაზღვრისათვის შემდეგი სახის მოკლე ფორმულაც გამოიყენება:

$$M \times V = P \times Y,$$

სადაც: **P** - ნომინალური ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელია, რომელიც ნომინალური მშპ-ს მაჩვენებელთან ახლოსაა.

ინფლაციაზე კორექტირების გათვალისწინებით მოცემული ფორმულა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:

$$M = (Y \times P) / V,$$

სადაც: **Y** - არის რეალური მშპ;

**P** - ინფლაციის ზრდის ტემპი.

### ავტორისეული კორექტივი ი. ფიშერის ფორმულაში

თანამედროვე პირობებში, როდესაც **ახალი ფულადი მასის** შექმნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია როგორც ცენტრალურ ბანკს (ემისიის მეშვეობით), ასევე საბანკო სისტემასაც (საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოებით), ი. ფიშერის ცნობილი „გაცვლის განტოლება“ გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს.

გამომდინარე იქიდან, რომ, ფორმულაში (**P x Q**) - არის ყველა საქონლისა და მომსახურების ფასების ჯამი, ამდენად, ერთი მხრივ, საჭირო ფულის რაოდენობა წარმოებულ პროდუქტებისა და საქონელზე ფასების სიდიდეზეა დამოკიდებული. მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და ფასების ზრდასთან ერთად, ფულადი ნიშნების რაოდენობაც უნდა გაიზარდოს. მეორე მხრივ, ფორმულიდან ასევე ჩანს, რომ ფულადი ნიშნების რაოდენობის გადიდება, მთლიანი ეროვნული პროდუქტის უცვლელობის პირობებში, ფასების ზრდას გამოიწვევს. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ორივე თავისებურება ფულადი მიმოქცევის რეგულირებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული და გამოყენებული.

ფული მიმოქცევაში საჭირო რაოდენობაზე მეტი არ უნდა იყოს, მაგრამ იგი საჭირო რაოდენობაზე ნაკლებიც არ უნდა მიმოქცეოდეს, რამდენადაც ფულის სიჭარბეს ინფლაციური პროცესების ზრდისაკენ, ხოლო ფულის ნაკლებობას კი - არგადახდებისაკენ, პროდუქტის ჭარბი მარაგისაკენ, წარმოების შეფერხებისაკენ მივყავართ. მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის სიდიდე - ფასების დონეზე, ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს. ამიტომ, მიმოქცევაში ფულადი მასა, საერთო ეკონომიკური განვითარების ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროა სისტემატიურად გაკონტროლდეს და დარეგულირდეს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ სინამდვილეში, თუ ოდესღაც ფულადი მიმოქცევა საქონლის ნაკადს ემსახურებოდა, დღეს კი - თვით ფული თავისთავად გახდა საქონელი. უფრო მეტიც, ადრე ფული ოქროსთან იყო მიბმული, მაშინ როდესაც ამჟამად მისი როლი უშუალოდ მრავალჯერად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში ფულადი რეგულირების რო-



ლიც უფრო მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნულმა გარემოებებმა ეკონომისტები აიძულეს ყურადღება ფულისა და ფულადი მიმოქცევის პრობლემაზე, აგრეთვე ეკონომიკის მიერ ფულადი მიმოქცევის რეგულირების შესაძლებლობებზე გაემახვილებიათ.

ასევე, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს **საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებაზე** და იმაზეც, რომ ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკის საემისიო საქმიანობისაგან (ახალი ნაღდი ფულის ემისია) დამოუკიდებლად, ფულადი მასის სიდიდე საკრედიტო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაფართოების ხარჯზეც იზრდება. კომერციული ბანკები ახალ ფულად მასას ქმნიან, როდესაც გასცემენ სესხებს და, პირიქით, ფულადი მასა მცირდება, როდესაც კლიენტები აღებულ დავალიანებას ბანკებს უბრუნებენ {4, გვ. 176-179; 3, გვ. 368-370}.

**კომერციული ბანკების მიერ ახალი უნაღდო ფულის შექმნის პროცესი** უფრო დეტალურად შეიძლება შემდეგ მაგალითზე იქნეს განხილული. დავუშვათ, კომერციულ ბანკი „თი-ბი-სი“-ს 100 ათასი ლარის მოცულობის საკრედიტო რესურსი (დეპოზიტები) გაუჩნდა. იგი ვალდებულია დადგენილ ვადებში აღნიშნული რესურსების ნაწილი, სავალდებულო რეზერვების ნორმატივის საფუძველზე, ცენტრალურ ბანკში დაარეზერვოს (გაყინოს) {4, გვ. 279}. მოქმედი სავალდებულო რეზერვების ნორმატივი ლარის დეპოზიტებთან მიმართებით 10 %-ის ტოლია და აქედან გამომდინარე აღნიშნულ ბანკს კლიენტებზე სესხის გაცემა მხოლოდ 90 ათასი ლარის ოდენობით შეუძლია, ხოლო 10 ათასი ლარი (100 ათასი ლარის 10 %) ცენტრალურ ბანკის რეზერვებში უნდა გადარიცხოს. ბანკის აღნიშნული ქმედების შედეგია 90 ათასი ლარის ოდენობის ახლი ფულის წარმოშობა.

დავუშვათ, „თი-ბი-სი“ ბანკის კლიენტმა აღებული სესხის 90 ათასი ლარის ოდენობის თანხა „რესპუბლიკა“ ბანკში დეპოზიტზე განათავსა. ამ ბანკში დეპოზიტის გადიდება მას ახალი სესხის გაცემის შესაძლებლობას აძლევს. ამასთან, მანაც დეპოზიტების თანხის 10 % რეზერვში (9 ათასი ლარი) უნდა მიმართოს. ამდენად ამ ბანკის მიერ გაცემული სესხის მოცულობა უკვე 81 ათასი ლარის ტოლი იქნება, ხოლო ფულადი მასის საერთო ნაზარდი (ორი ბანკის ოპერაციების გათვალისწინებით)  $(90+81) = 171$  ათასი ლარის ტოლი იქნება და ა. შ. განხილვის ამ ლოგიკას შემდეგ **დასკვნამდე** მივყავართ: **ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის პროცესი გაგრძელდება, მაგრამ არა უსაზღვროდ, არამედ, გარკვეულ ზღვრამდე. აღნიშნული პროცესი საბანკო დეპოზიტების გაფართოების მულტიპლიკაციური ეფექტის მახასიათებელია და იგი შეიძლება სარეზერვო მოთხოვნების გათვალისწინებით იქნეს გაანგარიშებული.** საბანკო დეპოზიტების გაფართოების ზღვარი იქნება:

100 ათასი ლარი + 90 + 81 + 72,9 + ... = 100 ათასი (1 + 0,9 + 0,9 კვადრატში + 0,9 კუბში + ...) = 100 ათასი ლარი / (1 დ 0,9) = 1 მლნ ლარს.

ამრიგად, 10 %-იანი სარეზერვო მოთხოვნისას 100 ათასი ლარის საწყისი დეპოზიტი საბანკო დეპოზიტების 1 მლნ ლარამდე გაფართოების მულტიპლიკაციურ ეფექტად გადაიქცა.

ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის გზით ფულადი მასის გაფართოების სიდიდის კონკრეტულად შეფასების შესაძლებლობას ფულადი მინოდების მულტიპლიკატორი, ანუ საბანკო მულტიპლიკატორი ( $B_m$ ) იძლევა. იგი გაიანგარიშება ფორმულით {4, გვ. 181-184}:

• საბანკო მულტიპლიკატორის მაქსიმალური მნიშვნელობა ( $B_m$ ) =  $(1 / r) \cdot 100$ ,

• საბანკო მულტიპლიკატორის რეალური მნიშვნელობა კი ( $B_m$ ) =  $\{1 / (r+c)\}$ ,

სადაც: r - არის სავალდებულო რეზერვების ნორმატივი, პროცენტებში;

c - არის ბანკის მიერ გაცემული სესხების მოცულობიდან კლიენტის მიერ გარკვეული ნაწილის ნაღდი ფულის სახით გატანილი მოცულობა, პროცენტებში.

ჩვენს მაგალითში ( $B_m$ ) =  $1/10\% = 10$ , ანუ რესურსების გადიდების თითოეულმა ერთმა ლარმა შეიძლება 10 ლარით გადიდება გამოიწვიოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო მულტიპლიკატორის სიდიდე სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნასთან უკუდამოკიდებულებაშია. თუ სავალდებულო რეზერვების განაკვეთი 5 %-მდე შემცირდება, მაშინ საბანკო მულტიპლიკატორ ( $B_m$ ) ტოლი იქნება - 20-ის, ხოლო თუ იგი 20 %-მდე გაიზრდება, მაშინ ( $B_m$ )-ის მნიშვნელობა 5-მდე შემცირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ მსგავსი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80-90%-მდე) მოზიდვა და მათი (დაკრედიტების მეშვეობით) მსესხებლებისაკენ მიმართვა ხორციელდება, თან საბანკო სისტემაში მულტიპლიციერების საფუძველზე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის - არსებული საბანკო რესურსების თითქმის 7-10-ჯერადი ახალი უნაღდო ფულადი მასა იქმნება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ირვინგ ფიშერის ფორმულაში ( $P \times Q$ ) - ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის (gross national disposable income - CDI) მაჩვენებლის შესაბამისია (იგი ნომინალური მშპ-ის მაჩვენებლის თითქმის იდენტურია), ანუ ( $P \times Q$ ) = CDI (მეპ-ს) და საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოების  $\{D \times (B_m) = D / (r+c)\}$  პროცესების გათვალისწინებით, თანამედროვე გან-

ვითარებული საბანკო სისტემის პირობებში მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი მასის რაოდენობრივი გაანგარიშების ფორმულა ჩვენი მტკიცებით, შემდეგი სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი:

$$M = (CDI / V) - (D \times Bm) = (CDI / V - r) - (D / (r+c)) ,$$

სადაც : **M** - არის მიმოქცევისათვის საჭირო ფულადი მასის რაოდენობა;

**CDI** - (gross national disposable income) მთლიანი ეროვნული

პროდუქტის ღირებულება;

**V** - ფულადი ერთეულის ბრუნვის რაოდენობა (სიჩქარე);

**D** - საბანკო სისტემაში არსებული რესურსების (დეპოზიტების)

მოცულობა;

**Bm** - საბანკო მულტიპლიკატორის მნიშვნელობა;

**r** - ქვეყანაში ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის დადგენილი სავალდებულო რეზერვების ნორმატივი, პროცენტულად ათწილადებში;

**C** - არის ბანკის კლიენტის მიერ საკუთარი ანგარიშიდან აღებული სესხის გარკვეული ნაწილის ნაღდი ფულის სახით გატანილი თანხა, პროცენტულად ათწილადებში.

ქვეყანაში ფულადი მასის რაოდენობრივი რეგულირება კონსტიტუციურად ქვეყნის ცენტრალური ბანკის პრეროგატივაა და მონეტარული პოლიტიკის გამართული მენეჯმენტი ქვეყნის ეკონომიკური წარმატების საწინდარია. თუ მსოფლიოში ფულის ოქროს სტანდარტის ფუნქციონირების პირობებში (1816 და 1970 წწ.) სახელმწიფოების ფულადი ერთეულები ოქროსით იყო უზრუნველყოფილი და ოქროთი რეგულირდებოდა, დღეს უკვე თანამედროვე ფული არც ოქროთი და არც არანაირი სხვა ძვირფასი თუ არაძვირფასი ლითონებით არ არის უზრუნველყოფილი. იგი სახელმწიფოს ფასიანი ქაღალდითა, უზრუნველყოფილია ქვეყნის ეროვნული ბანკის აქტივებით და სახელმწიფოს (ფინანსთა სამინისტროს) პასივებით (და თითოეულ კუპონურაზე ამ ორი უწყების პირველი პირების ხელმოწერებია დასმული). მიმოქცევაში ფულადი მასის ემისიას (სიმცირისას - გამოშვებას და სიჭარბისას - ამოღებას) ცენტრალური ბანკი არეგულირებს. ამასთან ისიც უნდა იქნეს აღნიშნული, რომ ინფლაციის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მიმოქცევაში ჭარბი ფულადი მასის არსებობაა, რაც ეროვნული ფულადი ერთეულის კურსის დაცემის ფაქტორია.

საბანკო სისტემაში მუშაობის პრაქტიკულმა გამოცდილებამ (27 წელი) და ამ მიმართულებით უმაღლეს სასწავლებლებში ხანგრძლივმა პედაგოგიურმა და სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ, უფრო სიღრმისეულად ჩაგვახედა მიმოქცევაში ფულადი მასის გაანგარიშების საყოველთაოდ აღი-

არებული ფორმულების შინაარსში, დაგვარწმუნა ბანკებში მულტიპლიცირების საფუძველზე საკმაოდ დიდი მოცულობის ახალი ფულადი მასის შექმნის რეალურ შესაძლებლობაში და ამ უკანასკნელის ფულადი მასის გაანგარიშებებში გაუთვალისწინებულობამ, აღიარებული ფორმულაში კორექტივის აუცილებლობამდე მიგვიყვანა.

## დასკვნები განსჯისათვის

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, **ვასკვნით:**

1. ფული - რეალურად, ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ელემენტთაგანია, ეკონომიკის მუშაობის ხელშემწყობია და იგი წარმოების პროცესის ყველა სტადიაზე შემოსავლებისა და ხარჯების წრებრუნვის სასიცოცხლო ძალაა;
2. ოქროს სტანდარტის კრახმა, რომელიც არსებითად პირველი მსოფლიო ომით იყო გამოწვეული, ფულადი თეორიის პრინციპული დებულებების გადახედვა გამოიწვია, რამაც, ერთი მხრივ, ახალი კონცეფციების წარმოშობას, მეორე მხრივ კი, ძველის განახლებას შეუწყო ხელი;
3. ფასების დონეს და თვით ფულის ღირებულებაზე ფულადი მასის ზემოქმედების პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალურობა ფულად-საკრედიტო მიმოქცევის განვითარებისას შეიძინა. თუ ლითონური ფულის მიმოქცევისას პირდაპირი ზემოქმედების მექანიზმი მოქმედებდა, ანგარიშსწორებების საკრედიტო ინსტრუმენტების (თამასუქების, ბანკნოტების, ჩეკების) გავრცელების პირობებში კი ფულადი მასის ფასებზე ზემოქმედება საალრიცხვო განაკვეთის დონით ხორციელდება;
4. თანამედროვე პირობებში, როდესაც ახალი ფულადი მასის შექმნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, შეუძლია როგორც ცენტრალურ ბანკს (ემისიის მეშვეობით), ასევე საბანკო სისტემასაც (საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციური გაფართოებით), მიგვანჩნია, რომ ი. ფიშერის „მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაანგარიშების ფორმულა“ გარკვეულ კორექტივებს საჭიროებს;
5. სინამდვილეში, თუ ოდესღაც ფულადი მიმოქცევა საქონლის ნაკადს ემსახურებოდა, დღეს - თვით ფული თავისთავად გახდა საქონელი. უფრო მეტიც, ადრე ფული ოქროსთან იყო მიბმული, მაშინ როდესაც ამჟამად მისი როლი უშუალოდ მრავალჯერად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკაში ფულადი რეგულირების როლიც უფრო

- მნიშვნელოვანი გახდა. აღნიშნულმა გარემოებებმა ეკონომისტები აიძულეს მნიშვნელოვანი ყურადღება ფულისა და ფულადი მიმოქცევის პრობლემაზე, საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების პროცესის საფუძველზე საკმაოდ დიდი მოცულობის ახალი ფულადი მასის შექმნის შესაძლებლობაზე, აგრეთვე ეკონომიკის მიერ ფულადი მიმოქცევის რეგულირების შესაძლებლობებზე გაემახვილებიათ;
6. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საბანკო დეპოზიტების მულტიპლიკაციურ გაფართოებაზე და იმაზეც, რომ ცენტრალური (სახელმწიფო) ბანკის საემისიო საქმიანობისაგან (ახალი ნაღდი ფულის ემისია) დამოუკიდებლად, ფულადი მასის სიდიდე საკრედიტო სისტემაში კომერციული ბანკების მიერ კრედიტების გაფართოების ხარჯზეც მნიშვნელოვნად იზრდება, კომერციული ბანკები ახალ უნაღდო ფულად მასას ქმნიან;
  7. ბანკების მიერ ახალი უნაღდო ფულის შექმნის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივად გრძელდება, მაგრამ არა უსაზღვროდ, არამედ, გარკვეულ ზღვრამდე. აღნიშნული პროცესი საბანკო დეპოზიტების გაფართოების მულტიპლიკაციური ეფექტის მახასიათებელია და იგი შეიძლება სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნების გათვალისწინებით იქნეს გაანგარიშებული. 10 - %-იანი სარეზერვო მოთხოვნისას 100 ათასი ლარის სანყისი დეპოზიტი საბანკო დეპოზიტების 1 მლნ ლარამდე გაფართოების მულტიპლიკაციურ ეფექტად იქცევა. ბანკების მიერ ახალი ფულის შექმნის გზით, ფულადი მასის გაფართოების სიდიდის კონკრეტულად შეფასების შესაძლებლობას ფულადი მიწოდების მულტიპლიკატორი, ანუ საბანკო მულტიპლიკატორი იძლევა;
  8. თანამედროვე საბანკო სისტემაში ე.წ. „ფულადი ტუმბოს“ შესაბამისი მომსახურება მიმდინარეობს, სადაც თავისუფალი ფულადი სახსრების მნიშვნელოვანი მოცულობის (საბანკო რესურსების 80 დ 90 %-მდე) მოზიდვა და მათი (დაკრედიტების მეშვეობით) მსესხებლებისაკენ მიმართვა ხორციელდება, თან საბანკო სისტემაში მულტიპლიცირების საფუძველზე საკმაოდ მნიშვნელოვანი მოცულობის - არსებული საბანკო რესურსების თითქმის 7 დ 10-ჯერადი ახალი უნაღდო ფულადი მასა იქმნება;
  9. მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაანგარიშების საყოველთაოდ აღიარებული ფორმულების გაანალიზებისა და ამერიკელი მეცნიერის ირვინგ ფიშერის ცნობილ ფორმულაში, გამომდინარე იქიდან, რომ მასში ( $Q \times P$ )-ს მნიშვნელობა ტოლია  $CDI$ -ის, ანუ ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის და საბანკო სისტე-

**მაში დეპოზიტების (რესურსების) მულტიპლიკაციური გაფართოების შედეგად წარმოშობადი ახალი უნაღდო ფულადი მასის მოცულობის  $(D \times Bm) = D / (r + c)$  გათვალისწინებით, შემოთავაზებულია მიმოქცევაში ფულის რაოდენობის გაანგარიშების ფორმულის ავტორისეული ვარიანტი:  $M = (CDI / V) - (D \times Bm) = (CDI / V) - (D / (r + c))$ .**

ავტორი სთავაზობს ჟურნალის მკითხველებს, მეცნიერებისა და პრაქტიკის წარმომადგენლებს, განიხილონ სტატიაში განხილული პრობლემა, გამოთქვან საკუთარი მოსაზრება, რაც, უეჭველად, მისი გადაწყვეტის საქმეს რეალურ სარგებლობას მოუტანს.

#### ლიტერატურა:

1. Лаврушин О.И. – Деньги, кредит, банки: Учебник. – Москва, Финансы и статистика, 2000. – 287 с.
2. ცაავა გ., ბინაძე ბ., ლიპარტია ზ. - ფინანსური მენეჯმენტი: სახელმძღვანელო. - თბილისი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2006. – 992 გვ.
3. Бункина М.К., Семенов В.А. - Макроэкономика (основы экономической политики). – Москва, АО «ДИС», 2006.
4. ცაავა გ., ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. - თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.
5. Луссе А.- Макроэкономика: ключевые вопросы / Учебное пособие. – Санкт-Петербург, Издательство «Питер», 1999. – 240 с.
6. Казаков А.П., Минаева Н.В. – Экономика: курс лекции, упражнения, тесты и тренинги. – Москва: Из-во ЦИПКК АП, 1996. – 392 с.
7. Экономика: Учебник./Под ред. доц. А.С. Булатова. – Москва, Из-во ВЕК, 1997. – 816 с.
8. Гальперин В.М., Тарасевич Л.С. – Макроэкономика: Учебник. – СПб, Из-во СПб-ГУЭФ, 1997. – 719 с.
9. Бункин М.К., Семенов А.М.- Макроэкономика: Учебник. – Москва, Из-во «Дело и Сервис», 2000. – 512 с.
10. ჩანტლაძე ვ. - შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. - თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1992. – 305 გვ.

## **About the Reasonability for Adjustment of Irving Fisher's Formula Calculating Money Supply**

***George Tsaava***

*Doctor of Economic Sciences, Professor,  
Georgian Technical University  
Tel: 599-20-12-30*

Adjustment of the volume of money supply constitutionally is the prerogative of the country's central (national) bank and good management of monetary policy is the key to the country's economic success. If in the world in the conditions of the functioning of the gold standard of money (1816-1970) the states monetary units were provided and regulated with gold, now today's money is provided neither with gold nor with other precious or non-precious metals. It is a government paper provided with the assets of the country's national bank and state's (Ministry of Finance) liabilities (on the each bank note there are signatures of both authorities). Emission of money supply in circulation (issue in shortage and remove in excess) is regulated the central bank It should also be noted that one of the reasons for the growth of inflation is the existence of excessive money supply in circulation which is the precondition of the fall of exchange rate of the national currency.

Practical experience of working in the banking system (27 years) and the long pedagogical and research activities in this direction in higher educational institutions gave us more in-depth insight into the composition and content of the universally accepted formulas of calculation of money supply in circulation, assured us in real possibilities of the creation of rather large amount of new money supply on the basis of multiplicity in banks and not taking the latter into account in computing money supply led us to the adjustment necessity of the recognized formula.

Money - in fact, is one of the most important elements of any economic system, it is contributing to the functioning of economy and vital force of incomes and expenditures cycle at each stage of production process. Collapse of the gold standard which was due to the First World War caused the revision of principal provisions of the monetary theory that on the one hand promoted the emergence of new concepts and on the one hand – the renewal of the old ones.

In addition, the problem of the impact of money supply on price levels and money value became particularly important during the development of monetary circulation. If the mechanism of direct impact worked during the metallic money circulation, in the conditions of the distribution of account credit instruments (bills of exchange, banknotes, checks) the impact on the values of money supply is made by the accounting rate levels. In contemporary conditions, when the central bank (through emission) as well as the bank system (through the multiplier expansion of bank deposits) can create new money supply

independently from each other, we consider that Irving Fisher's "Formula calculating money supply in circulation" needs some adjustments.

In fact, if once money circulation served goods flow, today money itself has become a commodity. Moreover, before the money was tied to gold, while at present its role has increased many times. Therefore, the regulatory role of money in the economy has become more important. The noted circumstances forced economists to pay particular attention to the problem of money and money circulation, possibilities of the creation of rather great volume of new money supply on the basis of multiplier process in the bank system, as well as the possibilities of the regulation of money circulation by the economy.

The same can be said about the multiplier expansion of bank deposits and about that independently from central (state) bank's emission activities (new cash emission) the size of money supply grows also at the expense of credits expansions by commercial banks in the credit system. Commercial banks create new money supply when give out loans and, on the contrary, money supply is reduced when customers return debts to banks.

The process of creation of new money by the banks continues for quite a long time, but not indefinitely, but within certain limits. The noted process is the characteristic of the multiplier effect of the expansion of bank deposits and it can be calculated taking into account the reserve requirements. At 10% reserve request the initial deposit of 100 thousand lari turns into a multiplier effect of the bank deposits expansion to 1 million lari. The multiplier of money supply, e.i, the bank multiplier gives possibility to assess specifically the size of the expansion of money supply through the creation of new money by banks.

In the modern banking system there is appropriate service of so-called "Money Pump," where a significant volume of free funds (80-90% of bank resources) are attracted and directed toward borrowers (through lending), at that on the basis of multiplicity in the bank system there is created rather significant volume of existing bank resources – almost 7-10-fold new non-cash money supply.

Considering the above noted, the article analyzes the universally recognized calculation formulas of the amount of money and the famous formula of the American scientist Irving Fisher. Given the fact that the value in it ( $Q \times P$ ) is equal to CDI, or it is equal to the nominal gross national product (GNP) and deposits (Resources) in the bank system, the volume of money supply emerged as a result of multiplier expansion ( $D \times B_m = (D / (r + c))$ ) there is offered the author's version of the formula for calculating the volume of money supply:  $M = (CDI / V) - (D \times B_m) = (CDI / V) - (D / (r + c))$ .

The author offers readers, representatives of science and practice to discuss the problem presented in the article, to express their own opinions, which will contribute to its correct solution.

**Keywords:** Monetary policy; bank system, bank deposits; money supply; money flow; legal reserve; monetary assets.

**JEL Codes:** G20, G21, G23, G28



## პიროვნება, როგორც დროის ორგანიზაციის სუბიექტი

*მანან ხარხელი*

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტ-პროფესორი*

დრო პიროვნების ერთ-ერთი ფასეული რესურსია. დროის შეცნობა, დაუფლება და მართვა, ეს ის მიზნები და ამოცანებია, რომელთა სწორ გადაჭრაზე დიდად არის დამოკიდებული პიროვნების განვითარება.

**საკვანძო სიტყვები:** დრო; პიროვნება; რეაქტიული; პროაქტიური; სოციალური.

### პიროვნული დროის მენეჯმენტი

სწორედ პიროვნებაა დროის ორგანიზატორი. საკუთარი, პიროვნული დროის ორგანიზება აქცევს მას სუბიექტად. ეს თემა ახალია მეცნიერებაშიც და პრაქტიკაშიც. საზღვარგარეთ მასზე მრავალი ნაშრომია შექმნილი. მასზე წერენ ფსიქოლოგებიც, მათემატიკოსებიც, სოციოლოგებიც და სხვებიც. ამის მიუხედავად დროის ცნებაც კი არ არის საბოლოო და არაერთმნიშვნელოვნად განმარტებული. დროის ფენომენის მიმართ ნაკლები დაინტერესებაა საქართველოში. არსებობს მხოლოდ თ. ხომერიკის, თ. იობაშვილის, ე. ქავთარაძის, გ. იაშვილის, ბ. გეჩბაიას რამოდენიმე სტატია და ჩემი მცირე მოცულობის ნიგნი („დროის მენეჯმენტი“, თბ., 2015). სწორედ ამ დეფიციტის შესავსებად გადავწყვიტე დამეწყო ამ პრობლემის კვლევა საქართველოს სინამდვილეში და ჩემი მცირე ნვლილი შემეტანა მასში.

ერთადერთი რესურსი, რომელსაც ყველა ადამიანი თანაბრად ფლობს – ეს დროა. დღე-ღამეში იგი 24 საათით განისაზღვრება, წელიწადში 365 კალენდარული დღით. მის წინაშე ყველა ერთნაირია — ბანკირიც, დიასახლისიც, მე-

ნეჯერიც, მღვდელიც და სხვა ადამიანებიც. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, თუ ვინ როგორ გამოიყენებს ამ დროს. წარმატებულია მხოლოდ ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია დროის ეფექტიანი გამოყენება. ადამიანი დროს ვერ გაზრდის, იგი უცვლელი რესურსია. ადამიანს შეუძლია მხოლოდ დროის „შემჭიდროება“, ანუ ერთსა და იმავე დროში უფრო მეტი საქმის გაკეთება.

თუ თქვენ გინდათ, რომ გახდეთ წარმატებული ადამიანი, უნდა შეგეძლოთ თქვენი პირადი დროის მართვა. ეს გამოთქმა საკმაოდ პირობითია, რადგან დრო თქვენგან (და საერთოდ ადამიანებისგან) დამოუკიდებლად არსებობს და თქვენ მის მართვას ვერ შეძლებთ. მართლაც, რა შეგიძლიათ, დღე-ღამეს გადააქცევთ 40 საათად თუ წელიწადს 500 დღე-ღამედ? რა თქმა უნდა, არც ერთი და არც მეორე. თქვენ მხოლოდ შეგიძლიათ თქვენი საქმეები მართოთ ოპტიმალურად დროში, რომლის სიდიდე უცვლელი მოცემულობაა – დღე-ღამეში 24 საათი, წელიწადში 365 დღე-ღამე.

მაშასადამე, როცა ჩვენ ვსაუბრობთ დროის მართვაზე, ანუ დროის მენეჯმენტზე, ვგულისხმობთ დროში (დღე, კვირა, თვე, წელიწადი) ჩვენი საქმეების მართვას, მათ პრიორიტეტიზაციას და ოპტიმიზაციას, ფაქტობრივად კი ჩვენი თავის მართვას (თვითმენეჯმენტი). თუ ჩვენ ცხოვრებას გარკვეულ მოგზაურობად (დროში მოგზაურობა: დაბადება → ბავშვობა → ყრმობა → მონიფულობა → დაბერება) წარმოვიდგენთ, მაშინ მისი დროის მენეჯმენტი 4 ელემენტისაგან შედგება (ნახაზი 1) [1, გვ. 47]:

- ფილოსოფია (რატომ ვმოგზაურობთ?)
- სტრატეგია (საით ვმოგზაურობთ?)
- ტექნოლოგია (რითი ვმოგზაურობთ?)
- ეფექტიანობა (როგორ ვმოგზაურობთ?)



ნახაზი 1. დროის მენეჯმენტის სისტემა

როგორც ნახაზიდან ჩანს, ჩვენი მოგზაურობის სანწყისი (ქვედა) ელემენტი არის **ეფექტიანობა**, ანუ ამ ეტაპზე უნდა განვსაზღვროთ, როგორ მივაღწიოთ ჩვენი მოგზაურობის მიზანს ისე, რომ არ დავიღალოთ, ანუ პირველსავე ეტაპზე უნდა ვუპასუხოთ კითხვას — „როგორ ვიმოგზაუროთ?“

მეორე ელემენტი არის **ტექნოლოგია**, ანუ „რითი ვმოგზაურობთ?“ დროის მენეჯმენტის ეს ელემენტი გულისხმობს, თუ რით არის „შეიარაღებული“ ადამიანი ცხოვრებაში, რა სტრატეგიული მიზანი აქვს და რა საშუალებებით (ანუ რა ტექნოლოგიით) აპირებს მის მიღწევას.

დროის მენეჯმენტის მესამე ელემენტია **სტრატეგია**. იგი გვაძლევს პასუხს კითხვაზე: „საით ვმოგზაურობთ?“, ანუ ვიცი თუ არა რა გვინდა და გვაქვს თუ არა მოფიქრებული მისი მიღწევის ალგორითმი.


დაბოლოს, დროის მენეჯმენტის მეოთხე ელემენტი არის **ფილოსოფია**. იგი გვაძლევს პასუხს კითხვაზე – „რატომ ვმოგზაურობთ?“, ანუ რატომ გვაქვს ასეთი სტრატეგიული მიზანი და არა სხვანაირი? როგორ ვიპოვოთ ცხოვრების არსი და საერთოდ კი არსებობს იგი?

როგორც ამ მსჯელობიდან ჩანს, დროის მენეჯმენტი, ანუ დროის მართვა პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების მიზანთან. თუ ის ნათლად არ გაქვთ წარმოდგენილი, შეიძლება თქვენი პირადი დროის მართვაში მართლაც გადადგათ რალაც ნაბიჯები, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიიღებთ, რადგან არ იცით, რა გინდათ.

დროის მენეჯმენტის ცნობილი ამერიკელი მკვლევარი სტივენ კოვი ცხოვრებისადმი ადამიანის ორგვარ მიდგომას ასახელებს. ესენია **რეაქტიული** და **პროაქტიული მიდგომები** [2, გვ. 41].


ცხოვრებისადმი რეაქტიული მიდგომა არის უზრალო რეაგირება მასზე, ანუ „თვითდინებით ცხოვრება“, პრორეაქტიული კი მასზე აქტიური ზემოქმედება და მისი მოწყობა საკუთარი სურვილების მიხედვით. ასეთ დროს ადამიანი თვითონ იწყობს თავის ცხოვრებას და პასუხისმგებელიცაა მასზე.

თითოეულ ჩვენგანს, და მათ შორის თქვენც, უამრავი საკითხი გვანუხებს. ეს არის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ურთიერთობების მოგვარება, ჩვენი მომავალი, ფინანსური მდგომარეობა და სხვა. ვუნდოთ ყოველივე ამას „საზრუნავთა წრე“. „საზრუნავთა წრე“-ში შემავალი თითოეული პრობლემა მრავალ ქვეპრობლემას და საკითხს მოიცავს. მათი ნაწილი ექვემდებარება ადამიანის კონტროლს, გავლენას, მეორე ნაწილი კი მას არ ემორჩილება. ამ პირველ ნაწილს ვუნდოთ „გავლენის წრე“ (ნახაზი 2).




ნახაზი 2. ადამიანის „საზრუნავთა წრე“ და „გავლენის წრე“

ადამიანის პროაქტიულობის ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ უმეტესად რომელ სფეროზეა იგი ფოკუსირებული. პროაქტიული ადამიანები „გავლენის წრე“ აძლევენ პრიორიტეტს. ისინი მთელ თავიანთ ძალებს, დროს და ენერგიას ახმარენ იმას, რომ გაიფართოვონ „გავლენის წრე“ (იხ. ნახაზი 3).



ნახაზი 3. პროაქტიული ფოკუსი („გავლენის წრე“ ფართოვდება)

რეაქტიული ადამიანები პირიქით, თავიანთ ძალისხმევას „საზრუნავთა წრისკენ“ წარმართავენ. ისინი წუხან, რომ არ შეუძლიათ ვითარების შეცვლა, თავის წარუმატებლობას აბრალებენ ბედს ან სხვა ადამიანებს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში თავიანთ თავს. მათგან მოდის ნეგატიური ენერგია, რომელიც, პირველ რიგში, მათვე აზარალებს. რეაქტიული ადამიანები სწორედ იმიტომ, რომ რეაქტიულები არიან და აქტიურად არ მოქმედებენ თავიანთ ცხოვრებაზე, ფაქტობრივად, ხელიდან უშვებენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მათ მართლაც წარმატებას მოუტანდა. ამიტომ მათი „გავლენის წრე“ ვიწროვდება (ნახაზი 4).



ნახაზი 4. რეაქტიული ფოკუსი („გავლენის წრე“ მცირდება)

ცხოვრებისადმი ამ ორი მიდგომის შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პროაქტიული მიდგომა იწვევს პროგრესულ ცვლილებებს ადამიანის ცხოვრებაში. ასეთი ადამიანები მუდმივად უსვამენ თავის თავს ასეთ კითხვას: რა გავაკეთო იმისთვის, რომ შევცვალო ჩემთვის არასასურველი სიტუაცია? ასეთი ადამიანები პროგრესულ ადამიანებად ითვლებიან და ცხოვრებაშიც წარმატებული არიან. ისინი არ ცხოვრობენ ხელჩაქნეულად, არ ამბობენ „რაც არის არის“, არამედ იბრძვიან და ნაბიჯ-ნაბიჯ წარმატებებსაც აღწევენ.

ასე რომ, რადგან, თქვენ იცით, რომელი მიდგომით ჯობია ცხოვრება, ადვილად აირჩევთ თქვენი ცხოვრების წესს და თქვენ მიერ დაგეგმილ სტრატეგიულ მიზანსაც ადვილად მიაღწევთ, რა თქმა უნდა, თუ სწორად გამოიყენებთ თქვენს პირად დროს.

ამაზე, იმიტომ მივუთითებთ, რომ ისტორიამ ბევრი ჭკვიანი ადამიანი იცის, რომელიც ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ ვერც ერთ ხელშესახებ წარმატებას ვერ მიაღწია, სწორედ იმიტომ, რომ რაციონალურად ვერ გამოიყენა მის ხელთ არსებული დრო. იცის ისეთებიც, რომლებიც სწორედ დროის სწორი გამოყენებით გახდნენ წარმატებულნი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე სპეციალისტის ძირითადი, ფუძემდებლური კომპეტენცია არის დროის ეფექტიანი ორგანიზების ცოდნა. ეს კი მოხდება მაშინ, თუ იგი სწორად დაგეგმავს საკუთარ საქმიანობას (როგორც მოკლევადიანს, ისე გრძელვადიანს), გამოკვეთს პრიორიტეტებს, საკუთარ დატვირთვას შეუფარდებს თავის შესაძლებლობებს და ენერჯიას და ა. შ. ადამიანი, რაც ადრე შეეცდებოდა ამის სწავლას, მით ადრე მიაღწევს წარმატებებს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ გარდა ამისა, კარიერის მოსაწყობად და აგრეთვე, პირად ცხოვრებაში წარმატებების მისაღწევად სულ რაღაც 25 ყველაზე აქტიური წელი გვაქვს. ეს არის 25 წლიდან 50 წლამდე პერიოდი. ადამიანმა ამ წლებში უნდა მიაღწიოს წარმატებას, რადგან მერე, ე. ი. 50 წლის შემდეგ, ადამიანის ენერჯია კლებულობს.

ასე რომ, სანამ ეს წლები არ დამდგარა, ვისწავლოთ დროის მართვა. ჩვენ თვითონ ჩავუყაროთ საფუძველი ჩვენს ცხოვრებას და დროის გონივრული გამოყენებით მივალწიოთ ჩვენს სტრატეგიულ მიზანს.

ამასთან, ეს იქნება საუბიექტად ჩვენი გარდაქმნის პროცესი.

## პიროვნება, როგორც სუბიექტი

კატეგორია „სუბიექტი“ ადამიანს, პიროვნებას მისი ბუნებრივი, სოციალური, საზოგადოებრივი და სხვა მახასიათებლების აქტიურ პოზიციამში იხილავს. არსებობს აზრი, რომ ადამიანი სუბიექტად არ იბადება, იგი სუბიექტად ხდება თავისი საქმიანი აქტივობის პროცესში [3, გვ. 26].

იგივე აზრისაა მეორე რუსი მეცნიერი კ. აბულხანოვა-სლავსკაია. მისი კონცეფციის კონტექსტში პიროვნული დრო განიხილება „აქტივობის“ ცნების პრიზმაში, რომელიც თავის მხრივ, პიროვნების ცხოვრების დროის რეალურ ორგანიზაციაში, კერძოდ, მის გამოყენებაში აისახება [4, გვ. 18]. აბულხანოვა-სლავსკაია ადამიანის ცხოვრების გზას განიხილავს როგორც დროში განშლილ სპეციფიკურ პროცესს, რომელშიც თვით სუბიექტიდან წამოსული ორი დეტერმინანტი — შიდა და გარე, ეჯახება ერთმანეთს. ამ პროცესში სუბიექტად იქცევა ის ადამიანი, ის პიროვნება, რომელიც შეძლებს ამ ორი დეტერმინანტს შორის წარმოშობილ წინააღმდეგობის გადაჭრას და ამ გზით შექმნის თავის თვითრეალიზაციის, თვითგამოხატვის პირობებს [4, გვ. 17]. მართლაც პიროვნების, როგორც სუბიექტის ხარისხი მისი ცხოვრების ოპტიმალურ მონაცხებაში გამოიხატება. ცხოვრების ორგანიზება ეს არის ადამიანის მიერ თავისი ქმედებების, სიტუაციების და საქმიანობის ისეთნაირად განხორციელების უნარი, რომ ისინი ერთიან ჩანაფიქრს ექვემდებარებოდნენ და ერთ, ძირითად, მთავარ მიმართულებაზე იყვნენ კონცენტრირებულნი.

პიროვნების საქმიანობა დროში მიმდინარეობს. დროის პრობლემა ადამიანის ყოფითი პრობლემაა. განსაკუთრებით გამწვავდა ეს პრობლემა XXI საუკუნის დასაწყისში, რადგან ადამიანების დროითი შესაძლებლობები წინააღმდეგობაში მოვიდა ადამიანების მიერ ყოფაში გამოყენებულ ზეჩქარ ტექნიკურ სისტემებთან.

პიროვნებას როგორც დროის ორგანიზების სუბიექტს, შეუძლია დროის ორგანიზებაში აქტიური პოზიციის დაკავება, ფასეულობათა საკუთარი სისტემის შესაბამისად მისი ორგანიზება და დროისთვის აზრის მიცემა. პიროვნება დროს აღიქვამს როგორც თავის ყოფით სივრცეს, რომელსაც იგი აძლევს შინაარსს და მასში თავის თავის რეალიზაციას ახდენს.

ადამიანს ყოფის სამი ობიექტური სივრცე აქვს: ორგანიზმი, გარემო და საქმიანობა. ისინი ადამიანისთვის სხვადასხვანაირია და მათ ადამიანების შინაგანი სამყარო განსაზღვრავს. სწორედ ადამიანების ამ შინაგან სამყაროს თავისებურებებზე არის დამოკიდებული მათ მიერ საკუთარი სუბიექტურობის რეალიზაციის ტიპაჟი, რომლის სახეებია:

- ორგანიზმული;
- სოციალური;
- საქმიანი.

ეს ჩამონათვალი პიროვნებების ფსიქოლოგიური პორტრეტებია და ნებისმიერი ადამიანი ამ სამი ტიპიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება. დროის გამოყენებაში მათი სუბიექტურობა სხვადასხვანაირად მჟღავნდება და ამიტომ სასურველია სამსახურში მიღებისას ადამიანები მათი ფსიქოლოგიური ტიპის გამოსაკვეთათ სპეციალური ტესტების გამოყენებით შემოწმდნენ და შესაბამისადაც დასაქმდნენ.

„ორგანიზმული ტიპის“ პიროვნების დრო სადაგი, ჩვეულებრივი საქმეებით არის შევსებული. უჩვეულო, მოულოდნელი საქმეები მას იშვიათად უჩნდება. დღის დაგეგმვისას ის აფიქსირებს, რა უნდა გააკეთოს. არ ეჯობება სხვას. სამუშაოს სერიოზულად უდგება, მაგრამ არა ფანატიკურად. მუშაობს ენერგიულად, მაგრამ არა სწრაფად. სურვილის შემთხვევაში შეუძლია მცირე დროში დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება, რომლის შემდეგ ითხოვს დასვენებას. მისი საქმეები ერთგვაროვანია და არასასწრაფო. სამუშაოს შესრულების ვადებს თვითონ საზღვრავს. საჭირო შემთხვევაში, რაც იშვიათად ხდება, შეუძლია ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება. აქვს ხელფასის მომატების და არა კარიერული წინსვლის მოთხოვნილება. ილტვის კომფორტისკენ. შვებულების დროს ისვენებს და თავისუფლდება ყველა პრობლემისგან. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ არა აქვს სამსახურში დარჩენის, ანდა ზეგანაკვეთური მუშაობის ჩვევა. მუშაობით დაღლილ შემთხვევაში გარკვეული დრო ძალებს იკრებს და უფრო ნაკლებ ეფექტურად მუშაობს. თუ თავს შეუძლოდ გრძნობს, სახლში რჩება და სამსახურში არ მიდის. სამუშაოს შესრულებაზე ისეთივე პასუხისმგებლობა აქვს როგორც სხვებს. არ გრძნობს დროის უკმარისობას. არ ხარჯავს დროს შეცდომების გაანალიზებაზე. მისთვის მთავარია ხედავდეს მიზანს და მოსალოდნელ შედეგს. მისთვის ძნელი არ არის მომზადების გარეშე დაწეროს სერიოზული წერილი. იღვწის იმისთვის, რომ იცხოვროს სიამოვნებაში და კომფორტში. მისი მთავარი მიზანი არის ვიტალური და გედონისტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ის ფიქრობს, შემდეგნაირად: ჩვენ განკუთვნილი ვართ ჩვენი სხეულისთვის, ისე როგორც მოლუსკები ნიჟარებისთვის“ [5, გვ. 345].

„სოციალური ტიპის“ პიროვნების დრო გადაუდებელი, სასწრაფოდ გადასაჭრელი საქმეებით არის დატვირთული. უჩვეულო, მოულოდნელ საქმეებს იგი თითქმის ყოველ კვირა აწყდება. დღის განწესს აფიქსირებს ჩანერით და არა დამახსოვრებით (განსაკუთრებით დაპირებებს და შეხვედრებს). მოსწონს შეჯიბრებითობა და შეჯიბრში გამარჯვება. სამუშაოს უდგება სერიოზულად. იგი ენერგიული ადამიანია. მცირე დროში ასრულებს დიდი მოცულობის სამუშაოს. აქვს მრავალი სასწრაფო საქმეები, რაც მასში იწვევს ძალების დაძაბვას. აქვს პასუხისმგებლობა სამუშაო შეასრულოს დათქმულ დროში. იშვიათად აწესებს საქმის შესრულების ვადებს დამოუკიდებლად. უპირატესობას აძლევს სხვების რჩევებს და ათანხმებს მათ თავის გეგმებს (ეს მას ხშირად დროს აკარგვინებს). ცდილობს კარგად გამოიმუშაოს. არ ყოფნის დასვენების დრო და ცდილობს შვებულების გახანგრძლივებას. დასვენების დროს ფიქრობს სამუშაოს შესახებ (განსაკუთრებით თავის მოვალეობების შესახებ). დაღლილ შემთხვევაში მუშაობს უფრო ნელა. თუ თავს შეუძლოდ გრძნობს არ რჩება სახლში. მუშაობის პროცესში ჩქარობს, რადგან ქების დამსახურება უნდა.

სოციალურ ტიპს არ უყვარს მომხდარი მიზეზების და მოტივების განხილვაზე დროის დაკარგვა. ლელავს მომავალზე და ფიქრობს სამომავლო პრობლემებზე. წესად აქვს თავისი გადანყვეტილების შეთანხმება კოლეგებთან. ცდილობს გამოიცნოს სხვების აზრი საკუთარ თავზე. როცა კონფლიქტს აანალიზებს დამნაშავეთა განხილვას საკუთარი თავით იწყებს.

„საქმიანი ტიპის“ ადამიანის პიროვნული დრო ჩვეულებრივი, კარგად ათვისებული საქმეებით არის დატვირთული. გაუთვალისწინებელი ვითარებები და რთული საქმეები მას კვირაში ერთხელ ხვდება. მისი საქმეები იმდენად ნაცნობია მისთვის, რომ არ სჭირდება გეგმის შედგენა. მოსწონს შეჯიბრი შრომაში და გამარჯვება დიდ სიამოვნებას ანიჭებს. დარწმუნებულია თავის ძალებში და საჭირო შემთხვევაში შეუძლია კამათში თავი გაიმართლოს. მოსწონს იყოს პირველი და ყველაზე უკეთესი. სამუშაოს უდგება მეტად სერიოზულად, ენერგიულად. შეუძლია ბევრი მუშაობა. სამუშაოს შესრულების ვადებს სახლშიც და სამსახურშიც მეტად ხშირად თვითონ გეგმავს. სამუშაოს შესრულებისას ცდილობს სხვას აჯობოს, სხვაზე სწრაფად იმუშაოს. ხშირად ერთდროულად სხვადასხვა საქმეზე მუშაობს. დაღლის შემთხვევაში ისეთივე აქტიურობით მუშაობს, როგორც დაღლამდე. თუ შეუძლოდ გრძნობს თავს, მაინც მიდის სამსახურში და მუშაობს. გრძნობს ვადაში საქმის შესრულების დიდ პასუხისმგებლობას. ჩვევად აქვს სამსახურში სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ დარჩენა და ზეგანაკვეთური მუშაობა. მისთვის კარიერული წინსვლაა მნიშვნელოვანი და არა ხელფასის მომატება. სხვა მუშაკებთან შედარებით მეტ პასუხისმგებლობას გრძნობს. შვებულებაში ყოფნისას პერიოდულად ფიქრობს სამსახურზე, ხოლო შვებულების დამთავრებისას აქვს სამსახურში დაბრუნების დიდი მზადყოფნა.

„საქმიან ტიპს“ ახასიათებს მომავალზე, მომავალ საქმიანობაზე ფიქრი, მომავალი მიზნების და შედეგების განჭვრეტა. მომავალი საქმიანობის შედეგების პროგნოზირება და დაგეგმვა. რთული ამოცანების გადანყვეტის მეთოდებზე მაშინაც კი ფიქრობს, როცა პრაქტიკულად სხვა საქმით არის დაკავებული.

პიროვნების ტიპების ამ დახასიათებიდან შეგვიძლია მოვახდინოთ დროში ადამიანების ქცევითი აქტიურობის დიფერენცირება და სამსახურში მოღებისას მათ სამუშაოც ამის შესაბამისად შევთავაზოთ:

„ორგანიზმული ტიპი“ დროული დასვენების მოწყობით ორგანიზმს უნარჩუნებს რეზერვს, დროს გამოყოფს მისთვის სასიამოვნო და საინტერესო საქმეებისთვის, თავისდროულად იკმაყოფილებს ვიტალურ, ორგანიზმულ და გედონისტურ მოთხოვნილებებს, პირადი დროის ორგანიზებას შეუსაბამებს საკუთარი ორგანიზმის რიტმს, ტემპს და აქტიურობის და პროდუქტიულობის პერიოდებს.



„სოციალური ტიპი“ იცავს სოციალურ ნორმებს (სამუშაოს დაწყება და დამთავრება), გამოყოფს დროს სოციალური რიტუალების შესასრულებლად, პირადი დროის ორგანიზებას ახდენს სოციუმის დროითი მოთხოვნილებების და შრომითი კოლექტივის სხვა წევრების მუშაობის ტემპების შესაბამისად.

„საქმიანი ტიპი“ სამუშაოს ასრულებს საკუთარი ტემპით, რიტმით და სამუშაო გრაფიკით. გამოყოფს დროს ახალ ინფორმაციის მიღებისთვის, კვალიფიკაციის და სტატუსის ამაღლებისთვის.

მაშასადამე, ფირმაში ვაკანსიების დასაკავებლად კონკურსში გამოცხადებული ადამიანები ჩამოთვლილი ფსიქოლოგიური ტიპებიდან რომელიმე ერთ-ერთს მიეკუთვნებიან. ფირმის მენეჯერის ვალია განსაზღვროს თავისუფალ ვაკანსიას რომელი ტიპი უფრო შეესაბამება და მასთან გააფორმოს კონტრაქტი. თუ არჩევანი სწორად მოხდა, მაშინ ამ ტიპის პიროვნება დასაქმებისას სრულ თვითაქტუალიზაციას მოახდენს დროში.

გასათვალისწინებელია მეორე გარემოებაც, კერძოდ, კულტურათაშორის განსხვავებები დროის აღქმაში. ადამიანები ყველა კულტურაში (აშშ, მექსიკა, იაპონია, არაბეთი და ა. შ.) ზემოთჩამოთვლილ ტიპებად იყოფიან, მაგრამ ერთ და იგივე ტიპები, თუ ისინი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან, დროს სხვადასხვანაირად აღიქვამენ. მაგალითად, აშშ-ში მცხოვრები „საქმიანი ტიპის“ პიროვნება ინტელექტუალური, შრომისმოყვარე, გამომგონებელი, ენერგიული, ახალ-ახალ ინფორმაციაზე მონადირე, მაღალი ტემპით და რიტმით მომუშავე პუნქტუალური ადამიანია [6, გვ. 285]. ასეთივეა „საქმიანი ტიპის“ ბრაზილიელი, რომელსაც ყველა ეს თვისება აქვს ერთის გამოკლებით. ის არ არის პუნქტუალური და სამუშაოზეც და შეხვედრებზეც აგვიანებს. ბრაზილიელების რწმენით „ადამიანები რომლებიც მუდმივად აგვიანებენ, უფრო წარმატებულები არიან, ვიდრე ისინი, რომლებიც არ აგვიანებენ“ [6, გვ. 267]. ბრაზილიელები ფიქრობენ, რომ ისინი აგვიანებენ იმიტომ, რომ ყავთ მეტი მეგობარი, მეტი პარტნიორი და მათთან საქმიანი ურთიერთობა მოითხოვს დროის მეტ დახარჯვას. ანუ ბრაზილიაში პუნქტუალობის ნაკლებობა „უტოლდება“ წარმატებას.

დროის მიმართ ნაკლები ყურადღება კიდევ უფრო თვალსაჩინოა აღმოსავლეთის ქვეყნებში. იქ ქუჩაში დაყენებული საათებიც კი 3-5 წუთით ერთმანეთისგან განსხვავებულ დროს უჩვენებენ, ინდონეზიაში ბანკის ოფისებშიც კი საათები 3 წუთით არის უკან. ეს ხდება იმიტომ, რომ დასავლურ კულტურაში დრო საქონელია. არის ასეთი გამოთქმაც „დრო ფულია“. აღმოსავლური კულტურის ხალხებისთვის კი დრო რაღაც მოქნილ და ცვალებად ფენომენად აღიქმება. ისინი არ ჩქარობენ საქმის მოსწრებას დროში. ამდენად დროში მათი სუბიექტურობის რეალიზაცია ნელა ხდება.

რადგან საქართველოში უკვე ფეხს იკიდებს და ფუძნდება მრავალეროვნული კომპანიები, რომელთა ვაკანსიებზე სხვადასხვა კულტურათა

ნარმომადგენლები იქნებიან პრეტენდენტებად, დამსაქმებელმა მენეჯერებმა დროის აღქმაში მათი კულტურათაშორისი განსხვავებებიც უნდა გაითვალისწინონ.

ამრიგად, პიროვნება, როგორც დროის ორგანიზების სუბიექტი და საკუთარი სუბიექტურობის მარეალიზებელი ადამიანი, არ არის ცალსახად ერთი ტიპი. იგი სამიდან – „ორგანიზმული“, „სოციალური“ და „საქმიანი“ – ერთ-ერთი ტიპის ნარმომადგენელია და დროის აღქმაში აქვს თავისი კულტურისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

#### ლიტერატურა:

1. Whitrow G., The study of time, N. Y. 1978, Vol. 133.
2. Кови С., Семь навыков высоко эффективных людей: мощные инструменты развития личности, «Омега-Л», М., 2012, 410 с.
3. Тарасова Л., Основы психологии Субъекта, Саранск, «Весна», 2004, 381 с.
4. Абулханова К., Березина Т., Время личности и время жизни, М., СПб, 2001, 212 с.
5. ამინოვი ი., ერიაშვილი ნ., საქმიანი ურთიერთობის ფსიქოლოგია, „სამართლიანი საქართველო“, თბ., 2009, 359 გვ.
6. შენგელია თ., საერთაშორისო მენეჯმენტი, „ახალი საქართველო“, თბ., 2012, 721 გვ.

## Person as the Subject of Time Organization

*Manana Kharkheli*

*Assistant-Professor,  
Georgian Technical University*

There are three psychological types of people described in the article - body, social and business. Their activities are different. Hence, manifestation of their subjectivity is also different. During the life cycle two determinates of a person external and internal clash. As the result, the person, who is able to overcome those obstacles and to create conditions for self actualization becomes the subject.

The article recommends managers to evaluate the candidates for employment with special tests. It is also desirable to take into consideration a cultural difference in a time perception.

**Keywords:** Time; person; reactive; proactive; social.

**JEL Classification:** J20, J22, J39

მიკროეკონომიკა ✧ მაკროეკონომიკა ✧ ეკონომეტრიკა  
MICROECONOMICS ✧ MACROECONOMICS ✧ ECONOMETRICS

---

**უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტი: აქტუალურობა  
საქართველოსთვის**

*იოსებ ხელაშვილი*

*გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
შპს „კამარას“ კონსალტინგი*

სტატია ეძღვნება საერთაშორისო პრაქტიკაში შედარებით ახალი საინვესტიციო ინსტიტუტის საქართველოში დანერგვის საკითხებს. შესწავლის კონკრეტული მიზანია, ე.წ. უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტების აქტუალურობის და შესაძლებლობის განსაზღვრა. მიზნის ასეთი ფორმულირება, რომელიც ახასიათებს კვლევების საწყის ეტაპებს, განპირობებულია თემის სიახლით. აღნიშნული ტრასტები საქართველოს კონტექსტით სპეციალურ ლიტერატურასა და სხვა პუბლიკაციებში ჯერ არ განხილულა და წინამდებარე სტატია წარმოადგენს ამის პირველ მცდელობას. ამან განაპირობა ორი ძირითადი ამოცანის დასახვა: საკუთრივ უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტის განხილვა და მისი გააზრება საქართველოს პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** უძრავი ქონება; საინვესტიციო ტრასტი; კონკურენტული უპირატესობა; უძრავი ქონების ბაზარი; პილოტური შეფასება; საქართველო.

**REIT-ის საინვესტიციო ფონდი და მისი მნიშვნელობა**

უძრავ ქონებაზე ორიენტირებული ინვესტორები ფართოდაა წარმოდგენილი საერთაშორისო პრაქტიკაში, ესენია - ფონდები, საჯარო კორპორაციები, ბანკები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ამხანაგობები და ინდივიდუალური ინვესტორებიც კი. მათ შორის არის შედარებით ახალი და პროგრესირებადი საინვესტიციო ინსტიტუტი - REIT –

Real Estate Investment Trust – „უძრავი ქონების საინვესტიციო ტრასტი“ (შემდგომში REIT), რომელიც გამოირჩევა რიგი თავისებურებით და უპირატესობითაც კი სხვა მსგავს ინსტიტუტებთან შედარებით.

REIT-ი ფაქტობრივად არის სტატუსი, რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს სააქციო საზოგადოებას, კორპორაციას ან ფონდს. ამ სტატუსის მთავარი უპირატესობა ტრასტის მიერ მაპროფილებელი საქმიანობიდან მიღებული მოგების გადასახადიდან განთავისუფლება. ამასთანავე, გადასახადი სავალდებულო ხდება ტრასტის აქციონერების მიერ დივიდენდების მიღების დროს.

REIT-ის მთავარი დანიშნულებაა მრავალრიცხოვანი წვრილი ინვესტიციებისგან ფონდის შექმნა უძრავი ქონების ბიზნესში მსხვილი საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად. მნიშვნელოვანია, რომ ხშირად, საინვესტიციო საქმიანობა ხორციელდება შესაბამისი პროფესიონალების მიერ, რომელთა დაქირავება სხვა შემთხვევაში წვრილი ინვესტორისათვის მიუწვდომელი ფუფუნებაა.

REIT-ის აქციები, თუ იგი საჯარო კომპანიაა, თავისუფლად იყიდება საფინანსო ბაზრებზე როგორც ჩვეულებრივი აქციები (ე.წ. ლია ტიპის ფონდი), ან პირველად საჯარო შეთავაზებაზე (ე.წ. დახურული ტიპის ფონდი). ამასთანავე, REIT-ის ფონდი შეიძლება დაფინანსდეს ინვესტორების პირდაპირი წილობრივი მონაწილეობით, თუ კომპანია შეიქმნება როგორც ერთ-ერთი სტანდარტული ბიზნეს-სუბიექტი. ტრასტის მაპროფილებელი საქმიანობა განსაზღვრულია სამი მიმართულებით: უძრავი ქონების განკარგვა გაქირავების მიზნით (ბევრ ქვეყანაში ტრასტს არა აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ ქონების მენეჯმენტში, რისთვისაც იგი ქირაობს შესაბამის კომპანიას, აგრეთვე, ხშირად იზღუდება დეველოპური საქმიანობაც); უძრავი ქონების შექმნა-გაყიდვა მოგების მიღების მიზნით; დაბოლოს, იპოთეკური სესხების გაცემა საპროცენტო შემოსავლების მისაღებად. როდესაც ტრასტი ითავსებს რამდენიმე ასეთ ფუნქციას, მას ჰიბრიდულს უწოდებენ.

REIT-ს გააჩნია რიგი თავისებურება, როგორიცაა, მაგალითად, ტრასტის ვალდებულება გაანაწილოს დივიდენდების სახით მაპროფილებელი საქმიანობიდან მიღებული თითქმის მთელი შემოსავალი (80-100% - ქვეყნების მიხედვით); ფონდის აქციონერთა მინიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა (მაგალითად აშშ-ში - 100 მეწილე), ცალკეული პირის ან დაკავშირებული პირების მიერ საკონტროლო პაკეტის ფლობის დაუშვებლობა. არსებობს მოთხოვნები ინვესტიციების დივერსიფიცირების მიმართაც (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ტრასტი უნდა ფლობდეს სულ ცოტა სამ ობიექტს და თითოეული მათგანის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ტრასტის ქონების საერთო ღირებულების 40%). განისაზღვრება ტრასტის სანესდებო ფონდის მინიმუმიც (მაგალითად, ფინეთში იგი შეადგენს 5 მლნ აშშ დოლარის ეკვივა-

ლენტს, ხოლო ლიტვაში 125 ათას ევროს, თუმცა, შესაძლოა იყოს ნაკლებიც იმისდა მიხედვით, თუ რა ტიპის იურიდიული ერთეულით იქნება წარმოდგენილი ტრასტი).

სხვაობები REIT-ის კანონმდებლობაში ქვეყნებს შორის ვლინდება არა მარტო ზოგადი პრინციპების ნორმატიულ მაჩვენებლებში, არამედ თავად ტრასტების ძირითად დანიშნულებაშიც, რაც გაპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პრიორიტეტებით. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში REIT-ი უნდა იყოს მხოლოდ ადგილობრივი კომპანია, რათა განთავისუფლდეს მოგების გადასახადიდან; ფინეთში, REIT-ის მფლობელობაში ძირითადად საცხოვრებელი სახლებია და არა კომერციული ობიექტები; ბრაზილიაში, საგადასახადო შეღავათი ვრცელდება მხოლოდ ტრასტის შემოსავლის იმ ნაწილზე, რომელიც გაიცემა დივიდენდების სახით ფიზიკურ პირებზე და არა აქციების მფლობელ კომპანიებზე; არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში კი REIT-ის რეგულირება ვრცელდება მხოლოდ თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მდებარე უძრავ ქონებაზე და ასე შემდეგ.

REIT-ების განვითარების ისტორია იწყება აშშ-ში 1960-იანი წლების დასაწყისიდან. მისი გამოჩენა ლოგიკური შედეგია იმ პროცესებისა, რომლებიც განვითარდა ქვეყანაში ომისშემდგომ პერიოდში - ე.წ. კაპიტალიზმის ოქროს ხანაში [22; 25; 32]. აშშ-ში იგი გამოირჩეოდა ეკონომიკის ზრდის მაღალი მაჩვენებლებით (საშუალოდ, წელიწადში მ.შ.პ. 4-5%-ით), ახალი სამუშაო ადგილების მასობრივი შექმნით ქალაქებში, ურბანიზაციის პროცესების მკვეთრი გაძლიერებით და საშუალო ფენის მოსახლეობის შემოსავლების ზრდით. ამ პროცესების შედეგად, ერთი მხრივ, იზრდება მოთხოვნები ბინებზე ქალაქებში და შესაბამისად მათ მშენებლობებზე, ხოლო მეორე მხრივ, გროვდება გარკვეული საინვესტიციო პოტენციალი, რომელიც შედგება მოსახლეობაში გაფანტული მცირე და საშუალო დანაზოგებისაგან. ამ პოტენციალის ასათვისებლად საჭირო გახდა სპეციალური საფინანსო ინსტიტუტის დანერგვა, რაც განხორციელდა 1960 წელს შესაბამისი კანონმდებლობის მიღებით. [26; 29].

ევროპაში REIT-ები ვითარდება 1970-იანი წლების დასაწყისიდან, ხოლო აზიაში ფეხს იკიდებეს 2000-იანი წლებიდან. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ცალკეული გამონაკლისის გარდა), ჩინეთსა და ისრაელში მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზის მომზადება, როგორც ტრასტების შექმნის წინაპირობა. [17, გვ. 9]; [12, გვ. 6-7; 23, გვ. 13; 31]. აღსანიშნავია, რომ მეზობელ თურქეთში ეს ტრასტები არსებობს 1997 წლიდან. მათმა რაოდენობამ დღეს უკვე 30-ს მიაღწია და საერთო კაპიტალიზაცია 15 მლრდ დოლარს უახლოვდება [27]. ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს რუსეთი, სადაც 2003 წელს დაარსდა მეპაიეთა საინვესტიციო ფონდი, მაგრამ იგი რიგი პრინციპული თვისებებით განსხვავდება კლასიკური REIT-საგან.

დღეისათვის განსაკუთრებით მსხვილი ფონდები ჩამოყალიბდა საცხოვრებელ სახლებთან დაკავშირებულ სექტორში, მაგალითად Equity Residential-ს კაპიტალიზაციამ 2013 წელს მიაღწია 28.49 მლრდ აშშ დოლარს [39, Ticker EQR], ჯანდაცვის სფეროში გამოირჩევა - Health Care REIT, Inc - 27.25 მლრდი დოლარის კაპიტალიზაციით [39, Ticker HCN], ხოლო სასტუმრო ბიზნესში, მსოფლიოში ყველაზე მსხვილი სასტუმრო კორპორაცია სწორედ REIT-ის ტიპის ფონდს წარმოადგენს. ეს არის Host Hotels & Resorts, რომელიც, სხვა სასტუმრო ქსელებთან ერთად, ფლობს Marriott-ის ქსელსაც და მისი ფონდის კაპიტალიზაციამ, იმავე წელს, შეადგინა 16.23 მლრდ დოლარი, ხოლო საქმიანობიდან მიღებულმა თანხებმა (ე.წ. Funds From Operation, რაც REIT-ის წმინდა შემოსავლების სპეციფიურ მაჩვენებელს წარმოადგენს) - 989 მლნ დოლარს [39, 41].

ტრასტების განვითარების ზემოთაღნიშნული დინამიკა დღის წესრიგში აყენებს ამ საკითხის შესწავლის აქტუალურობას საქართველოს მიმართ იმ პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც უკვე გამოვლინდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

## **REIT-ების პრაქტიკის შესწავლის ძირითადი საკითხები**

REIT-ების თემატიკას და უძრავი ქონების გლობალურ ბაზარს, მათ რეგიონულ და დარგობრივ თავისებურებებს მიეძღვნა ბევრი სამეცნიერო და ემპირიული კვლევა, რომლებიც ძირითადად ჩატარებულია ამერიკელი, ევროპელი და ავსტრალიელი სპეციალისტების მიერ. მრავლად არის წარმოდგენილი საჯარო ინფორმაცია საკონსულტაციო და საინვესტიციო კომპანიების მხრიდანაც. საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცნობები მოიპოვება შესაბამისი ასოციაციებისა და ქვეყნების ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი კომისიების ოფიციალურ ვებგვერდებზე.

კვლევებისა და განხილვების თემატიკა ძირითადად დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა: ტრასტის როლი ინფლაციისა და ფინანსური კრიზისის პერიოდებში; ტრასტის ფასიანი ქაღალდების შედარება სხვა ფასიან ქაღალდებთან და შემოსავლებთან, რომელსაც იღებენ უძრავი ქონების უშუალო მესაკუთრეები; ტრასტების ფასიანი ქაღალდებისა და შემოსავლების კორელაცია ან დამოკიდებულება სესხების ღირებულებებზე, ბონდების საპროცენტო განაკვეთებსა და უძრავი ქონების ფასებზე. განიხილება აგრეთვე, სხვაობები ტრასტებს შორის და მათი რეგიონული თავისებურებები, ტრასტების ფუნქციონირება განსხვავებულ ეკონომიკურ პირობებში და მათი ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ და ბიზნეს-გარემოზე.

კვლევების დიდი ნაწილი ეძღვნება ტრასტების მნიშვნელობას, როგორც ინფლაციისაგან დაცვის ეფექტურ საშუალებას, მათ შორის ე.წ. ჰე-

ჯირების მეთოდებით. [12, გვ. 14-15; 14]; [17, გვ. 3-11; 28]. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს აშშ-ის გამოცდილების შესწავლა, რომელმაც გამოავლინა, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ტრასტის აქციებიდან მიღებული შემოსავლები, როგორც წესი, რამდენიმე პროცენტით აღემატება ინფლაციის მაჩვენებლებს [12, გვ. 8, 14]. თუმცა, შეიძლება იყოს გამონაკლისებიც კონკრეტულ ვითარებაში, მაგალითად, 2000-ანი წლების შუა პერიოდი, როდესაც ჭარბმა და იაფმა სესხებმა უძრავი ქონების შეძენაზე გამოიწვია ამავე ქონების ფასების უჩვეულო ვარდნა იმავე აშშ-ში [12, გვ. 14].

ამ საკითხისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, ტრასტების ინვესტიციების დივერსიფიცირებას, როგორც ინფლაციისაგან დაცვისა და რისკების შემცირების მთავარ საშუალებას. ამერიკელი მეცნიერის მტკიცებით, ინვესტიციების დივერსიფიცირების დაკანონებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აქციონერების ინტერესების დაცვაში 2000-ან წლების ბოლოს აშშ-ში განვითარებული უძრავი ქონების ფასების კრიზისის პერიოდში [24]. რისკების თვალსაზრისით, აღინიშნება, რომ ტრასტების მიერ მიღებული შემოსავლები, როგორც წესი, უფრო სანდოა და სტაბილური, ვიდრე ბინებისა და შენობების უშუალო მესაკუთრეების საარენდო შემოსავლები. ამასთანავე, ზოგადი კანონზომიერების თანახმად, ნაკლები რისკის მატარებელ შემოსავლებს ახასიათებს ნაკლები საშემოსავლო განაკვეთებიც. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, ჰონგ-კონგში. თუმცა, არსებობს საინანაღმდეგო ვითარებაც, მაგალითად აშშ-სა და იაპონიაში [12, გვ. 4,8, 22-26; [17, გვ.11].

ყურადღებას იმსახურებს ტრასტის აქციების უზრუნველყოფის შესწავლის საკითხები. კვლევები ავლენს ზოგად კანონზომიერებას, რომლის თანახმად უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ აქციებს ახასიათებს მეტი სანდოობა, ვიდრე ჩვეულებრივს. ამ უპირატესობას ექსპერტები ხსნიან რამდენიმე გარემოებით. ერთია, ტრასტებისათვის დამახასიათებელი მაღალი საბალანსო ლიკვიდობა, რაც განპირობებულია მოგების გადასახადებისაგან განთავისუფლებით და აბათილებს სესხების აღების მოტივაციას გადასახადების შემცირების მოსაზრებებით. ამის შედეგად, მცირდება ვალდებულებების წილი აქტივებში და იზრდება ტრასტების ლიკვიდობა. აღნიშნული კანონზომიერება გამოვლინდა კანადის, საფრანგეთისა და ბელგიის მაგალითებზე, სადაც უძრავი ქონების პირდაპირ მფლობელი კომპანიების აქტივებში ვალდებულებები შეადგენდა 50-60%, ხოლო ტრასტების სტატუსის მიღების შემდეგ, მათი წილი შემცირდა 20%-მდე. მეორე გარემოებაა კანონით გათვალისწინებული დივიდენდების სრული (ან თითქმის სრული) გაცემის ვალდებულება, რაც უზრუნველყოფს ინვესტორის შემოსავლების სტაბილურობას. სხვა გარემოებებთან ერთად, აგრეთვე სახელდება ზემოთ ხსენებული ინვესტიციების დივერსიფიცირების შესაძლებლობებიც [17, გვ. 31-32].

ფინანსური ბაზრის მკვლევარებმა და ექსპერტებმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს ტრასტის აქციების შედარებას სხვა ფასიან ქალაქდებთან მათი ეფექტურობისა და ფასების დინამიკის თვალსაზრისით. ამ სახის კვლევებში, ტრადიციულად, გამოიყენება ფინანსური ბაზრების აგრეგირებულ და დარგობრივი ინდექსები [23, გვ. 37]. მაგალითად, Basse, Friedrich და Bea -მ შეადარეს აშშ-ის ტრასტების სექტორის სპეციალური ინდექსი - Dow Jones Composite REIT Total Return Index, ფინანსური ბაზრის მეორე ინდექსს - S&P 500 Utilities Total Return Index, რომელიც შეიცავს S&P 500 კომუნალური მეურნეობის მონაცემებსაც. ანალიზის შედეგად გამოვლინდა გარკვეული მსგავსება ტრასტების აქციების ფასებისა და კომუნალური სექტორის აქციების ფასების დინამიკაში ეკონომიკურად ცვლად გარემოში. ასევე აღმოჩნდა, რომ აქციების ფასები ამ ორივე სექტორში გამოირჩევა განსაკუთრებული მდგრადობით რეცესიებისა და ინფლაციის პირობებში. ამასთან, 2008 წლის შემდეგ, გლობალურად გამოიკვეთა REIT-ს აქციების ფასების პირდაპირი კორელაცია ჩვეულებრივ აქციებთან [12, გვ. 10], რასაც ადრე არ ჰქონდა ადგილი. ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა აშშ-ის მაგალითზე გამოავლინა მსგავსება GRSP ინდექსთან მიმართებით, რომელიც წარმოადგენს შედარებით მცირე კაპიტალიზაციის მქონე კომპანიას [13, გვ.4]. ავტორები, აგრეთვე, აღნიშნავენ ზოგად თვისებებსაც. კერძოდ, ტრასტების აქციებისათვის დამახასიათებელ პრემიუმის დაბალ მაჩვენებელს ჩვეულებრივ აქციებთან შედარებით, რაც დამახასიათებელია დაბალი რისკის შემცველ ფასიანი ქალაქდებისთვის. აღნიშნება, ტრასტის აქციების შემოსავლებში დივიდენდების უპირატესობა ამ აქციებით ვაჭრიბიდან მიღებული შემოსავლების წინაშე [12, გვ. 10].

მკვლევარების დასკვნები, რომლებიც ეხება სესხების განაკვეთების ზეგავლენას ტრასტების აქციების ფასებზე, გამოირჩევა განსაკუთრებული არაერთგვაროვნებით და წინააღმდეგობრიობითაც კი. ანალიტიკოსების აზრით, სირთულეა ის, რომ სესხების გაიფება ან გაძვირება უშუალო ზეგავლენას ახდენს არა აქციების ფასზე, არამედ, იმ ქონებაზე, რომლითაც უზრუნველყოფილია ეს აქციები [28]. შვეიცარული ბანკის UBS-ის ანალიტიკოსი, ერთი მხრივ, აღნიშნავს, რომ ევროპაში უძრავი ქონების სექტორი, ისევე, როგორც აშშ-ის REIT-ს სექტორი, ყველაზე მგრძობიარეა სესხების (ფულის) ღირებულების მიმართ [20, გვ.1]. მისი ეს დასკვნა ეყრდნობა ევროპის ბაზრის შესწავლას, რომლის მიხედვითაც 2006 წლიდან დაწყებული ფინანსების დაბალი ღირებულების პირობებში, უძრავი ქონების ბაზარზე შეიმჩნეოდა ფასების ზრდა (11% - 2013 წელს) და ამ მაჩვენებლით აღნიშნული სექტორი ჩამორჩებოდა მხოლოდ, EURO STOXX 50 ინდექსის ზრდის ტემპებს (13.3%), რომელიც მოიცავს ევროპის ნამყვან 50 კომპანიას. მეორე მხრივ, მკვლევარებმა,



რომლებმაც გაანალიზეს ამ ფასების ცვლილება აშშ-ში, 1972-2013 წლების მანძილზე მათ მიერ გამოყოფილ 7 ერთმანეთისაგან განსხვავებულ ეკონომიკურ პერიოდში, აცხადებენ, რომ ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე არ აისახება პირდაპირ ტრასტების აქციების ფასებზე [16].

ბონდების საპროცენტო განაკვეთებიდან მიღებული შემოსავლები განიხილება ტრასტების შემოსავლების ერთგვარ კონკურენტად ინვესტიციების მოზიდვაში. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევების შედეგად, ავტორები აღნიშნავენ, რომ მთლიანობაში ტრასტისგან მიღებული შემოსავლები უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია ბონდების განაკვეთების ცვლილებებთან [12, გვ. 10]. იმ ვითარებაში, როდესაც ბონდების განაკვეთები ჩამორჩება ტრასტების აქციების შემოსავლების განაკვეთებს, ბუნებრივად ტრასტებში ინვესტირება ხდება უფრო მიმზიდველი [12]. იგივე კანონზომიერება ვლინდება, როდესაც ქირის შემოსავლები აღემატება ანაბრების შემოსავლებს. ამასთანავე, თუ ბონდების განაკვეთები იზრდება ეკონომიკური აღორძინების პირობებში, მაშინ ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე უსწრებს ბონდების შემოსავლების ზრდას [20, გვ.1], რაც კვლავ უნარჩუნებს ტრასტებს ამგვარ მიმზიდველობას ინვესტორებისთვის.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ავტორთა უმრავლესობის აზრით, ტრასტის აქციები არის საკმაოდ განსხვავებული ყველა სხვა ფასიანი ქალაქისაგან და ავლენს მსგავსებებს მხოლოდ გარკვეული დარგების აქციების მიმართ, კონკრეტულ ეკონომიკურ ვითარებასა და/ან პერიოდებში.

ეკონომისტების დაინტერესება ვლინდება ტრასტების მიერ გამოწვეულ კაპიტალის გადანაწილების პროცესების მიმართაც. ამ საკითხს მიუძღვნეს თავისი კვლევა პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორებმა და გამოავლინეს, რომ 2001 წელს, ე.წ. “dot.kom”-ების ბიზნესის ბუმის შემდეგ და მრეწველობის სექტორში აქციების ფასების ვარდნის ფონზე, ფინანსურ ბაზრებზე შეიქმნა დეფიციტი მაღალშემოსავლიან და შედარებით სანდო აქციების შეთავაზებებში. ამის პასუხად, აშშ-ში გამოუშვეს ახალი ფასიანი ქალაქები (mortgage-backed securities – MBS და collateralized debt obligations – CDO), რაც უზრუნველყოფილი იყო უძრავი ქონებით და გააჩნდა ლიკვიდობის დიდი პოტენციალი. მან ადვილად მოიკიდა ფეხი იპოთეკური REIT-ების (Mortgage REIT) ფონდებში და დაიწყო საინვესტიციო კაპიტალის გადანაწილება ტრასტებში [13, გვ.5]. ამ ალტერნატიული საინვესტიციო შეთავაზებით ერთგვარად შეივსო ბაზარზე არსებული დეფიციტი და მოხდა კაპიტალის აქტიური დასაქმება.

სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება კაპიტალის გადანაწილების სხვა პროცესებიც. Eicholtz, Kok-ი აღნიშნავენ, რომ ევროპაში, კომპანიების 70% აწარმოებს საქმიანობას საკუთარ შენობებში, მაშინ როცა, შენობის

ექსპლუატაცია და მართვა არ წარმოადგენს მათ პროფესიულ საქმიანობას. ეს ინვეს კომპანიების კაპიტალის მოცდენას არამაპროფილებელ საქმიანობაზე, რაც პრობლემურია, განსაკუთრებით იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ფლობენ შენობების დიდ რაოდენობას. მსგავსი აქტივებისგან „განთავისუფლება“ გაყიდვის გზით და პროფესიონალი კომპანიებისათვის გადაცემა საექსპლუატაციოდ, წარმოშობს დამატებით რეზერვებს კომპანიების ძირითადი საქმიანობის დასაფინანსებლად და ხელს უწყობს უძრავი ქონების ექსპლუატაციის რაციონალიზაციას. ავტორების აზრით, ამით აიხსნება, ის გარემოება, რომ აშშ-ის კომპანიების მხოლოდ 30% მუშაობს საკუთარ შენობაში [17, გვ.30]. ევროპის უძრავი ქონების ასოციაციის დაკვირვებით კი, კაპიტალის ასეთი გადანაწილება დადებით ტენდენციად ფასდება ამ რეგიონშიც [19, გვ. 24].

ავტორები აღნიშნავენ ტრასტების მნიშვნელობას მცირე დანაზოგების მობილიზაციაში მსხვილი საინვესტიციო პროექტებისთვის, რაც აგრეთვე კაპიტალის რაციონალურ გადანაწილებას ემსახურება. კერძოდ, ეს პროცესი ხელს უწყობს მცირე დანაზოგებიდან საინვესტიციო კაპიტალის შექმნას, ერთი მხრივ, და იცავს მცირე ინვესტორებს ინფლაციური პროცესებისაგან, მეორე მხრივ [19, გვ.24]. ამასთანავე, აღინიშნება ტრასტის მიმზიდველობა მსხვილი ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისთვისაც [12, გვ. 4].

Eicholtz, Kok-მა ევროპისა და ავსტრალიური კომპანიების მაგალითებზე, შეისწავლეს ღია და დახურული ტიპის ტრასტების ფუნქციონირება ეკონომიკური კრიზისების პირობებში. შესწავლის შედეგად ავტორებმა დაასკვნეს, რომ ამ რეგიონის ტრასტებისათვის უფრო შესატყვისია დახურული ტიპის ფონდების არსებობა. ამის დასტურად, ყურადღებას ამახვილებენ ორ გარემოებაზე. ერთის თანახმად, ღია ტიპის ფონდები, სადაც აქციები შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს შეძენილი და გამოსყიდული, ადვილად ექვემდებარება „პანიკასა“ ან „აჟიოტაჟს“ საფინანსო ბაზრებზე ან ზოგადად ქვეყანაში, მაშინაც კი, როდესაც მიმდინარე ცვლილებები პირდაპირ ან იმავდროულ ზეგავლენას არ ახდენს უძრავი ქონების ღირებულებაზე. მეორე არგუმენტის თანახმად, ტრასტების საინვესტიციო პორტფოლიო ხშირად შეიცავს დანამატებს ფასიან ქალაქებში ან სხვა ფონდებში ინვესტიციების სახით, რასაც გააჩნია ფასწარმოქმნის განსხვავებული ბუნება. კერძოდ, უძრავი ქონება იშვითად იყიდება და ხშირად მის ფასში აისახება წინა დროინდელი ღირებულება, მაშინ როდესაც ფასიანი ქალაქების ღირებულება ფინანსურ ბაზრებზე იცვლება ყოველდღიური რეჟიმით. ეს არაერთგვაროვნება, საბოლოო ანგარიშით, ართულებს პორტფოლიოს ადეკვატური ფასის დადგენას [17, გვ. 43-45; 27, გვ.662-676]. მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე ავტორები აცხადებენ, რომ ღია ფონდები უფრო რისკიანია, ვიდრე დახურული.

ყურადღებას იმსახურებს სპეციალურ ლიტერატურაში განხილული ტრასტების ნაირსახეობა მფლობელობის სტრუქტურის მიხედვით. გარდა ზემოთ აღნიშნული ტრადიციული ღია და დახურული ფონდებისა, არსებობს შერეული ფონდებიც. ჩვენს პირობით თარგმანში, ერთ-ერთ ასეთ მოდელს უწოდებენ ქოლგისებურ საპარტნიორო ფონდს (Umbrella Partnership REIT ან აბრევიატურით - UPREIT). იგი ითვალისწინებს, ფონდში, აქციონერებთან ერთად, უძრავი ქონების პირდაპირი მესაკუთრის თანამონაწილეობას. მისი მოგება განისაზღვრება ტრასტის მთლიანი მოგებიდან, იმ წილის პროპორციულად, რომელიც მას გააჩნია ფონდში ინვესტირებული ქონების შედეგად. ასეთი ინვესტორი სარგებლობს ტრასტის საგადასახადო შეღავათით და ერთგვარად „აზავებს“ თავისი ინვესტიციის რისკს ტრასტის დივერსიფიცირებულ ინვესტიციებში [23, გვ.48]. მეორე ასეთი არასტანდარტული მოდელია ე.წ. DownREIT, რაც ფაქტობრივად წარმოადგენს ერთობლივ საწარმოს REIT-სა და მეორე პარტნიორს შორის, რომელიც ფლობს კონკრეტულ უძრავ ქონებას. პრინციპული განსხვავება წინა მოდელისაგან ისაა, რომ უძრავი ქონებით შესული პარტნიორის შემოსავლები განისაზღვრება იმ წილით, რომელიც მას გააჩნია შექმნილ ერთობლივ საწარმოში და არა საერთოდ ტრასტის ფონდში [33]. REIT-ი, ასეთ სტრუქტურაში, წარმოადგენს გენერალურ პარტნიორს და იღებს სარგებელს თავისი პარტნიორის ობიექტის ოპერირებისგან. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ რეალურად ამ მოდელებს გააჩნია გაცილებით უფრო რთული ბუნება და ფართო გამოყენება, კერძოდ, გადასახადების და სესხების ოპტიმიზაციის, ინვესტიციების მოზიდვისა და მენეჯმენტის სრულყოფის საკითხებში [34].

სპეციალურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება ტრასტების ზეგავლენა ზოგადად ეკონომიკურ გარემოზე, ბიზნესის წარმოების სტანდარტებსა და უძრავი ქონების ბაზარზე. კერძოდ, აზიის რეგიონის მაგალითზე აღინიშნება, რომ ტრასტებისგან მიღებული შემოსავლები და შექმნილი სამუშაო ადგილები, თავისი მნიშვნელობით, აღემატება იმ საგადასახადო შეღავათებს, რომლებსაც ტრადიციულად ანიჭებენ ამ ტიპის კომპანიებს [12, გვ.4]. დადებითი კონტექსტით განიხილება ტრანსპარენტულობის ზრდის ტენდენციები და ოფშორულ ზონებში ინვესტორი კომპანიების რეგისტრირების შემცირება. ამას ავტორები უკავშირებენ საგადასახადო შეღავათების დაკანონებას, კორპორაციული ბიზნესის სტანდარტების დანერგვასა და მენეჯმენტის ზოგადი დონის ამაღლებას. ეს ის პროცესებია, რომლებიც ახლავს ტრასტების განვითარებას [12, გვ. 7-21]. ევროპის რეგიონთან მიმართებით, ექსპერტები თვლიან, რომ უძრავი ქონების ბაზარი გახდა უფრო რეგულირებადი და ეკონომიკურად კონტროლირებადი. დადებით შედეგებად აქაც სახელდება სამუშაო ადგილების შექმნა, ინვესტიციების მართვის სტრუქტურების გაუმ-

ჯობსება, კაპიტალის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის გააქტიურება [17, გვ.31; 19, გვ.24]. აშშ-ის მაგალითზე, დამატებით აღინიშნება ტრასტების როლი სოციალური დანიშნულების ობიექტების თანაინვესტირებაში [12, გვ.30; 17, გვ.70].

უარყოფითი კონტექსტით, განხილულ ლიტერატურაში, წარმოდგენილია აზიის რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის მთავრობის ვარაუდი, რომ პერსპექტივაში, ძლიერი ინსტიტუციური ინვესტორები დააზარალებენ კერძო ინვესტორებს [12, გვ.33]. სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა გამოავლინა, რომ ტრასტების განვითარებას არასაინტერესოდ მიიჩნევენ ტაივანსა და სამხრეთ კორეაში. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ამ თვალსაზრისით, დადებითი პოზიცია გააჩნიათ რეგიონის ქვეყნების უმრავლესობას, კერძოდ სინგაპურს, იაპონიას, ჰონგ-კონგს, მალაიზიასა და ტაილანდს, ასევე, ავსტრალიას და ახალ ზელანდიას [12, გვ. 29-34]. ევროპის რეგიონში, საერთო დადებითი შეფასების ფონზე, მთავარ პრობლემად სახელდება ერთიან ბიზნეს-სივრცეში, ქვეყნებად დაყოფილი საკანონმდებლო და საგადასახადო რეგულირება [17 გვ. 17-28].

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირია ტრასტების შედარება რეგიონული ქრლით და თითოეული რეგიონის სპეციფიკის ანალიზი. კერძოდ აღინიშნება, რომ ევროპაში ტრასტების რეგულირების არაერთგვაროვნებისა და, აშშ-ის ბაზართან შედარებით, შეზღუდული არჩევანის გამო, მისთვის დამახასიათებელია მცირე ინვესტიციების ფართო დივერსიფიცირება უძრავ ქონებაში და ინვესტიციების გეოგრაფიული (ქვეყნებს შორის) განაწილების შეზღუდულობა. ინვესტიციები „გაფანტულია“ ძირითადად საოფისე და საცალო ვაჭრობის ობიექტებზე [21]. რეგიონის ეს სპეციფიკა შეიძლება გამოიხატოს რაოდენობრივი მაჩვენებლებითაც ე.წ. ჰერფინდალის (Herfindahl) ინდექსის მეშვეობით. ეს მეთოდიკა ასახავს ინვესტიციების დივერსიფიცირებას საკუთრების (ანუ უძრავი ქონების) სახეების და გეოგრაფიული განაწილების (ქვეყნებს შორის) მიხედვით, სადაც კოეფიციენტ 1-თან მიახლოება გულისხმობს კონცენტრაციის ზრდას, ხოლო 0-თან - დივერსიფიცირების მატებას. ამ მეთოდიკის თანახმად, ევროპის ბაზარზე უძრავ ქონებაში ინვესტიციების დარგობრივი დივერსიფიცირება შედარებით მაღალია და შეადგენს 0.60-ს, ხოლო გეოგრაფიული კონცენტრაცია- მაღალი და აღწევს 0.84-ს. რეალობაში ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ თითო კომპანია ანაწილებს ფონდებს სულ 2 ქვეყანაზე [17, გვ. 24,71]. რეგიონისათვის ასევე დამახასიათებელია დახურული ტიპის ფონდების პოპულარობა.

ევროპისგან განსხვავებით, აშშ-ის ტრასტების სექტორში მკვეთრად არის გამოხატული ინვესტიციების მაღალი კონცენტრაცია საკუთრების ცალკეულ სახეობებში და ინვესტიციების ფართო გეოგრაფია. ტრასტების

ინვესტიციები სიდიდის მიხედვით ნაწილდება შემდეგი თანამიმდევრობით: საცალო ვაჭრობის ობიექტები, საოფისე შენობები, საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, ჯანდაცვის, სამრეწველო, სასაწყობო და ობიექტები და ა.შ. შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ ხსენებული ჰერფინდალის (Herfindahl) დივერსიფიკაციის კოეფიციენტი აშშ-ის მიმართ, გამოირჩევა საკუთრების ცალკეულ სახეებში ინვესტირების კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლით - 0.82 და ინვესტიციების მეტი გეოგრაფიული დივერსიფიცირებით (ანუ დაბალი კონცენტრაციით) - 0.42. ფაქტობრივი სტატისტიკური მონაცემებით, ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ საშუალოდ ერთი ინვესტორი კომპანია ანაწილებს ინვესტიციებს 5 ქვეყანაში. [17, გვ. 24,71]. ასევე, ევროპისაგან განსხვავებით, ტრასტები აშშ-ში წარმოდგენილია ძირითადად ღია ტიპის მსხვილი ფონდებით [17, გვ.17-31, 70; 18, გვ. 10, 18,54; 36].

აზიის ბაზრის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ამ რეგიონისათვის დამახასიათებელია ტრასტების განვითარების არაერთგვაროვნება და ამ სექტორში სინგაპურის, ჰონგ-კონგის და იაპონიის წამყვანი პოზიციები. ისინი გამოირჩევიან ინვესტიციების ფართო დივერსიფიცირებით, მაგრამ მეტწილად ცალკეული ქვეყნის ფარგლებში. ტრასტების უძრავი ქონების ფონდის ნახევარზე მეტს შეადგენენ საცხოვრებელი სახლები და საოფისე შენობები, დაახლოებით მესამედს - სამრეწველო და საცალო ვაჭრობის ობიექტები, ხოლო 8%-ს - სასტუმროები [12, გვ. 10-42].

საქართველოსთან მიმართებით ღით-ის თემა, ჩვენ მიერ მოძიებულ ლიტერატურასა და სხვა წყაროებში, საერთოდ არ განიხილება. მეტიც, ტრასტის ცნება ქვეყნის კანონმდებლობაში წარმოდგენილია მარტო, როგორც კომერციული ბანკების ერთ-ერთი შესაძლო ფუნქცია [3, მუხლი 10]. არსებობს მხოლოდ ამ საკითხის ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია, რეგულირებები, გამოკვლევები [1; 2; 4; 5; 6; 9; 10; 11]. კომპიუტერულ ქსელებში შექმნილია მრავალი ათეული სპეციალიზებული ვებგვერდი და პორტალი (მაგ., [35; 37; 42; 45]). პერიოდულად ქვეყნდება ემპირიული ხასიათის გამოკვლევები, ძირითადად შესაბამისი პროფილის მატარებელი კერძო და საკონსულტაციო კომპანიების მიერ (მაგ., [15], Colliers International Georgia [15]; Remax Georgia [30], BPI Georgia [38]). ასევე, ტრასტების განვითარების ხელშემწყობ ნინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ფუნქციონირება, საინვესტიციო ფონდების შესახებ და ფასიანი ქაღალდების ბაზრების შესახებ კანონების არსებობა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობის გარკვეული პრაქტიკა, რომელსაც ამჟამად ახორციელებს ეროვნული ბანკი, თუმცა, განიხილება ამ ფუნქციის გადაცემა კომისიისათვის, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკით.

## REIT-ის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ქვეყნის მიზნობრივი ბაზრის პოტენციალი

REIT-ის დამკვიდრება საქართველოში ყურადღებას იმსახურებს, პირველ რიგში, იმ სარგებლობით, რომელიც მას შეუძლია მოუტანოს საზოგადოებას, როგორც საინვესტიციო, განსაკუთრებით კი - საჯარო კომპანიამ. ამ თვალსაზრისით, განხილული საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, აღვნიშნავთ ტრასტების განვითარების სავარაუდო მნიშვნელობას საქართველოსთვის. კერძოდ:

- მოსახლეობის მცირე, უფუნქციოდ ან პასიურად დეპონირებული დანაზოგების მობილიზება საინვესტიციო კაპიტალში. ეს მისცემს მრავალრიცხოვან აქციონერებს შესაძლებლობას მიიღონ დანაზოგებიდან მეტი სარგებელი, ხოლო ქვეყნის ეკონომიკას - ამოქმედოს დამატებითი საბრუნავი კაპიტალი;
- მრავალრიცხოვანი აქციონერების ჩართვა უძრავი ქონების, მათ შორის მიწების, შეძენის პროცესებში, როგორც სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის, ასევე კერძო საკუთრების რეალიზაციის ფარგლებში. ამით, ადგილობრივი მოქალაქეები, როგორც ტრასტის აქციონერები, გახდებიან საკუთარი ქვეყნის სხვადასხვა სახის უძრავი ქონების თანამფლობელები;
- უძრავი ქონებიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილება ტრასტის მრავალრიცხოვან წვრილ აქციონერებზე, რაც აქტუალურია ქვეყანაში, სადაც მკვეთრად არის გამოხატული შემოსავლების უთანაბრო განაწილება. ამ უკანასკნელზე მეტყველებს, თუნდაც მსოფლიო ბანკის მიერ დანერგული ე.წ. „ჯინი“-ს კოეფიციენტი, რომლითაც საქართველო, 2005-2013 წლებში დაფიქსირებული მონაცემების საშუალო მაჩვენებლით, ჩამორჩება ყველა შავიზღვისპირა და ყველა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს [40];
- მოთხოვნების სტიმულირება უძრავი ქონების ბაზარზე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რეალტორული და ე.წ. დეველოპური კომპანიების გააქტიურებას, ასევე, საზოგადოებისათვის სოციალურად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ობიექტების - საცხოვრებელი შენობების, სავადადმყოფოების და სასტუმროების ქსელის გაფართოვებას (მათ შორის სოციალურად მოთხოვნად რეგიონებსა და ადგილებში), რომლებიც, როგორც აღინიშნა პირველ თავში, წარმოადგენენ REIT-ს ბიზნესისათვის დამახასიათებელ ობიექტებს;
- უძრავი ქონების ბაზარზე კონკურენტული გარემოს სრულყოფა. ტრასტი, როგორც შედარებით დიდი რესურსების მქონე საჯარო და ტრანს-

პარენტული ფონდი, ხელს შეუწყობს ბაზარზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას, მათ შორის, ბიზნესის წარმოების თანამედროვე სტანდარტების გავრცელებით და კონკურენციის პირობებში იმ არასასურველი პრაქტიკის თანამიმდევრული ჩანაცვლებით, რომელიც ახლავს მევახშეობას, ფარულ გარიგებებს და გაუმართლებელი იპოთეკური სესხების აღებას;

- REIT-ის ფონდის სახით კაპიტალის გამოყენების ალტერნატიული შესაძლებლობის შექმნა, განსაკუთრებით, ნაკლებად წარმატებული და წარუმატებელი მცირე მენარმეებისთვის, რომელთა საქმიანობა თვითღირებულების ზღვარზეა. ამით ტრასტი ერთგვარად შეინოვს ბაზარზე უპერსპექტივო კაპიტალის ბრუნვას, გააჯანსაღებს კონკურენტულ გარემოს და შეამცირებს გაკოტრების შემთხვევებს;
- ეკონომიკური დაინტერესების კერის შექმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამოქალაქეებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ ან შეიძლება გააჩნდეთ საქართველოში მცირე, ნაკლებ რისკიანი ინვესტირების ინტერესი. ამასთანავე, ეს ინვესტირება იქნება ხელმისაწვდომი მოკრძალებული დანაზოგების მქონე პირებისთვისაც და არ იქნება დაკავშირებული მათი ქვეყანაში ჩამოსვლა-არ ჩამოსვლის საკითხებთან, რაც ხშირად დამაბრკოლებელი ფაქტორია;
- საქართველოში ინვესტირებისა და ბიზნესის წარმოების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და გავრცელება, რაც, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ხელს შეუწყობს საფინანსო ბაზრის განვითარებას და მენეჯმენტის სტანდარტების ამაღლებას. ეს უკანასკნელი შესაძლოა განხორციელდეს, როგორც უძრავი ქონების მართვაში მეტი პროფესიონალების ჩართვის გზით, ასევე რეგულირებადი კორპორაციების მართვის პრაქტიკის პოპულარიზაციით. უცხოური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ასევე მოსალოდნელია ინსტიტუციური ინვესტორების ტრანსპარენტულობის გაზრდა და შესაბამისი მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა. ყურადსაღებია, რომ ეს პროცესები თავის წვლილს შეიტანს ქვეყნის საინვესტიციო კლიმატისა და ბიზნეს-გარემოს მიახლოებაში მაღალ საერთაშორისო სტანდარტებთან და ხელს შეუწყობს ევროპის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების პროცესებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, REIT-ს განვითარება საქართველოში სასურველ და მნიშვნელოვან ინოვაციას წარმოადგენს. მეორე საკითხია, თუ როგორია ამ ტრასტების განვითარების საინვესტიციო პირობები და შესა-

ძლებლობები ქვეყანაში. მსგავსი საკითხების შესწავლა, ბუნებრივია, ვრცელ კვლევებს მოითხოვს და მომავლის ამოცანაა. ამ ეტაპზე კი, როგორც აღინიშნა, სტატიის მიზანია ზოგადად ტრასტების საკითხის აქტუალურობის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე და სპეციალური სტატისტიკური რესურსების სიმწირის გათვალისწინებით, ჩატარდა ე.წ. „პილოტური“ შეფასება. ამისათვის შევარჩიეთ საინვესტიციო შესაძლებლობების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელი - მოსახლეობის საინვესტიციო პოტენციალი.

ტრასტის ინვესტორების მიზნობრივ სეგმენტზე, ანუ პოტენციურად დაინტერესებულ პირებსა და მათ ფინანსურ რესურსებზე, პირდაპირი და სრული სტატისტიკა, ბუნებრივია, არ მოიპოვება. არ ჩატარებულა ამ კონკრეტული საკითხისადმი მიძღვნილი და ჩვენთვის ცნობილი სპეციალური კვლევაც. ამიტომ, აღნიშნული მიზნობრივი სეგმენტის პოტენციალზე პირველადი წარმოდგენის შესაქმნელად, ჩავატარეთ შეფასება ორი მონაცემის გამოყენებით, რომელზეც მოიპოვება ოფიციალური სტატისტიკა და რომელიც მნიშვნელოვნად ახასიათებს შეფასების ობიექტს. ესენია: 1). დეპოზიტარების მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული მცირე და საშუალო მოცულობის ვადიანი ანაბრები. აქვე შევნიშნავთ, რომ მცირე და საშუალო დეპოზიტი პირობითად განვსაზღვრავთ 1 000 დან - 50 000 დოლარის ინტერვალით, რადგან 1 000 დოლარი ის მინიმალური შენატანია, რომელიც, როგორც წესი, შეაქვთ REIT-ს ტიპის ფონდებში, ხოლო 50 000 დოლარი - ის საშუალო ზედა ზღვარია, რომლის იქით შესაძლებელია მცირე ფართის საკუთარი ბინის შექმნა ტრასტში მონაწილეობის გარეშეც. აღვნიშნავთ, რომ ეს საკმაოდ პირობითი და მოკრძალებული ნიშნულია და განისაზღვრა შეფასების სანდოობის ამაღლების მოსაზრებით. 2). უცხოეთში მომუშავე თანამემამულეების რემიტანსები - კერძოდ, ის კატეგორია, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ განისაზღვრება, როგორც „მუშაკთა გზავნილები“ [43- საგადასახდელო ბალანსი]:

- (1). **დეპოზიტარები და მათი ანაბრები:** საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემების გამოყენებით, ჩვენმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ 1 000-50 000 ანაბრების ნაკადმა დოლარსა და მის ეკვივალენტ ლარებში, 2014 წელს, მიაღწია დაახლოებით 1.15 მლრდ დოლარს, ხოლო დეპოზიტარების რაოდენობამ - 213 315 ერთეულს [43 – დეპოზიტები მოცულობის მიხედვით];
- (2). **უცხოეთში მომუშავე თანამემამულეების რემიტანსები** - საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მარტო აღრიცხულმა „მუშაკთა გზავნილებმა“, 2014 წელს შეადგინა 760.6 მლნ დოლარი [43- საგადასახდელო ბალანსი].



ამრიგად, ორივე კატეგორიის ჯამური მაჩვენებელი ასახავს ჩვენ მიერ პირობითად წოდებული მიზნობრივი სეგმენტის პოტენციალს. მოკრძალებული შეფასებითაც კი იგი შეადგენს 1.9 მლრდ დოლარს. ამ სეგმენტის 1%-ის მოზიდვაც კი ნიშნავს მრავალი მცირე ინვესტორის გაჩენას და დაახლოებით 20 მლნ დოლარის კაპიტალიზაციას, რაც საკმარისი რესურსია REIT-ს სრულმასშტაბიანი საქმიანობისათვის.

აღსანიშნავია, რომ მოცემული შეფასებით არ არის გათვალისწინებული რიგი სხვა დამატებითი წყარო, საიდანაც აგრეთვე შესაძლოა გარკვეული რესურსების მოზიდვა. მაგალითად, რემიტანსების ყველა სახის შემოსავალმა („მუშაკთა გზავნილების“ ჩათვლით) საქართველოში, 2013 წელს, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, შეადგინა 1 935 მლნ დოლარი [44]. ამასთანავე, ბუნებრივია, არსებობს ალურიცხავი გზავნილებიც, რომლებიც ექსპერტების შეფასებით შეადგენს დარეგისტრირებული გზავნილების 30-50%-ს [46]. დამატებით წყაროდ შესაძლოა ჩაითვალოს რესურსები, რომლებიც გააჩნიათ შედარებით მსხვილ კომპანიებს, ფონდებს, მეანბრეებს და სხვა დანაზოგების მქონე პირებს, რომლებიც შესაძლოა დაინტერესდნენ ტრასტში ნილობრივი მონაწილეობით. ამ რეზერვების გაუთვალისწინებლობა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო აბათილებს იმ პირობითობას, რომელიც დაშვებულია მოყვანილ გამოთვლებში და იძლევა საკმარის წარმოდგენას REIT-ს შექმნის პერსპექტიულობაზე.

### **REIT-ს კონკურენტული უპირატესობები და განვითარების მოსალოდნელი შედეგები საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე**

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს REIT-ში ინვესტირების პოტენციური უპირატესობანი სხვა სახის ინვესტიციებთან შედარებით. ამ თვალსაზრისით გამოვყოფთ შემდეგ გარემოებებს:

უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული ამონაგები, რაც ტრასტის შემოსავლების მთავარი წყაროა, როგორც წესი, აღემატება ვადიანი ანაბრებიდან მიღებულ სოპროცენტო განაკვეთებს საქართველოში. ამ პირობებში ტრასტი იძენს კონკურენტულ უპირატესობას. კვლევითი ინსტიტუტის ISET-ს მონაცემებით, 2013 წლის თებერვლის შემდეგ ქირიდან მიღებული შემოსავალი საწყისი ინვესტიციის 10%-14%-ის ფარგლებში მერყეობს, მაშინ როცა ანაბრების საპროცენტო განაკვეთები 2-ჯერ ნაკლებია [1]. ქირის შემოსავლები ბუნებრივად განსაზღვრავს ტრასტების შემოსავლებს, ხოლო ტრასტების შემოსავლების განაკვეთების უპირატესობა ბონდების განაკვეთების წინაშე, განხილული საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ნორმალურ მდგომარეობას წარმოადგენს (იხ. თავი REIT-ების პრაქტიკის შესწავლის საკითხები [16, გვ. 3];

2015 წლის პირველ კვარტალში, ეს სხვაობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა, მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მაინც შენარჩუნდება მომავალში. ამაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს მთავრობის მიერ ა.წ. 19 თებერვალს განცხადებული საგადასახადო შეღავათი, რომელიც ეხება ქირიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის შემცირებას 20%-დან 5%-მდე [7];

ინვესტიციები უძრავ ქონებაში უზრუნველყოფილია საკუთრივ ამ უძრავი ქონებით. როგორც უკვე აღინიშნა ლიტერატურული წყაროების მიმოხილვისას, უცხოეთში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ტრასტის აქციები გამოირჩევა მაღალი სანდოობით სხვა ფასიან ქაღალდებთან შედარებით. საქართველოს მაგალითზე, მაღალი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უპირატესობა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება და შენარჩუნდება საბანკო ანაზრების მიმართაც კი, რომლებიც ქვეყანაში არ არის დაზღვეული [8], განსხვავებით ამერიკისა და ევროპის ბანკების დეპოზიტებისაგან;

ტრასტის მიერ ინვესტიციების დივერსიფიცირების შესაძლებლობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკურად ცვლადი გარემოს პირობებში. საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ დივერსიფიცირებული ინვესტიციები ზოგადად უფრო სტაბილურია, ვიდრე ცალკეულ ობიექტებში პირდაპირ განხორციელებული ინვესტიციები. ამ თვისების მნიშვნელობა იზრდება საქართველოსთან მიმართებით, რომლის ეკონომიკური გარემო ჯერ კიდევ არ გამოირჩევა მაღალი მდგრადობით. ამასთანავე, ქონების გაქირავება-გაყიდვის არჩევანის არსებობა ცვლად ეკონომიკურ ვითარებაში იძლევა „ლავირების“ საშუალებას და, სწორი კომერციული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, უზრუნველყოფს შემოსავლების შედარებით მაღალი დონის შენარჩუნებას. ამით ინვესტიციები ტრასტში პოტენციურად იძენენ კონკურენტულ უპირატესობას, ერთი მხრივ, დაბალი რისკიანობის გამო, პირდაპირი ინვესტიციების წინაშე (მით უმეტეს თუ ეს პირდაპირი ინვესტიციები იმართება არაპროფესიონალების მიერ), ხოლო მეორე მხრივ, შემოსავლების მეტობის შენარჩუნების გამო, საბანკო დეპოზიტების წინაშე, რომელთა განაკვეთები მიბმულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების მაჩვენებელზე და ნაკლებად ცვალებადია;

REIT-ს ინვესტიციებს, თუ ეს ტრასტი წარმოდგენილია საჯარო კომპანიის სახით, გააჩნია კონკურენტული უპირატესობა პირდაპირი საინვესტიციო პროექტების წინაშე ინვესტორთა რაოდენობის მოზიდვის თვალსაზრისითაც, რადგან ტრასტის წილის (ერთი აქციის) მინიმალური ღირებულება, გაცილებით ნაკლებია და შესაბამისად - ხელმისაწვდომი, ვიდრე წილის შეძენა პირდაპირ ინვესტიციებში.

ზემოთ განხილული ტრასტების განვითარების საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოში შესაბამისი პირობების სპეციფიკის გათვალისწინებით, აღვნიშნავთ ადგილობრივ ბაზარზე ტრასტების შემოსვლის სავარაუდო შედეგებს და გამოვთქვამთ მოსაზრებას ამ ინოვაციის რაციონალურად განვითარების თაობაზე.

ზოგადად, REIT-ს გამოჩენას ადგილობრივი უძრავი ქონების ბაზარზე ექნება უფრო „ნიშის“ შევსების, ვიდრე კონკურენტების ჩანაცვლების ეფექტი. ამასთანავე, იგი ბუნებრივად შევა გარკვეულ კონკურენციაში ადგილობრივი ბაზრის „მოთამაშებთან“, რაც აგრეთვე შეუწყობს ხელს ბაზრის დაბალანსებას.

გარკვეული კონკურენცია მოსალოდნელია კომერციულ ბანკებში უცხოური ვალუტის დეპოზიტებთან მიმართებით. ჩვენ მიერ განსაზღვრული მიზნობრივი სეგმენტის შენატანები - 1-50 ათასი დოლარის ფარგლებში, საიდანაც ნავარაუდებია ინვესტიციების მოზიდვა ტრასტში, შეადგენს კომერციული ბანკების მნიშვნელოვან რესურსს, კერძოდ, მთლიანი სავალუტო ანაზრების 20%-ს. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ტრასტში მოზიდვის მიზნობრივი თანხა შეადგენს ამ დეპოზიტების მხოლოდ მცირე ნაწილს და კონკურენციაც შესაბამის ფარგლებში მოექცევა. ამას გარდა, თავად ბანკებს შეექმნებათ საკუთარი რესურსების დაბანდების ახალი შესაძლებლობები ტრასტის აქციების შექმნის მეშვეობით, რადგან საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კომერციული ბანკების მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე [5, მუხლი 231 პუნქტი 3]. რაც შეეხება დეპოზიტებს ლარებში, აქ მიზნობრივი სეგმენტის ანაზრების წილი უმნიშვნელოა და შეადგენს 3%-ზე ნაკლებს.

REIT-ი შეავსებს მსხვილ კომპანიებსა და მცირე სააგენტოებს შორის გაჩენილ და მზარდ „ვაკუუმს“. მაღალი საერთაშორისო რეიტინგის მქონე კომპანიების საქმიანობა ქვეყანაში ცალსახად დადებითი მოვლენაა და იგი მხოლოდ მისასალმებელია. ამასთანავე, ნებისმიერ ბაზარზე ერთი-ორი მსხვილი კომპანიის შემოსვლა წვრილი კომპანიების ფონზე, რაც უკვე ვლინდება საქართველოშიც, ბუნებრივად ქმნის ბიზნესის მონოპოლიზების რისკებს. ინსტიტუციურად ორგანიზებული კორპორაცია, როგორცაა REIT-ი, ამ თვალსაზრისით, ხელს შეუწყობს კონკურენტული გარემოს დაბალანსებას.

REIT-ი, სავარაუდოდ, გამოიწვევს ბაზარზე წარმოდგენილი წვრილი სააგენტოების კონსოლიდირების პროცესებს, რაც ბუნებრივად განხორციელდება წარმატებული კომპანიებს ბაზაზე. ამით მოხდება უძრავი ქონების სფეროში წარმოებული ბიზნესის ზოგადი ფონის გაუმჯობესება, ხელი შეეწყობა გარიგებების ლეგალიზაციას და მათი სანდოობის ამაღლებას, რითაც მთლიანობაში ისარგებლებს საზოგადოება, პირველ რიგში, საბოლოო მომხმარებლების სახით.

ტრასტის, როგორც დამატებითი მყიდველის, გამოჩენა ბაზარზე სრულ თანხვედრაში იქნება საბინაო მშენებლობების სტიმულირებასთან, რასაც ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის განცხადება საგადასახადო ამნისტიის შესახებ [7]. ამ განცხადების თანახმად, 2008 წლამდე დაწყებული და დღემდე დაუსრულებელი საბინაო მშენებლობები თავისუფლდება დაგროვილი დღგ-სა და ე.წ. კ-2 მოსაკრებლების დავალიანებისაგან.

საწყისი კაპიტალის მოზიდვა ტრასტისათვის საქართველოში სასურველია დაიწყოს არსებული უძრავი ქონების ბაზარზე წილების ან აქციების გაყიდვით (ან პრივატიზაციით), ნაცვლად ფონდებისათვის უფრო დამახასიათებელი თანამიმდევრობისა, როდესაც ჯერ გროვდება საინვესტიციო კაპიტალი და მერე ხდება ინვესტირება უძრავ ქონებაში. ასეთი მიდგომა მეტ სანდოობას მიანიჭებს საინვესტიციო წინადადებას საქართველოს პირობებში, სადაც ბუნებრივად არსებობს გარკვეული უნდობლობა წილებისა და ფასიანი ქაღალდების მიმართ, მსგავსად იმ ქვეყნებისა, სადაც საბაზრო ეკონომიკა განვითარების სტადიაშია.

ტრასტების განვითარების პროცესი შეიძლება დაიწყოს და გაფართოვდეს ფონდებისა და უძრავი ქონების უშუალო მესაკუთრეების პარტნიორობის ერთ-ერთი ფორმითაც, რომელიც აპრობირებულია საერთაშორისო პრაქტიკით. განვითარების შემდგომ ეტაპებზე, როდესაც შეიქმნება მოთხოვნები და პირობები დამატებითი კაპიტალის მასობრივ მოზიდვასა და დაბანდებაზე, შესაძლებელი იქნება მათი ტრანსფორმირება მსხვილ საჯარო კორპორაციაში, შესაბამისი ლიკვიდური აქციებით.

ამასთანავე, სასურველია ტრასტების განვითარების დაწყება დახურული ფონდების სახით, რაც, ევროპული გამოცდილების თანახმად, ნაკლებად ექვემდებარება ისეთი გარე ფაქტორების ზეგავლენას, როგორცაა, მაგალითად, ე.წ. „აჟიოტაჟი“ ან „პანიკა“ საფინანსო ბაზრებზე.

\*\*\*

REIT-ს უწყვეტი განვითარებისა და გეოგრაფიული გავრცელების ნახევარსაუკუნოვანი ისტორია ადასტურებს, რომ იგი უნივერსალურ საინვესტიციო ინსტიტუცია, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი კონკურენტული უპირატესობა სხვა საინვესტიციო სუბიექტების წინაშე და ამასთანავე შეიცავს საზოგადოებისათვის სარგებლის მოტანის მნიშვნელოვან პოტენციალს. ამ უკანასკნელში იგულისხმება ქვეყანაში კაპიტალის ბრუნვის გააქტიურება, მცირე დანაზოგების მსხვილ საინვესტიციო პროექტებში ჩართვა, შემოსავლების განაწილების რაციონალიზაცია, ტრანსპარენტულობის გაუმჯობესება, ბიზნესის წარმოების მაღალი სტანდარტების გავრცელება და ბაზრის დარეგულირება.

ტრასტები წარმოდგენილია რამდენიმე მოდიფიკაციით, რომლებიც განსხვავდება იურიდიული სტატუსით, სპეციალიზაციით, წილის ან აქციების ხელმისაწვდომობით, მენეჯმენტის ფორმით, კომპანიების სტრუქტურული ორგანიზებით, ფონდის ზომებითა და კაპიტალიზაციით. ეს განსხვავებები ძირითადად გაპირობებულია ქვეყნებისა და რეგიონების სპეციფიკით და აისახება შესაბამის საკანონმდებლო და ნორმატიულ რეგულირებებში. ამასთანავე, აღნიშნულ ტრასტებს გააჩნია საერთო მახასიათებლებიც, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია უძრავ ქონებასთან კავშირი, ლიკვიდური აქციებისა ან/და წილების ფლობა, დივერსიფიცირებული ინვესტიციების ფორმირება და მსხვილი საინვესტიციო პოტენციალის მობილიზება წვრილი ინვესტორების მონაწილეობით. ტრასტებისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე, საგადასახადო შეღავათით სარგებლობა, რაც მათ ენიჭებათ კანონით, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნისათვის მეტი სარგებლის მიღების მოსაზრებით. ტრასტების მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა ქვეყნისთვის შეირჩეს ადგილობრივ გამოწვევებსა და პირობებზე მორგებული და საერთაშორისო პრაქტიკით აპრობირებული მოდელი.

ტრასტების პოტენციური შესაძლებლობები და გავრცელების გეოგრაფიული ტენდენციები, განაპირობებს ამ ფონდების განვითარების აქტუალურობას საქართველოში, მათ შორის ბიზნესის თანამდეროვე სტანდარტების პოპულარიზაციისა და ევროპის ბიზნესის სივრცეში ინტეგრირების თვალსაზრისით. ამ „გარე“ ფაქტორებს ემატება ქვეყნის „შიგა“ ფაქტორებიც, რაც კიდევ უფრო ზრდის ტრასტების დანერგვის აქტუალურობას. ასეთი ფაქტორების მაგალითებია პასიური დანაზოგების გააქტიურება, მოსახლეობაში შემოსავლების გადაწვლილება, ბაზარზე ინსტიტუციური ინვესტორების დეფიციტის („ნიშის“) შევსება და ზოგადად უძრავის ქონების ბაზრის დაბალანსება.

ადგილობრივი პირობების „პილოტური“ შესწავლა და შეფასება გვაფიქრებინებს, რომ REIT-ს ინსტიტუტის დანერგვა ქვეყანაში, არის არამარტო სასურველი და მნიშვნელოვანი, არამედ შესაძლებელიც. კერძოდ, ერთი მხრივ, მიზნობრივ სეგმენტს გააჩნია საკმარისი საინვესტიციო პოტენციალი და მეორე მხრივ, არსებობს იმის წინაპირობები, რომ ტრასტი გახდეს მიმზიდველი საინვესტიციო ალტერნატივა, როგორც შემოსავლების განაკვეთის, ასევე მათი შედარებით მაღალი სანდოობის მოსაზრებით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ტრასტის დანერგვის წინაპირობაა-შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულაციების ამოქმედება, არსებული გამოცდილებით, იკავებს რამდენიმეწლიან პერიოდს.

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ტრასტების განვითარება საქართველოში სასურველია მოხდეს ეტაპობრივად და დაიწყოს

არსებული უძრავი ქონების მფლობელი კომპანიების ტრანსფორმირებით დახურული ტიპის ფონდებში, მათ შორის აპრობირებული კომბინირებული ფონდების შექმნით, ხოლო შემდგომ ეტაპებზე მოხდეს წარმატებული ტრასტების გარდაქმნა რეგულირებად საჯარო კორპორაციებად, რაც უფრო სრულად აამოქმედებს ამ ტიპის ფონდების დადებით თვისებებს.

#### ლიტერატურა:

1. ბიერმენ ფ., დევდარიანი ს. 30/01/2015. <http://www.iset.ge/blog/?p=4562>
2. კაციაშვილი ვ. დევდარიანი ს. კომპანიების ფინანსური მართვის თავისებურებები. გ. თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, №2, თბილისი 2012 გვ. 85-91.
3. კანონი კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ, 1996 წ.; საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://matsne.gov.ge/>
4. კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ. 2013წ. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=178/>
5. კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ 1998 წ. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=178/>
6. პატარაია ც. საქართველო ინვესტორებისათვის/ საქართველოს უფლებების დაცულობა და ქონების რეგისტრაცია. გ. თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №2, თბილისი 2012. გვ 104-113.
7. პრემიერ მინისტრის, ა.წ. 19 თებერვლის განცხადება <http://ghn.ge/com/news/view/124654>
8. [netgazeti.ge 29.10.2012. http://www.netgazeti.ge/GE/105/business/14222/](http://www.netgazeti.ge/GE/105/business/14222/)
9. სიჭინავა ა. უძრავი ქონების როლი საბაზრო ეკონომიკაში. გ. თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 2014, გვ360-363.
10. ტატიშვილი ლ. უძრავი ქონების კონკურსის საფუძვლები გაყიდვის სოციალური და საინვესტიციო. გ. თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული №2, თბილისი 2012. (გვ 119-122). <http://www.gttu.edu.ge/ge/volume-of-scientific-works2/volume-of-scientific-works>
11. ხვიჩია ი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2010. <http://www.azrebi.ge/index.php?pid=1152;>
12. Atchison K, Victor Yeung V. The Impact of REITs on Asian Economies. APREA. April 2014 .
13. Basse T., Friedrich M. And Bea E. - REITs and the Financial Crisis: Empirical Evidence from the U.S. International Journal of Business Management. Vol. 4 November 2009.
14. Case B. Wachter S., and Worley R. Inflation and Real Estate Investments. Institute for Law and Economics. The University of Pennsylvania. November, 2011.
15. Collier International. <http://www.colliers.com/en-ge/georgia/insights#.VR6-jfmUeGA>.

16. East B., Murphy G., Interest Rate and REIT Performance, Altegris, April 2014. [www.altegris.com](http://www.altegris.com).
17. Eicholtz P. , Kok N. The EU REIT and the Internal Market for Real Estate. Maastricht University November 2007.
18. Emerging trends in Real Estate. Price Water House, Urban Land Institute. Europe 2014;
19. EPRA response to the European Green paper on long-term financing of the European economy, June 24, 2013.
20. Fellet Kobi, UBS Wealth Management Israel. Ltd. . Which REIT funds are recommended for investment. March 20, 2014; [portfolio/investment\\_focus\\_israel/\\_jcr\\_content/par/table\\_286.1616577772.file/dGFibGVUZXh0PS9jb250ZW50L2RhbS91YnMvaW-wvd2VhbHRoX21hbmFnZW1lbnQvcmVhbC1lc3RhdGUtaW4tZXVyb3BILWVuLnBkZg==/real-estate-in-europe-en.pdf](http://portfolio/investment_focus_israel/_jcr_content/par/table_286.1616577772.file/dGFibGVUZXh0PS9jb250ZW50L2RhbS91YnMvaW-wvd2VhbHRoX21hbmFnZW1lbnQvcmVhbC1lc3RhdGUtaW4tZXVyb3BILWVuLnBkZg==/real-estate-in-europe-en.pdf)
21. Global Real Estate Securities. Sector Thoughts and Strategy Review. November 2012.
22. History of REITs. Forbs: Real Estate Investor. Thursday, May 7, 2015 <https://ireitinvestor.com/reit-101/>
23. Kothary V. Real Estate Securities, Presentation, Kolkota-Mumbai, 2013.
24. Monroe P. REITs Amidst the Current Real Estate Crisis: An Analysis of the REITs Investment Diversification and Empowerment Act. Rutgers Business Law Journal, V.6, 2009
25. Marglin S. Lessons of the Golden Age of Capitalism. World Institute for Development Economic Research of the United Nations University. September 1990.
26. Nationalm Association of REIT reits
27. Önder E, Taş N, Hepşen A. REITs in Turkey: Fundamentals vs. Market Int. J Latest Trends Fin. Eco. Sc. Vol. No. 1 March, 2014, pp 662- 676. Department of Quantitative Methods, School of Business, Istanbul University, Istanbul, Turkey; Department of Finance, School of Business, Istanbul University, Istanbul, Turkey.
28. PNC Institutional Investment, Investment Outlook. June 2014, pp 8-9.
29. REIT BAISCS. REIT.co. <https://www.reit.com/investing/reit-basics/reit-faqs/basics-reits>
30. Re/Max – Georgia. <http://www.remax-georgia.ge/>
31. Roth H., Lehman R, 2014 Global Perspectives, 2014 REIT Report, pp 9-10 .
32. Semer S. A Brief History of US REITs. Canadian tax journal / revue fiscale canadienne (2009) vol. 57, no 4, 960-71. 2007/A\_Brief\_History\_of\_US\_REITs.ashx
33. Souza L. – The DowREIT Structure, 1998. [www.the-commercial-group.com](http://www.the-commercial-group.com)
34. Stanasolovich L. Pendzick B, Understanding of UPREIT And DOWNREIT, April 2, 2012, Global Economic and Investment analytics. [Globalinvestmentandanalytics.com](http://Globalinvestmentandanalytics.com)
35. <http://www.allhome.ge/news-58-11.html>
36. US SEC. [www.investor.gov](http://www.investor.gov)
37. [midgoma.html](http://midgoma.html)
38. [http://www.bpi.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=164&Itemid=101&lang;](http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=164&Itemid=101&lang;)
39. <http://finviz.com/screener.ashx?v=111>
40. <http://data.worldbank.org/indicator/SI.POV.GINI>

41. <http://ir.hosthotels.com/phoenix.zhtml?c=60734&p=irol-reportsAnnual>
42. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>
43. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=306>
44. <http://wdi.worldbank.org/table/6.13>
45. <https://www.rentometer.com/results/-Mm-XJitHlw>
46. <https://stateinterest.wordpress.com/tag/remitansi>

## **Real Estate Investment Trust - An Opportunity for Georgia**

*Ioseb Khelashvili*

The article relates to an introduction of a relatively new investment vehicle in Georgia – Real Estate Investment Trust (REIT). The purpose is to identify the relevance and feasibility of its development in the country. The absence of subject-related studies at this stage led this article to fulfill two main objectives: first, to review the basics of these trusts, and second, to consider the opportunity of their development in Georgia.

The review of REITs emphasizes its basic features and advantages, such as: the opportunity for predominantly small investors to participate in large-scale real-estate deals and receive all (or almost all) dividends from the trusts' operations, and the opportunity for REITs to enjoy a special tax treatment on operating income. The review also considers different types of REITs based on access to stocks (open/closed), structure (UPREIT/DOWN-REIT) and property type (residential, commercial, hotel, offices, hospitals, etc.). Moreover, the article covers REITs in select parts of the world, including the US and European and Asian countries.

Special attention is paid to studies on the effectiveness of REITs in securing the values of its stocks, operating income and dividends, under different types of business environments, including during times of inflation and financial crisis. During these periods, REITs normally yield higher returns compared to bills and bonds and more stable returns compared to stocks and rent. Real estate investments are also considered an effective hedge against inflation. These advantages stem from the combined effect of a diversified portfolio, real-estate ownership, dividends distribution obligations, and special tax treatment. The comparison analyses of REIT stock with other securities reveal that REIT stocks have a unique nature.

Macroeconomic studies show REIT's potential to positively influence the capital flow of a country, household income distribution and more rational use of savings, creation of jobs and improvement of business standards. Meanwhile, case studies in certain Asian countries revealed a negative attitude from local authorities toward REITs due to concerns about institutional investor intervention in fragile local markets. The article includes re-



gional differences of REIT. The US trusts specialize in only certain property types, are widely diversified geographically and are structured as open-end funds, while European REITs are widely diversified in property types, have a limited geographic distribution and are often structured as closed-end funds.

The article progresses with the assessment of the importance and possibility of REIT introduction in Georgia. The expected positive outcomes include: the possibility for the local population to make small investments in a relatively large and reliable real-estate deals; increase in the number of property owners; fueling the demand side of real-estate market to meet the local authorities' initiatives to increase the supply side of the market through granting tax incentives to developers and property owners; and upgrading standards of business activities to promote Georgia's further integration into the western economy.

There is very little information available on the conditions for the introduction of REITs in Georgia. Therefore, a pilot evaluation was implemented based on available relevant data: small and medium sized savings of local population in local banks and workers' remittances. This evaluation, along with other studies of local conditions, suggests that there are enough financial resources to initiate REITs in the country. In the meantime, certain preparatory works shall be carried out, including developing relevant legislation and conducting further subject-related studies.

**Keywords:** Real Estate; Investment Trust; competitive advantage; real-estate market; pilot evaluation; Georgia.

**JEL Classification:** G10, G11, G15

## ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, როგორც სამართლებრივი სტატისტიკის ახალი მიმართულება

*ლია ჩარეიჭვილი*

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თსუ-ის მონვეული პროფესორი;  
„საქსტატი“, განყოფილების უფროსი*

ოჯახში ძალადობის სტატისტიკა არის სამართლებრივი სტატისტიკის ახალი მიმართულება, რომელიც გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვის შემდეგ ჩამოყალიბდა. აღნიშნულ საკითხს მიეძღვნა არა ერთი ტრენინგი და ვორქშოპი, რომელზეც ხდებოდა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება ამ სფეროში და ბოლოს ჩამოყალიბდა მაჩვენებლთა წრე, რომელსაც მსოფლიო სტატისტიკის სამსახურები და მათ შორის „საქსტატი“ იყენებს.

თუმცა, ამ ყველაფერს წინ უძღოდა საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომლის საშუალებითაც განისაზღვრა ის ძირითადი დეფინიციები და ჩარჩოები, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ოჯახში ძალადობის საკითხის განსაზღვრა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არეგისტრირებს აღნიშნულ ფაქტებს საპატრულო ეკიპაჟის გამოძახების საფუძველზე. განხორციელდა პოლიციელთა გადამზადება-ტრენინგი ფაქტის სწორი კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, სამართალდამცავთათვის შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელო, პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე და სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენინგებისათვის.

ძალადობის ფაქტის დაფიქსირებისას, პოლიციელი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის და ძალადობის გამეორების თავიდან აცილების მიზნით, გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, რომლის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია მოძალადის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

**საკვანძო სიტყვები:** საკანონმდებლო ბაზა; საქსტატი; ოჯახში ძალადობის სტატისტიკა.

\* \* \*

თანამედროვე საქართველოსთვის ძალიან აქტუალურია ოჯახში ძალადობის საკითხები და მისი აღრიცხვის სისტემა. 2014 წელს, არა ერთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელიც ოჯახში ძალადობის შედეგად მსხვერპლით დასრულდა. აღნიშნულმა კიდევ უფრო აქტუალური გახადა ოჯახში ძალადობის პრობლემა. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს მეთოდოლოგიის სრულყოფა, რაც საშუალებას მოგვცემს სრულად გაანალიზდეს ქვეყანაში არსებული სიტუაცია.

### კანონმდებლობის მიმოხილვა

2006 წლის 25 მაისს დამტკიცდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომლის შესაბამისად, 2007 წელს, საფუძველი ჩაეყარა ოჯახში ძალადობის სტატისტიკას. აღნიშნული კანონის მიხედვით განისაზღვრა ძირითადი ქმედებები და დეფინიციები, რომელიც ახასიათებს ოჯახში ძალადობას.

კანონის შესაბამისად [1], ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ვინ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის წევრად, ვინ შეიძლება იყოს მოძალადე და მსხვერპლი:

**ოჯახის წევრი** – ოჯახური ძალადობის კანონის მიზნებისთვის დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე.

**მოძალადე** – ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

**ოჯახში ძალადობის მსხვერპლი** - ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება ოჯახის სხვა წევრისაგან.

საერთაშორისო დონეზე და შესაბამისად საქართველოში, განისაზღვრა ძალადობის შემდეგი სახეები:

1. ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი ქმედება, რომელიც იწვევს

ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

2. ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

3. იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებებია, ანდა, საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

4. სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

5. ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მიღება განაპირობა გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვამ საქართველოში. აღნიშნული კანონის მიღების წინაპირობები იყო [2, გვ. 37-38]:

✓ საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნა 2004 წელს;

✓ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცება 2006 წელს;

✓ საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2006 წელს;

✓ საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მათი დახმარების შესახებ 2006 წელს.

კანონის მიღებამ ხელი შეუწყო შემდეგი აქტივობების განხორციელებას:

✓ სამთავრობო კომისიის შექმნა გენდერული თანასწორობის საკითხებში 2007 წელს;

✓ 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმის (NAP) დამტკიცება - გენდერული თანასწორობის პოლიტიკა საქართველოში - მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ 2007 წელს;

✓საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ მიღებულია 2010 წელს ;

✓2011-2013 წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის (NAP) დამტკიცება;

✓2012-2015 ეროვნული სამოქმედო გეგმა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 1325, 1820, 1888, 1889 და 1960 წლის “ქალები, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე”.

2012 წლის მაისში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. სსსკ-ის მუხლი 11<sup>1</sup> განსაზღვრავს ოჯახის წევრთა წრეს და მიუთითებს კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამონათვალზე, ხოლო მუხლი 126<sup>1</sup> განმარტავს ოჯახში ძალადობის კრიმინალურ ხასიათს და აწესებს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისათვის [6].

## **„საქსტატის“ საქმიანობა ოჯახში ძალადობის სტატისტიკის სფეროში**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 1999 წლიდან დაიწყო გენდერული სტატისტიკის, როგორც ახალი მიმართულების დანერგვა [3, გვ. 4]. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, ეს არის გენდერული სტატისტიკის ერთ-ერთი ქვემიმართულება.

1999 წლიდან დაწყებული გარკვეული პერიოდულობით გამოიცემოდა სტატისტიკური პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“, 2008 წელს გამოცემულ კრებულს დაემატა მონაცემები ოჯახში ძალადობის შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არეგისტრირებს ოჯახში ძალადობის ფაქტებს და კვარტალური პერიოდულობით წარადგენს “საქსტატში”. სტატისტიკური მონაცემები, „საქსტატის“ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, განთავსებულია შესაბამის ვებგვერდზე (სტატისტიკურ მონაცემებზე დეტალური მსჯელობა გვექნება ქვემოთ).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2011 წლიდან განხორციელდა მეთოდოლოგიური ცვლილება და სტატისტიკა ოჯახში ძალადობის შესახებ, აღირიცხება როგორც რეგისტრირებული ფაქტების, აგრეთვე ძალადობაში მონაწილე პირების რიცხოვნობის მიხედვით.

„საქსტატი“ აქტიურად არის ჩართული ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მეთოდოლოგიური დახვეწის საკითხებში, რომელიც უახლოეს მომავალში გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდება.

მოთხოვნა ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მონაცემებზე ყოველდღიურად იზრდება, რაც განპირობებულია საკითხის აქტუალურობით და მომხმარებელთა წრის გაფართოებით. ამ მიმართებით, პერიოდულად იმართება

შეხვედრები სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის.

აღსანიშნავია „საქსტატის“ საქმიანობა ინფორმაციის გავრცელების მიმართულებით. გარდა იმისა, რომ ვებ გვერდზე არის განთავსებული ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემები, ასევე მუდმივად ხდება სტატისტიკური მონაცემების ბაზების განახლება ჩ-ხის ამილყ სისტემაში, რომელიც ამარტივებს ინფორმაციის დამუშავებას სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებელთათვის.

### ოჯახში ძალადობის სტატისტიკა

2014 წელს, ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით [5], საქართველოში რეგისტრირებულია 750 მოძალადე, რომელთაგან 8,0 % ქალია და 829 - მსხვერპლი (მათ შორის 89,5 %-ქალი). აღნიშნულ მაჩვენებლებს თუ შევადარებთ 2011 წლის მონაცემებს, თანაფარდობა თითქმის თანაბარია (შესაბამისად 8,0 % და 88,8 %).

#### მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ სქესობრივი ჭრილით [www.geostat.ge]


	2011				2014			
	მოძალადე		მსხვერპლი		მოძალადე		მსხვერპლი	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
საქართველო, სულ (ერთეული)	21	240	253	32	60	690	742	87
მ. შ. რეგიონების მიხედვით								
ქ. თბილისი	11	121	126	16	38	379	419	45
მცხეთა-მთიანეთი	5	30	34	1	2	16	21	2
აჭარის არ	1	5	5	1	2	17	17	2
გურია	-	2	4	3	1	7	7	2
კახეთი	-	-	-	-	8	64	72	14
იმერეთი	-	20	19	4	-	46	44	7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	-	-	-	-	-	-
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-	-	-	-	-	50	49	4
სამცხე-ჯავახეთი	2	6	8	-	2	10	11	5
შიდა ქართლი	-	-	-	-	-	7	7	-
ქვემო ქართლი	2	56	57	7	7	94	95	6

თუ რეგიონების მიხედვით გავანალიზებთ მონაცემებს, შემდეგ სურათს მივიღებთ: 2014 წელს, ქ თბილისში რეგისტრირებულია 9,1 % ქალი მოძალადე და 90,3 % ქალი მსხვერპლი; მცხეთა-მთიანეთის რეგიონში შესაბამისად - 11,1 % და 91,3 %; აჭარის არ - 10,5 % და 89,5 %; გურიაში - 12,5 % და 77,8 %; კახეთში - 11,1 % და 83,7 %; იმერეთში - 0.0 % და 86,3 %; სამეგრელო-ზემო სვანეთში - 0.0 % და 92,5 %; სამცხე-ჯავახეთში - 16,7 % და 68,8 %; შიდა ქართლში - 0.0 % და 100,0 %; ქვემო ქართლში - 6.9 % და 94,1 %.

მოძალადე ქალების დიდი ხვედრითი წონა მოდის ქ. თბილისზე (63,3 %), კახეთსა (13,3 %) და შიდა ქართლზე (11,7 %); ხოლო მსხვერპლი ქალების 56,5 % - ქ თბილისში; 12,8 % - შიდა ქართლში; 9,7 % - კახეთში. აღსანიშნავია, რომ იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში მოძალადე ქალების წილია 0.0 %, ხოლო მსხვერპლი ქალების შესაბამისად - 5,9 % და 6,6 %.

განვიხილოთ ოჯახში ძალადობის სტატისტიკური მონაცემები ასაკობრივი ჯგუფებით. გრაფიკიდან ჩანს, როგორც მოძალადეების, ასევე მსხვერპლების დიდი წილი მოდის 24-44 წლის ასაკობრივ ჯგუფზე.

მონაცემები ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა და მოძალადეთა რაოდენობის შესახებ ასაკობრივ ჯგუფში 2014 წელს, კაცი



თუ მონაცემებს გავანალიზებთ რეგიონების მიხედვით, ქ. თბილისში ყველაზე მაღალია როგორც მოძალადეების, ასევე მსხვერპლების წილი. კერძოდ, 17 წლამდე ასაკის მოძალადე არის 0 %, ხოლო მსხვერპლი – 70 %; 17-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 53.0 % მოძალადეა, 49.0 % მსხვერპლი; 25-44

ნლის ასაკობრივ ჯგუფში - შესაბამისად 56.0 % და 53.0 %; 44 წლის და უფროსი ასაკის – 56.0 % და 62.0 %.

ქ. თბილისის შემდეგ მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება კახეთის რეგიონი: 17 წლამდე ასაკის მოძალადე არის 0 %, ხოლო მსხვერპლი – 8.1 %; 17-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 13.9 % მოძალადეა, 14.6 % მსხვერპლი; 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შესაბამისად 8.3 % და 8.2 %; 44 წლის და უფროსი ასაკის – 11.9 % და 12.7 %.

მომდევნო ადგილზეა ქვემო ქართლი შემდეგი მაჩვენებლებით: 17 წლამდე ასაკის მოძალადე არის 0 %, ხოლო მსხვერპლი – 2.7 %; 17-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 11.1 % მოძალადეა, 11.7 % მსხვერპლი; 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შესაბამისად 14.6 % და 15.2 %; 44 წლის და უფროსი ასაკის – 11.4 % და 8.8 %.

იმერეთის რეგიონი შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება: 17 წლამდე ასაკის მოძალადეც და მსხვერპლიც არის 0 %; 17-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 11.1 % მოძალადეა, 10.7 % მსხვერპლი; 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შესაბამისად 6.3 % და 6.6 %; 44 წლის და უფროსი ასაკის – 5.0 % და 4.6 %.

სამეგრელო-ზემო სვანეთში: 17 წლამდე ასაკის მოძალადეც და მსხვერპლიც არის 0 %; 17-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში – 5.6 % მოძალადეა, 3.9 % მსხვერპლი; 25-44 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შესაბამისად 5.7 % და 7.5 %; 44 წლის და უფროსი ასაკის – 8.7 % და 6.2 %.

დანარჩენ რეგიონებში მაჩვენებლები მერყეობს 0.4 %-დან 2.8 %-ს შორის.

აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან ამოქმედდა ცხელი ხაზი, რომელზე დარეკვითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს შეუძლიათ მიიღონ გარკვეული ფსიქოლოგიური დახმარება და კონსულტაცია. ამას ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი. მათი მონაცემებით, 2010-2013 წლებში ცხელი ხაზით ისარგებლა 3373 ადამიანმა, ანუ წელიწადში საშუალოდ 931 პიროვნებამ, რომელთაგან 843 ქალია და 88 - მამაკაცი.

მონაცემებს თუ გავაანალიზებთ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, შემდეგ სურათს მივიღებთ: წელიწადში საშუალოდ 18 წლამდე ასაკის 6 ახალგაზრდამ დარეკა ცხელ ხაზზე; 18-24 ასაკობრივ ჯგუფში – 105, 25-44 ასაკობრივ ჯგუფში – 837 და 44 წლის და უფროსის – 768; ასაკი უცნობია – 467 პიროვნებამ. ანუ როგორც რეგისტრირებულ შემთხვევებში ასევე ცხელ ხაზზე ყველაზე აქტიური ასაკობრივი ჯგუფია - 25-44 წლის ასაკი.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სახელმწიფო თავშესაფარი [4, გვ. 5], სადაც მსხვერპლთა განთავსე-



ბა ხდება 3 თვემდე ვადით. მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრისთვის არსებობს 3 დამოუკიდებელი გზა [6]:

- ✓ მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი მუდმივმოქმედი საბჭო;
- ✓ შემაკავებელი ორდერი;
- ✓ დამცავი ორდერი.

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მონაცემებით, 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში განთავსებული იყო 328 პირი, ანუ საშუალოდ წელიწადში 66 პირი. თავშესაფარში განთავსებულთაგან 135 ქალია და 191 არასრულწლოვანი. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ანალიზი, იგივე სურათს გვაძლევს რაც ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, ანუ უმეტესობა 25-44 წლის ასაკის ქალია (70.4 %).

უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2012 წლებში თავშესაფარში მხოლოდ ქალები და არასრულწლოვნები იყვნენ განთავსებულნი, ხოლო 2013 წელს დამატა 2 მამაკაცი, 1 - ქ. თბილისიდან და 1 შიდა ქართლი/ქვემო ქართლის რეგიონიდან. ზოგადად, რეგიონების მიხედვით განაწილებას თუ გადავხედავთ, 2013 წელს თავშესაფარში განთავსებული იყო ქ. თბილისიდან 12 ქალი, ანუ მთლიანი რაოდენობის 30.8 %, შიდა ქართლი/ქვემო ქართლის რეგიონიდან – 30.8 %, კახეთიდან — 15.4 %, აჭარის არ – 12.8 %, სამგრელო-ზემო სვანეთიდან – 5.1 %, მცხეთა-მთიანეთიდან და იმერეთიდან 2.6-2.6 %.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული ძალადობის სახეებიდან, 2014 წელს ყველაზე მეტი მოდის ფსიქოლოგიურ ძალადობაზე – 779, შემდეგ ფიზიკური ძალადობა – 459, ეკონომიკური – 75, სექსუალური – 9, იძულება – 83. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური ძალადობა სხვა სახეებთან შედარებით, ყველზე მეტადაა გავრცელებული საქართველოში.

\* \* \*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ისტორიაში ძალიან დიდი ძვრები განხორციელდა ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მიმართულებით, ჯერ კიდევ დასახვეწია ის ინდიკატორები და ზოგადად მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც ხდება აღნიშნული დანამაულის მონაცემების პრეზენტაცია.

ამის მაგალითად მოვიყვანთ იმას, რომ სამწუხაროდ ჯერ არ ჩატარებულა სტატისტიკური კვლევა ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მაგრამ სხვა ქვეყნების სტატისტიკური სამსახურების მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალურად რეგისტრირებული შემთხვევების რაოდენობა და კვლევის შედეგად მიღებული შედეგები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. ხშირია შემთხვევა,

როდესაც ადგილი აქვს ოჯახში ძალადობას, მაგრამ არ ხდება პატრულის გამოძახება და ოფიციალურად დარეგისტრირება სხვადასხვა მიზეზის გამო.

უცილებელია გამოინახოს სახსრები და ჩატარდეს შინამეურნეობების სტატისტიკური კვლევა ოჯახში ძალადობის საკითხებზე, რომ მივიღოთ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის რეალური სურათი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძალადობა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ეკონომიკურად დაბალ განვითარებულ ქვეყნებისთვის. მაგალითად, შვედეთში 2010-2012 წლებში, მამაკაცი მოძალადე/ქალი მსხვერპლი 27.0 % შეადგენდა ქვეყანაში რეგისტრირებული ძალადობის მთლიან რაოდენობაში, ხოლო მამაკაცი მოძალადე/მამაკაცი მსხვერპლის წილი – 60.0 %.

ამ მხრივაც საინტერესოა მსგავსი დეტალური კვლევის შედეგები რა სურათს აჩვენებს საქართველოში, აგრეთვე, მონაცემების გაანალიზება მოძალადის და მსხვერპლის განათლების დონის მიხედვით, რაც ჩვენი შემდგომი მუშაობის სფერო იქნება.

მსოფლიო სტატისტიკაში კვლევების მეთოდოლოგია მუდმივი დახვეწის პროცესშია, ამიტომ არც საქართველოა გამონაკლისი და ამ მხრივაც უწყვეტი მუშაობაა საჭირო. ეს ეხება არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის სტატისტიკას, არამედ ეკონომიკის ყველა მიმართულებას.

დღეისათვის არსებული სტატისტიკური მონაცემები მწირი ანალიზის გაკეთების საშუალებას იძლევა, მაგრამ შეიძლება დავასკვნათ, რომ მდგომარეობა არც თუ სახარბიელოა და ამ მიმართებით საჭიროა დიდი მუშაობა.

#### ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, თბილისი, 2006.
2. ჩარეჟიშვილი ლ., გენდერული სტატისტიკა: აუცილებლობა და განვითარება, ჟურნალი „ეკონომისტი“, N3, 2013.
3. სტატისტიკური პუბლიკაცია - „ქალი და კაცი საქართველოში“, საქსტატი, 2013.
4. სტატისტიკური პუბლიკაცია - „ქალი და კაცი საქართველოში“, საქსტატი, 2011.
5. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
6. <http://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba>

## Domestic Violence as a New Direction of Justice Statistics

*Lia Charekishvili*

*Doctor of Economics*

Domestic violence is a new direction of the Justice statistics, which was formed after the introduction of gender equality as one of the sub-field.

Legal framework has been created, which defines the basic definitions and scope, which should be the used for the determination of the issue of domestic violence.

The Ministry of Internal Affairs of Georgia records numbers of cases by the reported number of the facts patrol summons. The policemen re-training has been conducted in order to learn reporting the facts with the right qualifications. As well as supporting textbook on domestic violence for police officers and guidebook for the trainers were elaborated.

Since 1999, the National Statistics Office of Georgia has based gender statistics, as a new direction. A statistical publication ‘‘A woman and a man in Georgia’’ is periodically issued. Original version published in 2008 has been updated and new indicators on domestic violence have been added.

Ministry of Internal Affairs of Georgia reports number of domestic violence to GeoStat quarterly. Statistical data, in accordance with the State Statistical Work Program are presented in a publication - Statistical Yearbook- and on an official web page of GeoStat.

Analyzed is the statistical data on domestic violence in Georgia in 2011-2014.

The current statistical data doesn't allow deep analysis but we can still conclude that situation is not very hopeful and in this respect it is necessary to conduct the hard work.

**Key words:** Legislation; GeoStat; Statistics on domestic violence.

**GEL Classification:** Z10, Z11, Z12

## ЭКОНОМИКА В ЕДИНОЙ СИСТЕМЕ ПРИРОДА-ОБЩЕСТВО-ЧЕЛОВЕК<sup>1</sup>

*Е.В. Пилипенко, д.э.н.*

*Курганский филиал ИЭ УрО РАН, г. Курган, Россия*

*«Мы, к сожалению, находимся в плену старых представлений о том, что происходящее связано с политическими решениями, природой экономики, ресурсами и так далее....  
... все упирается в фактор развития человека как разумного существа»*

*С.П. Капица*

Сегодняшний *экономический кризис*, по общему мнению, есть, прежде всего, *кризис мировоззрения, культуры, идеологии*. Это осознание тупика, к которому приводит любая экономическая система, в которой человек рассматривается не как *цель*, а как *средство*. Сегодняшний кризис – наилучшее основание для «ревизии» всех экономических догм и постулатов и наилучшее время для смены вектора социально-экономического развития как во всем мире, так и в отдельном регионе. Системный характер нынешнего кризиса, его общемировое влияние сделали очевидной *принципиальную невозможность найти выход из него в пределах рыночных категорий и представлений*. Характерно, что в рыночном обществе все чаще Нобелевские премии по экономике стали выдавать, фактически, за отрицание самих основ рыночной экономики:

- в 2002 году Дэниел Канеман получает Нобелевскую премию по экономике за доказательство того, что людей можно считать *иррациональными*, что опровергает главный тезис экономической теории - о рациональности человеческого поведения;

- в 2009 г. Элинор Остром получает Нобелевскую премию за доказательство *эффективности коллективной деятельности*;

---

<sup>1</sup> Статья подготовлена при финансовой поддержке Проекта фундаментальных исследований УрО РАН «Региональная экономика институтов инновационного развития» № 15-4-7-5.

-главным претендентом на получение Нобелевской премии по экономике в 2009 г. экспертами назывался австрийский учёный Эрнст Фер, специалист по так называемой «поведенческой экономике», описавший такое абсолютно абсурдное с точки зрения рынка явление, как *проявления альтруизма*.

Но ведь все эти явления давно и хорошо известны, изучены и описаны: эффективность коллективной деятельности тысячелетиями лежала в основании выживания и развития человеческих сообществ; «иррациональность» – это имманентное свойство личности, человека как субъекта; примерами человеческой «иррациональности» переполнены литературные, исторические, экономические и прочие устные и письменные источники; альтруизм давно считается необходимым условием выживания не только человеческого, но и животных сообществ и т.д. В чем же «откровение», достойное Нобелевской премии?

Впрочем, не меньше Нобелевского комитета удивил президент Франции Н. Саркози, который на открытии 40-й ежегодной встречи Всемирного экономического форума (ВЭФ) в Давосе призвал, фактически, к *самоуничтожению капитализма*, заявив, что необходимо «..перестраивать капитализм, *создавать капитализм нравственный*».<sup>1</sup> Но ведь еще недавно «столпы» и «светила» нам объясняли, что капитализм нравственным не бывает, поскольку «..бизнес не интересуется справедливостью. Справедливость – это особая моральная категория. *А бизнес построен на корыстном интересе ...*»[1]. Нобелевский лауреат, кумир либералов Ф. фон Хайек утверждал: «Имеет ли какой бы то ни было смысл понятие социальной справедливости в экономической системе, основанной на свободном рынке? *Категорически нет*»[2] Мерилом нравственности всегда была прибыль, а «справедливость» заменял «корыстный интерес» - на этом веками была выстроена вся система капиталистического производства.

Невозможно, конечно, представить, что члены Нобелевского комитета совсем не знакомы с общеизвестными фактами экономической и общественной жизни и истории. Столь же трудно предположить, что капиталист Н. Саркози не знает, как устроен капитализм.

Причина, видимо, в другом. «Альтруизм», «коллективизм как *эффективная* форма хозяйства», «нравственность» и другие совершенно противопоставленные рынку понятия рассматриваются, по-видимому, как некие возможные элементы новой экономической конструкции, свободной от недостатков суще-

<sup>1</sup> А. Пушков: «Капитализм не может быть нравственным - у него другая цель! Его задача - генерирование прибыли и сверхприбыли. Но сверхдоходы никак не сочетаются с нравственностью... Да, под влиянием СССР, коммунистических и социалистических движений на Западе была создана довольно мощная структура социальной защиты. Там поняли: лучше делиться с неимущими, чем переживать результаты их восстаний. Современный капитализм создал систему социальных амортизаторов. Но это вовсе не значит, что его внутренней логикой являются нравственность и ответственность. Нравственный капитализм создать невозможно» [3].

ствующей. Ведь совершенно очевидно, что выход из существующего экономического коллапса надо искать не в иных «методах» реализации тех же самых, что привели к нему, принципов, а в *поиске иных принципов устройства всей экономической системы.*

Итак, современное состояние как экономической теории, так и экономической практики таково, что требует не «косметического ремонта», а полного переосмысления самих основ (философских, прежде всего) существования в *единой системе Природа - Общество-Человек* экономики как одной из подсистем общества.

**Ключевые слова:** Общество; экономика; система; подсистема, экономика знаний; духовное производство.

## Общество и Экономика

Общество – это саморегулируемая система, в которой расширение жизнедеятельности выступает в качестве конечной цели. Экономика в этой системе отвечает за создание и расширение искусственной среды обитания человека за счет преобразования материала биосферы в предметы потребления людей.

Однако задача обеспечения членов общества предметами потребления не является ни единственной, ни, быть может, главной задачей общества. Развитие общества, увеличение его жизнедеятельности достигается развитием социальной и психической составляющих человеческой личности, в конечном счете, отражающихся в уровне развития культуры. Человек меняет условия своего существования, создает мир материальной и духовной культуры, которая творится человеком в той же мере, в какой сам *человек формируется культурой.* Именно культура является отличительным признаком и человека, и общества, именно наличие культуры отличает общество от любого объединения животных.

Но что такое культура и каково ее место в обществе как системе? Как говорит французский философ Эммануэль Мунье, «культура - это не отрасль, но *основная функция человеческой жизни.*». «Цель культуры - полное осуществление всех возможностей человека». Иван Ильин пишет о том, что культура начинается там, где *духовное содержание ищет себе верную и совершенную форму.* Духовность и культура - это два аспекта одного сущностного процесса: духовность - это факт субъективного восприятия человека, а культура - это проявление духовности для других. [4]

Духовность традиционно понимается как способ самостроительства личности. По В. Соловьеву, духовность есть специфическое качество личности и раскрытие родовой сущности человека, отражающее *«богочеловеческую природу каждой отдельной особи».* Духовность как качество личности имманентно предполагает

ориентацию человека на высшие ценности. Эти высшие ценности, определяемые учеными как Истина, Добро и Красота являются объективными смысловыми значимостями, объединяющими всех людей и делающими жизнь осмысленной. Смысл, в данном случае, *выступает в форме ценностей*. Человек может продвигаться в своем развитии, только обретая конкретный смысл. Постигание смысла человеческой жизни происходит именно в результате духовного развития. Поэтому духовное развитие человека является основополагающим в его становлении как субъекта, как личности и даже как биологического вида.

Таким образом, духовность – это смысл человеческой жизни. Потеря смысла (В. Франкл) зачастую приводит к смерти конкретного индивида, т.е. к прекращению его физического существования. М. Каган определял духовность как необходимый *атрибут человека как субъекта*. Утрата духовности, по его мнению, означает утрату личностью ее субъектных качеств, ее вырождение.

Цель и предназначение общества, таким образом, состоят в том, чтобы обеспечить каждому его члену возможности и условия для осуществления *главной цели человека – духовного роста и развития*.

საექსპორტო პოტენციალზე მსჯელობისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქართული ექსპორტის უმთავრეს პრობლემას, კერძოდ, საექსპორტო პროდუქციის მცირე რაოდენობას, რაც მიანიშნებს ქვეყნის ეკონომიკის დაბალ ინოვაციურობაზე, რაც დადასტურებულია სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებით და ინდექსებით [3]. ეს პრობლემა საკმაოდ ფუნდამენტურია და მისი გადაწყვეტა დროის მოკლე პერიოდში ძნელად წარმოსადგენია. ამასთან, შესაძლებელია გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ, იმ პროდუქციის ანალიზი, რომელიც იწარმოება შიგა ბაზრისათვის, მაგრამ არ ხდება მისი ექსპორტირება. საქართველოს შიგა ბაზრის დაბალი ტევადობის გამო, ამ შემთხვევაში ‘უპსალას მოდელის’ [4] გამოყენება ნაკლებად სავარაუდოა. შიგა ბაზარზე დიდი ოდენობით წარმოება და მიღწეული ფარდობითი ეკონომიის ხარჯზე კონკურენტულ ფასებით ექსპორტირება. უფრო ეფექტიანი იქნება, მოხდეს ექსპორტის მენეჯმენტის კომპანიების მონვევა, რათა მათ განსაზღვრონ თუ რომელ პროდუქციას ექნება მაღალი საექსპორტო პოტენციალი, ამავდროულად განისაზღვროს ის საკანონმდებლო შეღავათები, რაც ხელს შეუწყობს ამ პროდუქციის ექსპორტირებას. პრაქტიკულად, ანალოგიურია ვითარებაა იმ პროდუქციასთან მიმართებით, რომელიც არ იწარმოება საქართველოში, მაგრამ გარკვეულ პირობებში მისი წარმოება და ექსპორტირება შესაძლებელია. აქ უმთავრესი აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს ინვესტორებზე. მიზანშეწონილი იქნება შემუშავდეს ინვესტორთა დაცვისა და შეღავათიანი დაბეგვრის სპეციალური ღონისძიებები. კერძოდ, განთავისუფლდეს მოგების გადასახადისაგან 10 წლის ვადით ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოება. ასეთი რადიკალური ნაბიჯები აუცილებელია საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის.

## საექსპორტო პოტენციალის მართვა

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვა ობიექტურად უკავშირდება საექსპორტო პოტენციალის მართვის პრობლემატიკას. რა ასპექტები უნდა გამოიყოს ამ მიმართულებით? - თეორიული და პრაქტიკული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება საექსპორტო პოტენციალის მართვის ორი ძირითადი ბერკეტი: საკანონმდებლო და ინფორმაციული. თავის მხრივ, საკანონმდებლო ასპექტი შეიცავს რამდენიმე ქვე- მიმართულებას, როგორცაა: საგადასახადო, ორგანიზაციული და სპეციალური.

საგადასახადო ქვემიმართულება, თავის მხრივ, შეიცავს საერთო და სპეციფიკურ ღონისძიებებს. კერძოდ, მიზანშეწონილია საგადასახადო კოდექსში შევიდეს შესწორება და ექსპორტორიენტირებული კომპანიების მოგების დაბეგრვა გახდეს რეგრესიული. ეს სტიმულს მისცემს არსებულ ექსპორტიორებს და ასევე ექსპორტორიენტირებულ ინვესტორებს მიანიშნებს საქართველოს მიმზიდველობაზე. ადეკვატურ ღონისძიებებს შორის შესაძლებელია განვიხილოთ კონკრეტული, სპეციფიკური საექსპორტო პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა. აქ, პირველ რიგში, განხილული უნდა იქნეს ახალი საექსპორტო პროდუქციის შექმნის წახალისება და ინვესტორებისათვის დამატებითი გარანტიების შეთავაზების სქემები. კონკრეტული მიმართულების მქონე მენარმეთა გათავისუფლება მოგების გადასახადისაგან საქართველოში არსებობს, რაც ხელს უწყობს რეექსპორტის განვითარებას. ეს ნაბიჯი ცალსახად უნდა შეფასდეს, როგორც პოზიტიური, ვინაიდან რეექსპორტი საექსპორტო პოტენციალის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვაა. ამდენად, ანალოგიური მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ საექსპორტო პროდუქციის მიმართ, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოში არ იწარმოება. კონკრეტული ვადები, პროდუქციის ჩამონათვალი და სხვა დეტალები უნდა განისაზღვროს შესაბამისი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების მიერ.

ორგანიზაციულ ქვემიმართულებაში უნდა განვიხილოთ ექსპორტის ხელშეწყობის ყველა ორგანიზაციული ასპექტი. ერთი მხრივ, ეს უნდა იყოს ექსპორტირებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურების გამარტივება. ამ შემთხვევაში საზომად უნდა ავიღოთ ერთი კონტინენტის საექსპორტო განბაჟებასთან დაკავშირებული ხარჯები და მიზნად იქნეს დასახული ამ ხარჯების მინიმიზაცია. მეორე მხრივ, ხელი უნდა შეეწყოს საექსპორტო პოტენციალის რეალიზაციის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის მოწესრიგებას, როგორცაა საექსპორტო ალიანსების ფორმირება. საექსპორტო ალიანსები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი დამატებული ღირე-

ბულების მქონე საექსპორტო პროდუქციის წარმოების ხელშესაწყობად. დასარეგულირებელია საექსპორტო ალიანსების ფორმირების წესები, ალიანსების მართვის მექანიზმები, დაბეგვრის მექანიზმები. საექსპორტო ალიანსების ფორმირების ხელშეწყობა იქნება ძლიერი სტიმული საექსპორტო პოტენციალის ამაღლებისათვის.

სპეციალურ ქვემომართულებაში შესაძლებელია განვიხილოთ კარგად აპრობირებული საექსპორტო დაზღვევის სხვადასხვა ფორმა. ასევე აქ უნდა განვიხილოთ ნებისმიერი სხვა ხელშემწყობი ოპერაციები, როგორცაა: საექსპორტო ოპერაციების ფაქტორინგი, ლიზინგის ფორმები და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამ სპეციფიკურმა ფორმებმა ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტიორებს ჰქონდეთ უფრო კონკურენტული ფასები და მიწოდების უკეთესი პირობები შესთავაზონ არსებულ და პოტენციურ მყიდველებს.

საექსპორტო პოტენციალის მართვის ინფორმაციული ბერკეტი ხშირად განიხილება, როგორც დამატებითი ღონისძიება, რომელსაც თავისთავად არ შეუძლია ექსპორტიორს მისცეს გარკვეული უპირატესობა. საინფორმაციო ბერკეტი კი წარმოადგენს ახალი საექსპორტო ბაზრებისათვის კონკურენტულ ბრძოლაში ძალიან სერიოზულ იარაღს. საინფორმაციო ბერკეტი თავისი არსით მოიცავს რამდენიმე ქვემომართულებას, როგორცაა: ექსპორტიორებისათვის საბაზრო ინფორმაციის მიწოდება, საექსპორტო თემატიკაზე ტრენინგების ორგანიზაცია, სავაჭრო მისიების ფორმირება, გამოფენა-ბაზრობებზე მონაწილეობის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება. ძალიან ხშირად ამ ქვემომართულებების რეალიზაცია ხდება საერთო საექსპორტო სტრატეგიის არსებობის გარეშე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ ღონისძიებების ეფექტურობას. საერთო საექსპორტო სტრატეგია განსაზღვრავს ხელშეწყობის კონკრეტულ ფორმებს და მიმართულებებს. ცხადია, წარმატებული საექსპორტო სტრატეგია უნდა აიგოს რეალური კონკურენტული უპირატესობის საფუძველზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს სტრატეგიას წარმატების მაღალი ალბათობა. ამდენად, აუცილებელია განვიხილოთ კონკურენტული უპირატესობის სხვადასხვა ასპექტი.

### **კონკურენტული უპირატესობა**

კონკურენტული უპირატესობის სხვადასხვა განმარტება საკმაოდ კარგადაა ცნობილი, თუმცა, ბოლო პერიოდში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს შუმპეტერის განმარტება, რომელიც ასახავს კონკურენტული უპირატესობის დინამიკურ ფაქტორს. აღნიშნულ საკითხზე უამრავი სამეცნიერო პუბლიკაციაა, ჩვენც გვაქვს საკუთარი ხედვა[5].



მოცემულ სტატიაში კი, ყურადღებას ვამახვილებთ კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიულ და ტაქტიკურ ფაქტორებზე. ცხადია, მსჯელობა უნდა დავიწყოთ კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიული ფაქტორების განმარტებით. რა შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიული ფაქტორები? მიზანშეწონილია განვმარტოთ არა მხოლოდ უშუალოდ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს სტრატეგიულ კონკურენტულ უპირატესობას, არამედ ის მდგომარეობაც, რომელიც შეესაბამება სტრატეგიულ კონკურენტულ უპირატესობას. ფაქტორთა განსაზღვრა ვერ იქნება სრული და განვითარების კვალობაზე შესაძლებელია გარკვეული ფაქტორების ნიველირება, ხოლო სხვა ფაქტორების მნიშვნელობის ზრდა. ამდენად, რას განაპირობებს სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობა? სხვადასხვა ასპექტიდან შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი: სტრატეგიული კონკურენტული უპირატესობის არსებობისას ორგანიზაცია იღებს საშუალო დარგობრივზე უფრო მაღალ მოგებას დროის ხანგრძლივადიან პერიოდში. ხანგრძლივი ვადა წარმოადგენს იმ წყალგამყოფს, სადაც აშკარაა განსხვავება კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიულ და ტაქტიკურ ფაქტორებს შორის. კონკურენტული უპირატესობის ტაქტიკური ფაქტორები უმეტესწილად უკავშირდება საბაზრო კონიუქტურას და თავისი არსით მოკლევადიანია. საექსპორტო პოტენციალის განხილვისას უნდა შეფასდეს, როგორც სტრატეგიული, ასევე ტაქტიკური ფაქტორები. ტაქტიკური ფაქტორები იძლევა შესაძლებლობას ყველაზე უფრო ხელსაყრელ დროს მოხდეს ახალ საექსპორტო ბაზრებზე შესვლა, ან არსებულ საექსპორტო ბაზრებზე ახალი პროდუქციის წარდგენა. სტრატეგიული ფაქტორები კი განაპირობებს საექსპორტო ბაზრებზე ხანგრძლივადიანი მომგებიანი ურთიერთობის ფორმირებას.

კონკურენტული უპირატესობა ყოველთვის ეფუძნება ერთი ან რამდენიმე ფაქტორით უპირატესობას. რა განაპირობებს ამ უპირატესობის ხასიათს, რამდენად შესაძლებელია ის განვიხილოთ როგორც სტრატეგიული ან ტაქტიკური? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია განვიხილოთ ფაქტორთა მოქმედების სპეციფიკა: იაფი რესურსის გამოყენება, უკეთესი სავაჭრო რეჟიმი, უფრო კვალიფიცირებული სამუშაო პერსონალი, ორგანიზაციის მაღალი ინოვაციურობა - ნებისმიერი ეს ფაქტორი გამოდგება კონკურენტული უპირატესობისათვის. რომელია მათგან ტაქტიკური და რომელი სტრატეგიული? მიზანშეწონილია კონკურენტული უპირატესობის ფაქტორთა რანჟირება სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით. ავირჩიოთ ორი მახასიათებელი - იმიტაციის დრო და იმიტაციის დანახარჯები. იმიტაციად ამ შემთხვევაში მიჩნეულია ქმედება, რომელიც გაიმეორებს კონკურენტის ქმედებას. კონკურენტული უპირატესობის ფაქტორის იმიტაცია დროში შეიძლება იყოს მოკლე და ხანგრძლივადიანი, ხოლო იმიტაციის დანახარჯები შეიძლება იყოს მცირე და მნიშვნელოვანი. ამდენად, მივიღებთ ოთხ შესაძლო ვარიანტს: იმიტაციის ვადა

- მოკლე დანახარჯები - მცირე; იმიტაციის დრო - მოკლე დანახარჯები - მნიშვნელოვანი; იმიტაციის დრო - ხანგრძლივი დანახარჯები - მცირე; იმიტაციის დრო - ხანგრძლივი დანახარჯები - მნიშვნელოვანი. ცხადია, პირველი ვარიანტი ყველაზე ადვილია, მეორე და მესამე უფრო რთული, ხოლო მეოთხე ვარიანტი შეიძლება იქნეს მიჩნეული კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიულ ვარიანტად(იხ.სქემა).

### იმიტაციის ვადა

მოკლე	ხანგრძლივი
მოკლე;მცირე.	ხანგრძლივი;მცირე.
მოკლე;მნიშვნელოვანი.	ხანგრძლივი;მნიშვნელოვანი.

იმიტაციის დანახარჯები: მცირე, მნიშვნელოვანი.

იმიტაციის ვადები, ზოგადად, შესაძლებელია დავყოთ ექვს თვემდე და მეტი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამომდინარე სხვადასხვა დარგში არსებული პროდუქციის სასიცოცხლო ციკლიდან, ეს მაჩვენებელი შესაძლებელია სერიოზულად ვარიერებდეს. უნდა აღინიშნოს, რომ იმიტირების ვადის შემცირება პირდაპირ არ უკავშირდება დანახარჯებს ანუ დანახარჯების გაზრდით იმიტაციის ვადის შემცირება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია. მაგალითად, ტექნოლოგიური პროცესის შეცვლა თავისთავად გულისხმობს პერსონალის გადამზადებას. გარდა ამისა, არსებულმა ტექნოლოგიამ უნდა იმუშაოს გარკვეული ვადით, რათა დანახარჯები, რაც ამ ტექნოლოგიაზე იქნა გაწეული, ამოღებული იქნეს. ამდენად იმიტაციის ვადა დამოუკიდებელი ფაქტორია და არ უკავშირდება ნრფივად დანახარჯების ცვლილებებს.

დანახარჯებთან მიმართებით კი მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ფარდობითი მიდგომა, კერძოდ, დანახარჯების ზრდა არსებულ დანახარჯებთან მიმართებით 3%-ის ფარგლებში ჩაითვალოს მცირედ, ხოლო 3%-ს ზევით მნიშვნელოვნად. აუცილებელია განვიხილოთ იმიტირების სხვადასხვა ასპექტი: მომწოდებლის შეცვლა; რესურსის გაძვირება; სანარმოო ტექნოლოგიის შეცვლა; პერსონალის გადამზადება. ცხადია, გარდა დროითი და დანახარჯების ფაქტორებისა, არსებობს ისეთი ფაქტორები, რომელთა ზუსტი რაოდენობრივი აღრიცხვა გართულებულია, მაგ. მომწოდებლის შეცვლა, რომელთანაც ორგანიზაციას ჰქონდა ხანგრძლივადიანი საპარტნიორო ურთიერთობა, არ დაიყვანება მხოლოდ დროსა ან დანახარჯებზე. აქ, ცხადია, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ემოციური ფაქტორები.საექსპორტო ოპერაციების განხორციელებისას კონკურენტული უპირატესობის სტრატეგიულ ფაქტორებად შესაძლებელია მივ-

იჩნით პოტენციურ ბაზართან ინტეგრაციის ზომა. ინტეგრირებას განსაზღვრავს, როგორც ისტორიულ-კულტურული, ასევე პოლიტიკური ფაქტორები. თუ დსთ-ს ბაზარი საქართველოსათვის წარმოადგენს ისტორიულ-კულტურულ ფაქტორს, ევროკავშირის ბაზარი მკაფიოდ გამომხატული პოლიტიკური ფაქტორია. ევროკავშირთან ინტეგრირების ახალ საფეხურებზე ასვლა, კერძოდ, საბაჟო კავშირის ფორმირება, კიდევ უფრო გააძლიერებს ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას ევროკავშირის ბაზარზე და ამდენად მოახდენს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის უფრო სრულ რეალიზაციას.

#### ლიტერატურა:

1. Drysdale Peter, International Economic Pluralism: Economic Policy in East Asia and Pacific, Sydney, Allen and Urwin, 1988.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=133&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo); vaWrobis saerTaSoriso centri [www.intracen.org](http://www.intracen.org).
3. საქართველოს პოზიცია მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ანგარიშში 2014 წელს. <http://www.weforum.org/reports/global-competitiveness-report-2014-2015>
4. Johanson & Vahlne, 1977 Journal of International Business Studies (JIBS).
5. გ. ლაღანიძე, კონკურენტული უპირატესობის პრობლემის კვლევისადმი სისტემური მიდგომა, სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ №4, 2014.

## Export Potential and Competitive Advantage

*Giorgi Gaganidze*

*Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*E-mail: giorgi.gaganidze@tsu.ge*

In the article the author presents the research of the export potential and the competitive advantage, export potential could be evaluated on the basis of the Trade Intensification Index. The author analyzed the different methods to manage export potential. There is presented the strategic and tactic factors of the competitive advantage, also these factors are evaluated.

**Keywords:** Export potential; management of export potential; competitiveness; strategic and tactic factors of competitive advantage.

**JEL Classification:** M10, M11, M12

## ტურიზმის განვითარება საქართველოში უმუშევრობის შემცირების ასპექტით

*რუსუდან სირბილაძე*

*ეკონომიკის დოქტორი, ივანე  
ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,  
ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის, ტურიზმის  
საერთაშორისო სკოლის მონვეული პროფესორი*

სტატისტიკური და სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ბოლო ათწლეულების უმთავრესი პრობლემა საქართველოს ეკონომიკისა და ქართული საზოგადოებისთვის არის უმუშევრობა, რომელსაც სიღარიბესთან ერთად, მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების ნუსხაში, პირველი ადგილი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ბაზარზე გაჩნდა ახალი საქონელი და მომსახურებები, რომლებიც მომხმარებელთა სრულიად ახალ სურვილებს და მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, მოსახლეობაში უმუშევრობის დონე მაინც მაღალია.

**საკვანძო სიტყვები:** ტურიზმი; უმუშევრობა; ინფრასტრუქტურა; აგროტურიზმი; ეკოლოგიური; პრობლემები; ეთნოგრაფიული; რეკლამა; მარკეტინგი; რეგიონული; მშპ; შემოსავლები.

უმუშევრობის პრობლემა მრავალგანზომილებიანია და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: დასაქმების პოლიტიზება, ასაკობრივი დისკრიმინაცია, არასწორი საკანონმდებლო ბაზა, პროფკავშირების ინსტიტუციონალური სისუსტე, სტრუქტურული პრობლემები, განათლების პოლიტიკა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობის უარყოფა, გლობალიზაციის გავლენა, ფინანსური კრიზისი და ა.შ. ეკონომიკური ექსპერტები დასავლეთში თანხმდებიან იმაზე, რომ უმუშევრობა ნებისმიერი ქვეყნის

მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვება და ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ დანაკარგს იწვევს. უმუშევრობასთან ბრძოლა მთავარი საკითხია მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებშიც, სადაც პრობლემების დაძლევა განათლებაში ინვესტირება წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან. ეს რესურსი მარტივი მოსაძებნია იმ ბევრი არაეფექტური პროგრამის ხარჯზე, რომელსაც უფრო პოლიტიკური დანიშნულება აქვს. მთავარი ამ ნაწილში პროფესიული გადამზადების ცენტრების შექმნა რეგიონებში, რათა ბიზნესის და დასაქმების მსურველების ინტერესები და უნარჩვევები ერთმანეთს დაუახლოვდეს. ასევე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების როლი, რომელთა განხორციელების დაჩქარება, განსაკუთრებით რეგიონებში, მნიშვნელოვნად გაზრდის დაინტერესებას და ადგილობრივ დასაქმებას. მცირე და საოჯახო ბიზნესი ძალიან ბევრ ქვეყანაში ასრულებს სერიოზულ ფუნქციას ამ მიმართულებით, საქართველოში კი მისი მაჩვენებელი ძალიან დაბალია, ეკონომიკაში მისი ხვედრითი წონა 17%-ია, ხოლო დასაქმებაში 30%.

ტურიზმი ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიაა მსოფლიოში, რომლის განვითარებასაც ამა თუ იმ ქვეყანაში დიდწილად განაპირობებს შიგა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების მისაღები დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და განვითარების გამყარებას განვითარებად ქვეყნებში, ასევე სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების ზრდას, ეკონომიკურ დივერსიფიკაციას გარემოს დაცვასა და კულტურათა დაახლოებას. საქართველო მდიდარი და უკვე სახელგანთქმული ქვეყანაა საკურორტო რესურსებით. წლების განმავლობაში შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები ტურიზმის სფეროში. მოიმატა რესტორნებისა და სასტუმროების რიცხვმა, მზარდი მოთხოვნა გაჩნდა შესაბამისი სამუშაო კვალიფიკაციის მქონე პირებზე. ტურიზმის განვითარება უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის უპირატესობას: - განვითარების საშუალებას აძლევს ისეთ ქვეყნებს, რომელთაც არ გააჩნიათ ნედლეული, თუმცა, საკუთარ კონკურენტულ უპირატესობას აფუძნებენ თავიანთ კულტურაზე, ისტორიულ ძეგლებზე, ნაკრძალებსა და ბუნებრივ პირობებზე; ტურიზმი ხელს უწყობს სასტუმროების, რესტორნების ქსელის და კვების მრეწველობის განვითარებას, ახდენს შრომის ბაზრის დივერსიფიკაციას, ქმნის ტურისტულ მარშრუტებს და სამუშაო ადგილებს ისეთი პროფესიის ადამიანებისათვის, როგორებიც არიან: გიდები, თარჯიმნები, მზარეულები, მძღოლები, სასტუმროს მენეჯერები, მომსახურე პერსონალი და მომსახურების სფეროს სხვა წარმომადგენლები;

ტურიზმის ხელშემწყობი პოლიტიკა გულისხმობს ინფრასტრუქტურის მშენებლობას, გზების მოწესრიგებას, ჯანდაცვის დანებსებულებებს, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრებს, რაც ამცირებს უმუშევრობას და ზრდის

შემოსავალს სახელმწიფო ბიუჯეტში; ორიენტირება ტურიზმის განვითარებაზე მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფს ისტორიული, რელიგიური და არქეოლოგიური ძეგლების დაცვასა და მოფრთხილებას, ადგილობრივი ფოლკლორის, ტრადიციების, ხელოვნებისა და სამზარეულოს დაცვას და შენარჩუნებას; ტურისტთა ნაკადის ზრდა საშუალებას აძლევს მოსახლეობას, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ნაწარმის ექსპორტირებას, ადგილზე მოახდინოს თავისი პროდუქტის რეალიზაცია; ქვეყანაში ტურისტთა რაოდენობის ზრდა ხელს უწყობს ურთიერთობების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლებს შორის, რაც აახლოებს ერებს, აყალიბებს მათ შორის ურთიერთთანამშრომლობას.

ამჟამად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიოში უმუშევრობის საგანგაშოდ მაღალ მაჩვენებელზე მსჯელობს. ორგანიზაციის ექსპერტების განცხადებით, ბოლო პერიოდში ძალიან მცირე რაოდენობის სამუშაო ადგილი იქმნება.

თუ გადავხედავთ საქართველოს უახლოეს წარსულს, მომხდარმა პოლიტიკურმა თუ სოციალურმა ცვლილებებმა, გამოიწვია საქართველოს ეკონომიკის სტაბილურობის რღვევა. 2014 წლის მონაცემებით საქართველოში 246,0 ათასი უმუშევარია, რაც მთელი მოსახლეობის (სამუშაო ძალის) 12,4% -ს შეადგენს.


დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში [3]

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	2023.9	2021.8	1965.3	1917.8	1991.8	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1
დასაქმებული, ათასი კაცი	1744.6	1747.3	1704.3	1601.9	1656.1	1628.1	1664.2	1724.0	1712.1	1745.2
უმუშევარი, ათასი კაცი	279.3	274.5	261.0	315.8	335.6	316.9	295.1	305.1	291.8	246.0
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14.6	12.4

ამჟამად, ქვეყანაში იქმნება სამუშაო ადგილები, მაგრამ ცხოვრების დონე მაინც არ არის სტაბილური. უმუშევრობის გამომწვევი ზოგადი მიზეზია ფართომასშტაბიანი გლობალიზაციის პროცესი, გარკვეული სახის სფეროში აქტიური სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დაბალი დონე, ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა. ასეთ ვითარებაში ტურიზმი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია საქართველოში. გაეროს საერთაშორისო ტურისტუ-

ლი ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2011 წლის განმავლობაში საქართველოს 2 800 000 ტურისტის ენვია, აზერბაიჯანს - 1 280 000, ხოლო სომხეთს - 758 000. 2011 წელს, წინა წლებთან შედარებით, საქართველოში ტურისტების რაოდენობა 39%-ით გაიზარდა. მაგრამ ამ სფეროშიც მთავარი პრობლემა მაინც უმუშევრობაა. ტურიზმის წილი მთლიან შიგა პროდუქტში 6.5 დან 6.4%- მდე მერყეობს ბოლო სამი წლის მონაცემებით. [3.]

ტურიზმის წილი ქვეყნის კარგობის შიგნით ბაზრებზე, პროცენტში



### ტურიზმის მოთხოვნის ფაქტორები და ტურიზმის სფეროს ძირითადი პრობლემები

ტურიზმში მოთხოვნის ფაქტორებია: საერთაშორისო და შიგა ტურისტული ბაზრები და ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც იყენებს ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, ობიექტებს და მომსახურებას. მიწოდების ფაქტორები კი მოიცავს:

1. ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, კერძოდ, ბუნებრივ, კულტურულ და ისეთ სპეციალურ ობიექტებს, როგორცაა თემატური პარკები, ზოოპარკები, ბოტანიკური ბაღები და სხვა, აგრეთვე საქმიანობის იმ სახეებს, რომელიც დაკავშირებულია ამ ღირსშესანიშნაობებთან;
2. ტურიზმის ძირითად საშუალებებს, რომელსაც მიეკუთვნება სასტუმროები, კემპინგები, სტუმრის სახლები და განთავსების სხვა საშუალებები, სადაც ტურისტები ღამეს ათენებენ;
3. ტურებისა და მოგზაურობების ორგანიზაციას, რესტორნებს, მაღაზიებს, საბანკო მომსახურებას, ვალუტის გაცვლას, აგრეთვე სამედიცინო პუნქტებს.

ტურიზმის სფეროში არსებული უმუშევრობა შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად: სეზონურ, რეგიონულ და ნებაყოფლობით უმუშევრობად. ქვეყნის ტერიტორიაზე ნაკლებადაა ისეთი ადგილები, რომლებიც მოგვცემდა საშუალებას, რომ მოსახლეობა მთელი წლის (ოთხივე სეზონის) განმავლობაში დასაქმებული იყოს. ხშირად მოთხოვნა ტურიზმზე განპირობებულია სეზონების მიხედვით, ამიტომ ქვეყნის მასშტაბით არსებობს სეზონური უმუშევრობა. მაგალითად, ზღვის რეგიონში ძნელია სამუშაოს ძებნა ზამთრის სეზონზე. ქვეყნის რეგიონები გამოირჩევიან არა მხოლოდ ბუნებრივი რესურსებით, არამედ ეკონომიკითაც. ისეთ რეგიონებში, სადაც ეკონომიკური დონე შედარებით დაბალია და ნაკლებადაა განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, ნაკლებია ტურისტების რაოდენობაც და, შესაბამისად, სამუშაო ადგილებიც ნაკლებია. ამიტომ, მოსახლეობის ის გარკვეული ნაწილი, რომელიც ასეთ რეგიონებში ცხოვრობს და არ მუშაობს, რეგიონული უმუშევრობის ჯგუფს მიეკუთვნება[2, გვ.110]. ვინაიდან, ტურიზმი და ზოგადად ტურისტული სფერო არც თუ ისე დიდი ხანია განვითარდა დამოუკიდებელ საქართველოში, ნაკლებია დაინტერესება რეზიდენტების მხრიდან. შესაბამისი და არასაკმარისი ცოდნა ტურიზმის შესახებ იწვევს ნებაყოფლობით უმუშევრობას.

### **ტურიზმის სფეროს ძირითადი პრობლემები:**

- **ტურიზმის სააღრიცხვო სისტემის არარსებობა** - დღესდღეობით საქართველოში ვერ ხერხდება ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა;
- **უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი დონე ქვეყანაში** - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე არსებული დაძაბული სიტუაცია ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ტურისტებზე;
- **არადამაკმაყოფილებელი უსაფრთხოების დონე კურორტებზე** - ეს გამონკვეულია რეგიონებში სამაშველო სამსახურის არაქმედუნარიანობითა და სიმცირით. გარდა ამისა, საკურორტო ადგილებში, განსაკუთრებით კი მაღალმთიან რეგიონებში, პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების მიღება.
- **არასახარბიელო სანიტრულ-ჰიგიენური მდგომარეობა კურორტებზე** - ამ მხრივ მეტად სავალალო მდგომარეობაა ზღვის სანაპირო ზოლში, რადგან თითქმის არ ხდება სანაპიროს დასუფთავება და საჭირო სანიტარული ნორმების დაცვა. ასევე ხშირია ზღვის დაბინძურება სხვადასხვა



ჩამდინარე ნარჩენებით, გემების ნარეცხი წყლებითა თუ ჩალვრილი ნავთობით. ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის დამსვენებელთა ჯანმრთელობას.

- **მოუწესრიგებელი საგზაო და სატრანსპორტო სისტემა-** საქართველოს უმეტეს მაღალმთიან რეგიონში მთლიანად მოშლილია საგზაო სისტემა, ქვეყანაში არ არსებობს შიგა ავიარეისები, შავი ზღვის სანაპიროზე ორი ნავსადგურიც გაგვაჩნია, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღესდღეობით, საზღვაო ტრანსპორტით ტურისტთა გადაყვანა თითქმის არ ხდება, რითაც პოტენციური შემოსავლები იკარგება ტრანსპორტის სფეროდან.
- **ტურიზმის დარგში კომპეტენტური პერსონალის არარსებობა-** ტურიზმის სპეციალიზებულმა სკოლებმა, რომელიც ორიენტირებული იქნება საშუალო და დაბალი დონის პერსონალის მომზადებაზე, უნდა დააკმაყოფილოს რეალურად არსებული მოთხოვნა.
- ტურიზმში არსებობს სხვა პრობლემებიც. საქართველოს ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საკურორტო ადგილები სრულად კეთილმოწყობილ იქნეს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა კურორტი არ სარგებლობს ტურისტებში დიდი ინტერესით. მომავალში, ტურიზმის განვითარებასა და ტურისტული ნაკადების ზრდასთან ერთად, გაიზრდება მოთხოვნა კომპეტენტურ პერსონალზე. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში არსებული უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა ამზადებს ტურიზმის სპეციალისტებს, მაგრამ ქვეყანაში არ არის ტურიზმზე სპეციალიზებული სკოლა, რომელიც ორიენტირებული იქნება საშუალო და დაბალი საფეხურის პერსონალის მომზადებაზე, რაზეც რეალური მოთხოვნა მართლაც არსებობს. ტურიზმის შესახებ მწირი ინფორმაციის გამო, ადამიანები ნაკლებად იღებენ გადანყვეტილებებს ამ სფეროში სამუშაოს ძებნის შესახებ. ბოლო წლებში შეინიშნება ტენდენცია იმისა, რომ ახალგაზრდების მეტი წილი ინტერესდება ამ სფეროთი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტული სექტორის როლი საქართველოს ეკონომიკაში დღითიდღე იზრდება. შემდეგი, რაც საქართველოში ტურიზმის განვითარებას აფერხებს, მომსახურების დაბალი დონე და მაღალი ფასებია, რითაც საქართველოს უკლებლივ ყველა კურორტი „გამოირჩევა“. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ კურორტებზე დასვენებას ვერ ახერხებს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, ფასები საკმაოდ დიდია უცხოელი ტურისტებისთვისაც. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ 3647,0 დოლარი იყო 2014 წელს, რაც 116,0 დოლარით მეტია 2013 წლის იგივე მაჩვენებელზე. მიუხედავად ამისა, ინფლაციის გამო მოსახლეობას უჭირს კურორტებზე დასვენება.

დღეისათვის კისაქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულია 2013 წლის სასტუმროების სტატისტიკა. დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2013 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 836 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება. მათი რაოდენობა, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 7,6 %-ით. [3.] ქვეყანაში აღარ არსებობს „ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემა“. ადვილია კაპიტალდაბანდებები, იზრდება ინვესტიციები და, შესაბამისად, იზრდება ქვეყნის მშპ. თუმცა, ცხოვრების დონე მაინც არ არის სრულყოფილი. საქართველოში საგრძნობია ტურიზმის პროფესიული მარკეტინგის ნაკლებობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის ძირითადი ფუნქციაა დააკმაყოფილოს მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებანი, მაგრამ ამავე დროს, იგი ასრულებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ფუნქციებსაც.

ტურიზმის ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება რამდენიმე ფორმით:

1. სწორი ორგანიზაციის პირობებში მას მოაქვს სწრაფი მოგება (მათ შორის უცხოური ვალუტაც), მაშინ, როცა სხვა დარგებში მოგების მიღებას სჭირდება რამდენიმე ან ათეული წელი;

2. ტურიზმის მეშვეობით ხორციელდება ე.წ. „უხილავი ექსპორტი“, როცა ქვეყანაში ჩამოსული ტურისტი ადეკვატურ მომსახურებას იძენს უცხოური ვალუტით და ქვეყანაში შემოაქვს სავალუტო შემოსავლები, რითაც იზრდება წმინდა ექსპორტი;

3. ტურისტული კომპლექსების ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული ტურიზმის მომსახურე დარგების განვითარების დონეზე. კერძოდ, საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობაზე, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ დარგებზე, ტრანსპორტზე, სამშენებლო ინდუსტრიაზე, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე, კულტურულ მომსახურებაზე და სხვა.

ტურიზმის სოციალური ფუნქციით:

ა) სტიმული ეძლევა კულტურათაშორის გაცვლით ურთიერთობებს;

ბ) საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას;

გ) განათლებას საკუთარი ქვეყნის შიგნით;

დ) რეკრეაციული შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ტურიზმის ეკოლოგიური ფუნქციები ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტერიტორიების და ფაუნის, ზღვის, ეკოსისტემების, ეროვნული პარკების, ტყეებისა და ნაკრძალების განვითარებას, არქეოლოგიური და ისტორიული ობიექტების აღდგენა-განახლებას, მათ დაფინანსებას, გარემოს დაცვას დაბინძურებისაგან, ხმაურისა და გადატვირთვისაგან.

## არსებული პრობლემების დაძლევის გზები

საქართველოში, ტურიზმის და აგრობიზნესის პოტენციალის გათვალისწინებით, მცირე და საოჯახო ბიზნესების განვითარების შესაძლებლობები დიდია, უბრალოდ, საჭიროა მცირე მენეჯერული უნარი და სწორი ბიზნეს გადაწყვეტილებების მიღება, იდეებზე ფიქრი და ფორმირება, დაფინანსების მოძებნა კი მიუხედავად მისი შეზღუდული შესაძლებლობებისა, მაინც შესაძლებელია. დღევანდელ დასაქმებაში მთავარი როლის მატარებლები მაინც მსხვილი კომპანიები არიან, სადაც სტაბილურობის განცდა და ხელფასების მაჩვენებელიც მეტნაკლებად მისაღებია; განვითარებადი ქვეყნების ტურიზმის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს რეკლამა. ტურიზმის გლობალური ბაზარი ძალზედ კონკურენტულია, ამიტომ, საჭიროა მუდმივი მუშაობა საკუთარი ქვეყნის უპირატესობების წარმოჩენაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მსოფლიოს წამყვანი ტელეარხების ეთერის გამოყენება, რომელთაც მილიონობით მაყურებელი ჰყავთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. სატელევიზიო არხებზე სხვადასხვა სარეკლამო რგოლებისა თუ დოკუმენტური ფილმების განთავსების მიზანია მსოფლიოსთვის იმის ჩვენება თუ რა შესაძლებლობები აქვს ქვეყანას და რატომ იქნება ამ ქვეყანაში სტუმრობა საინტერესო. ასეთი გადაცემები ასევე დაინტერესებს პოტენციური ინვესტორებს. ასევე, მსოფლიოსთვის საკუთარი ქვეყნის გაცნობის საუკეთესო საშუალებაა სხვადასხვა სპორტული თუ მუსიკალური ღონისძიებების ჩატარება. ვებმარკეტინგის უპირატესობა ტრადიციულ მედიასთან შედარებით ისაა, რომ იგი ინტერნეტ-მომხმარებლისთვის ნებისმიერ ადგილას და დროს არის ხელმისაწვდომი, ვებმარკეტინგით, კომპანიის პროდუქტი და სერვისი შესაძლოა ინტერნეტსივრცის საშუალებით მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იქნეს წარმოდგენილი. შესაბამისად ინტერნეტდაუდიტორია ყოველდღიურად იზრდება, ხოლო არსებული ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ ინტერნეტ რეკლამა გაკეთდეს ქსელში ნებისმიერი მასშტაბით და ნებისმიერი სამიზნე ჯგუფისთვის. ვებდსტრატეგიის პრიორიტეტია: მომსახურებისა და პროდუქტის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა, განსხვავებით ტრადიციული მედიისაგან, სადაც სარეკლამო დრო მკაცრად განსაზღვრულია; რეკლამა ინტერნეტში მუშაობს 24 საათი და ფარავს უფრო მეტ სივრცეს, თანაც სახეზეა სარეკლამო ინფორმაციის ოპერატიულად შეცვლის შესაძლებლობა. რაც მთავარია, ინტერნეტ-რეკლამა გაცილებით იაფია, ვიდრე ტრადიციულ მედიაში;

ტურიზმის განვითარების ახალი მიმართულებაა კორპორატიული ტურიზმი, სადაც ტურისტულ კომპანიებს აქვთ საშუალება ორგანიზაცია-

დანესებულებებს შესთავაზონ თავიანთი პროდუქცია და ამით შექმნან სამუშაო ადგილები და ასევე მოახდინონ პროდუქტის რეალიზაცია. საქართველოში ტურიზმის პერსპექტივებზე და ზოგადად დარგის მდგომარეობის გასაანალიზებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ქვეყნის ტურისტულ პოტენციალზე. საქართველოს საკმაოდ დიდი ტურისტული პოტენციალი აქვს: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყლის წყარო, 12000 ისტორიისა და არქიტექტურის ძეგლი, მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა. შ.

ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესები ხელს უწყობს ფართო სპექტრის ტურისტული შესაძლებლობების განვითარებას და სათავგადასავლო ტურიზმით დაწყებული, ეკოლოგიური, სამედიცინო, ეთნოგრაფიული და ღვინის ტურებით დამთავრებული. 2004 წლიდან დღემდე საქართველოში სასტუმროების და სასტუმროს ტიპის ობიექტების რაოდენობა 90%-ზე მეტით გაიზარდა. ამჟამად, ქვეყანაში ფუნქციონირებს მსოფლიოში აღიარებული სასტუმროები (მათ შორის მარიოტი, რედისონი, შერატონი, და ა.შ.), საოჯახო სასტუმროების მზარდ ქსელთან ერთად.

### **სხვადასხვა ტიპის ტურისტული მიმართულების განვითარების შესაძლებლობები საქართველოში, კერძოდ :**

- გამაჯანსაღებელი ტურიზმი 2400-ზე მეტი ბუნებრივი წყაროს საფუძველზე, რომლებიც მინერალების მრავალფეროვანი შემადგენლობით ხასიათდება; (სპა თერაპია- ბელგიის სამხრეთ-აღმოსავლეთით არდენაში მდებარეობს ქალაქი სპა, სადაც გამოჯანმრთელებას წყლის საშუალებით აღწევენ. - ნაკადის სახით გამომავალი ბუნებრივი თბილი თერმული წყლის აბაზანები.)
- ეკოტურიზმი, მათ შორის ეკოლოგიურად ადაპტირებული დაცული ტერიტორიებისა, რაც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 7%-ს შეადგენს და რომელთა 75% ტყეებითაა დაფარული; სპორტული ტურიზმი, საწყალოსნო სპორტისა და მთის სპორტის სახეობები. ამასთანავე სხვა ტიპის, ბუნებაზე დაბალი ნეგატიური ეფექტის მქონე ტურები, როგორცაა ლაშქრობა, ჯომარდობა, ცხოველებზე, ფრინველებზე, ზღვის ბინადრებზე დაკვირვება და ა.შ;
- კულტურული ტურიზმი, - 3000 წლიანი კულტურული ისტორიიდან შემორჩენილი 12000 ხუროთმოძღვრების ძეგლის გასაცნობად.
- აგროტურიზმი, ღვინისა და გურმანების ტურები, რომელიც ეფუძნება ყურძნის 500-ზე მეტი ჯიშის, ადგილობრივი და უნიკალური კულტურების ტრადიციებს და აგრეთვე ადგილობრივი რეცეპტებითა და ტრადიციებით მდიდარ სამზარეულოს.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია სასოფლო-სამეურნეო მიწების საკმარისი რაოდენობის არსებობა. მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრადიციების მრავალფეროვნება, კულტურული ფასეულობები, ისტორიული ძეგლები და გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოწყობილია 50 დაცული ტერიტორია, რომელთა შორის არის 14 აღკვეთილი, 8 ეროვნული პარკი, 14 ბუნებრივი ძეგლი, 12 მართული ბუნებრივი ნაკრძალი და 2 დაცული ლანდშაფტი.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში აგროტურიზმის განვითარება უნდა მოხდეს ბიოპროდუქტების წარმოების საფუძველზე, რადგან აგროტურიზმი აუცილებელია განხილული იყოს სოფლის მეურნეობის პრობლემებთან, სოფლის-მეურნეობის პროდუქციის წარმოებასთან მჭიდრო კავშირით [1, გვ 47].

აგროტურიზმის მართვის პრინციპები უნდა ეფუძნებოდეს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფციას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აგროტურიზმის განვითარების პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ორგანული მეურნეობების (ბიომეურნეობების) განვითარებას [1, გვ 47].

### **საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე აგროტურისტული პროდუქტის ექსპორტის ძირითადი კონცეპცია**

1. აგროტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე უნდა გაიტანონ უპირატესად ტურისტულმა ფირმებმა, რადგან სოფლის მოსახლეობას ჯერჯერობით არა აქვს პირდაპირი მარკეტინგის, უცხოეთში რეკლამის დაფინანსების ან ინტერნეტით პროდუქტის გაყიდვის საშუალება;

2. ტურისტული პროდუქტი საერთაშორისო ბაზარზე მოუმზადებელი გადის, რაშიც იგულისხმება უცხოელი ტურისტის მოთხოვნილებების არასრულყოფილად ცოდნა, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი არ შეიცავს მოსალოდნელ მომსახურებას;

3. აგროტურისტული პროდუქტი უნდა იყოს იაფი. ეს გარემოება განსაკუთრებით საგულისხმოა საქართველოს პირობებში, რადგან დამწყები ბიზნესმენები გატაცებულნი არიან მაღალპროცენტიანი მოგების მიღებით;

4. აგროტურიზმისათვის შერჩეულ სოფლებში უნდა ჩატარდეს საინფორმაციო-სააგიტაციო სამუშაოები ტურიზმის როლის და ადგილის შესახებ. ადგილობრივ დონეზე. უნდა მოხდეს სოფლის მოსახლეობის და მმართველობითი რგოლის მომზადება ტურისტების მისაღებად;

5. გამოცდილების უქონლობის გამო რთულია აგროტურისტებისათვის სპეციალური პროგრამის შედგენა, რომელშიც გასათვალისწინებელია შემდეგი: სოფელში დამსვენებლები ძირითადად 2-4 -კაციანი უცხოელთა

ოჯახებია. მათი დასვენების ორგანიზებისათვის გასათვალისწინებელია შეთავაზებები ოჯახის თითოეული წევრისათვის ცალცალკე: მამაკაცისათვის ეს შეიძლება იყოს ნადირობა, თევზაობა, ცხენით ჯირითი, თიბვა ქართველ მასპინძელთან ერთად. დიასახლისისათვის -ქსოვა, ქარგვა, კერძების მომზადება. სასურველია, ბავშვებიანი ოჯახის ჩამოსვლის შემთხვევაში, მასპინძელ ოჯახში იყოს დაახლოებით იმავე ასაკის ბავშვები. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასპინძლების მიერ საკომუნიკაციო და აუცილებელი უცხო ენის ცოდნას;

6. საინფორმაციო-სარეკლამო მასალების დამზადება უნდა მოხდეს საზღვარგარეთული ანალოგების გათვალისწინებით. როგორც წესი, სოფლის ტურიზმის სარეკლამო მასალები უხვად უნდა იყოს ილუსტრირებული გლახის კარ-მიდამოს ამსახველი ფერადი ფოტოებით, მიმღები რაიონის შესახებ ვრცელი ინფორმაციით, განსაკუთრებით, ადათ-წესებისა და ტრადიციების შესახებ, აგროტურისტული პროდუქტის გასაღების ერთ-ერთი საშუალებაა სპეციალიზებული ბაზრობები.

ტურისტული ობიექტებისთვის დანახარჯების შემცირება შესაძლებელია განახლებადი ენერჯის და სოფლის მეურნეობის საშუალებით, რაც ერთად ქმნის სინერგიულ ეფექტს. ტურიზმის, ბიოლოგიური სოფლის მეურნეობისა და განახლებადი ენერჯის სფეროში არსებული გამოცდილება სასიამოვნო დამოკიდებულებას ქმნის მდგრადი ცხოვრების სტილისადმი [1, გვ 27].

შეიძლება ითვას, რომ აგროტურიზმი საქართველოში ისევ და ისევ განვითარების სტადიაში იმყოფება. უნდა ვეცადოთ და რასაკვირველია სახელმწიფო ორგანოებიც უნდა ჩაერთონ აგროტურიზმის განვითარებაში, რათა ავამაღლოთ სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონე, შემცირდეს უმუშევრობა და აგროტურისტული პროდუქტი გახდეს ცნობადი და მიმზიდველი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. რა თქმა უნდა, ტურიზმის პროდუქციის საერთაშორისო მასშტაბით ექსპორტის წარმატების საწინდარი ქვეყნის შიგნით ისეთი საკითხების მოგვარებაა, როგორიცაა:

- საგზაო სისტემის მონესრიგება მაღალმთიან და შედარებით ძნელად მისადგომ ადგილებში, რადგან ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი პოტენციალი სწორედ მაღალმთიან რეგიონებშია თავმოყრილი;
- გზების გამართვასთან ერთად აუცილებელია ინფრასტრუქტურის მოგვარება - განათება, ავტოგასამართი და კავშირგაბმულობის პუნქტების განთავსება, ტრანსპორტირების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით უნდა დაწესდეს სტანდარტები და რეგულარულად უნდა მოხდეს მძღოლთა კვალიფიკაციის შემოწმება;

- მოხდეს სამარშრუტო ქსელის გაფართოება და მაღალმთიან რეგიონებში პირდაპირი მარშრუტების დანიშვნა;
- შესაძლებლობის ფარგლებში მიზანშეწონილი იქნება შიგასაქვეყნო, რეგიონთაშორისი ავიარეისების დანიშვნა;
- უნდა აღდგეს საზღვაო რეისები ვიზიტორების, ტრანსპორტირებისა და გასეირნებისათვის.
- საჭიროა შეიქმნას საქართველოს ტურისტული პოტენციალის, სასტუმროთა და სააგენტოთა ელექტრონული ბაზა და ა. შ;

აღნიშნულთან ერთად, საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია შიგა ტურიზმზე და განსაკუთრებით აგროტურიზმზე ორიენტირება, რაც დამატებითი შანსია იმ მცირე ფერმერებისთვის, რომლებიც სავარგულების სიმცირის გამო, კონკურენციას ვერ გაუწევენ არა მხოლოდ უცხოელ, არამედ საქართველოში მომუშავე ფერმერებსაც.

საქართველოს ღვინის და აგროტურიზმის განვითარების კუთხით დიდი პოტენციალი აქვს, თუმცა, როგორც ტურიზმის ადმინისტრაცია, ასევე მთავრობა აქტიურ პრომოუშენს არ ახორციელებს, რაც ამ მიმართულებების განვითარებას სჭირდება. უფრო მეტიც, ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთიანი სტრატეგია არ არსებობს.

ადგილობრივ ბაზარზე 50-მდე ტურისტული კომპანია ოპერირებს. რამდენიმე ტურისტული კომპანია და საოჯახო სასტუმრო უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს უკვე სთავაზობს აგროტურებს, რაც გულისხმობს რთველში მონაწილეობას, ყურძნის დანურვას, ჩურჩხელების ამოვლებას, ყველის ამოყვანას და თონეში პურის გამოცხობას, მწვადის შეწვასა თუ თაფლის ამოღებას. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში უფრო ფართოდ შეიძლება აგროტურიზმის განვითარება, ამით კი სოფლის მეურნეობის განვითარებასაც შეეწყობა ხელი. აღსანიშნავია, რომ სასოფლო ტურიზმი ქვეყნიდან არალეგალურ მიგრაციასაც შეამცირებს, ადამიანების აქვე დასაქმებით.

საქართველოში აგროტურიზმის განვითარება, საბოლოო ანგარიშით, მოასწავებს:

სასოფლო რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ტურისტული სეზონურობის მეტ-ნაკლებად აღმოფხვრას, ტურისტების მიზიდვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას სოფლად, სოფლის მოსახლეობის მწვავე სოციალური პრობლემების გადაჭრას და ცხოვრების დონის ამაღლებას, ბუნებრივი გარემოს დაცვის გაუმჯობესებას და დივერსიფიცირებული ტურისტული სეგმენტის შექმნას.

ლიტერატურა:

1. მ. ნაცვალაძე, აგროტურიზმის როლი სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში, საკონფერენციო შრომების კრებული, II საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, თბ, 2011.
2. რ. სირბილაძე, „ეკონომიკა“ - სახელმძღვანელო-საქართველოს ეკონომიკისა და სამართლის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010.
3. სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)
4. საქართველოს ეროვნული ბანკი/
5. მსოფლიოტურიზმისორგანიზაცია (UNWTO)/
6. ტურიზმის მზარდი სტატისტიკა საქართველოში - <http://agrokavkaz.ge>
7. ტურიზმის განვითარება - <http://ninochanchaleishvili.blogspot.com/>
8. როგორ ვებრძოლოთ უმუშევრობას. უმსხვილესი დამსაქმებლები საქართველოში - <http://forbes.ge>
9. საზოგადოების კვლევის ცენტრი cssge.ge
10. elen Mc Bain, Caribbean tourism and agriculture: linking to enhance development and competitiveness, Economic Development Unit, Port of Spain, March 2007, <http://www.caribbeanagrotourism.com/Publications/ECLAC-2007-study-1.pdf>
11. Market Research on Agro-tourism Products and Services, Inter-American Institute for Cooperation on Agriculture (IICA) Office in Jamaica, Submitted by: Carolyn E. Hayle, Senior Programme Officer, Matthew Harvey, Consultant Kwame Emmanuel, Consultant Institute for Hospitality and Tourism, University of the West Indies, Mona, Kingston 7, FINAL REPORT, MAY 19, 2006 , <http://www.caribbeanagrotourism.com/Publications/Carolyn-Hayle.pdf>
12. Strengthening Of The Tourism Sector Through the Development of Linkages With The Agricultural Sector In The Caribbean, PREPARED BY TRICIA TIKASINGH, FINAL REPORT, JANUARY 2006;
13. Балыкин, С. Агротуризм в малых городах / Сергей Балыкин // 2008.
14. <https://ka.wikipedia.org>
15. Economy.ge.



## Tourism Development in the Context of Unemployment Reduction in Georgia

*Rusudan Sirbiladze*

*Doctor of Economics,  
TSU International Tourism School of the  
Institute for Tourism Development*

Statistics and social surveys show that in recent decades the main problem of the economy is unemployment, which, together with poverty, has taken the first place in the list of the important socio-economic and political issues. Although the new goods and services appeared at the trade market, which meet the completely new needs and desires of customers', the level of unemployment is still high.

The unemployment problem has many dimensions, and includes issues such as: politicized employment, age discrimination, the wrong legal framework, institutional weakness of trade unions, structural problems, education policy and deny of social responsibility from the state, the impact of globalization, financial crisis, etc. Economic experts in the West agree that, the unemployment rate of any country's population is a kind of heavy burden and causes the economic, psychological and social losses.

Fighting against unemployment is the key issue in developed countries, where the solution to the problems is investment in education by the state, this resource is simple be found at the expense of those lots of ineffective programs which is of a more political matter, the main part is establishment of vocational training centers in the regions, interests of businesses and applicants for employment and skills should get closer to each other. The article explains the problems of unemployment, tourism's role in overcoming the problem of unemployment, the strengths and weaknesses, opportunities and threats, analysis of contemporary studies.

**Keywords:** Tourism; infrastructure; development; agrotourism; ecological problems; advertisement; marketing.

**JEL Classification:** M20, M21, M31, M37

## **The Problems of External and Internal Audit Adaptation in the Ukrainian Practice**

*Karina Nazarova*

*Department Financial Analysis And Control  
Kyiv National University of Trade and Economics,  
Ukraine*

The article deals with the basic methods to definitions of internal and external audit and the main problems of effective interactions in Ukraine. The basic approaches to the definitions of internal and external audit. Emphasized on the ambiguity of different approaches to these scientists audits. The purpose of the audit concerns obtaining additional effect of the interaction of internal and external audit. Revealed problems of interaction between internal and external audit in the Ukrainian economic space.

**Keywords:** audit; internal audit; external audit; interaction, effectively, synergistic effect.

### **THE PROBLEMS OF EXTERNAL AND INTERNAL AUDIT ADAPTATION IN THE UKRAINIAN PRACTICE**

The current state of the world economy can be characterized by periodical recessionary processes. Arising in a certain country, they gradually become global and influence work performance and financial results of enterprises in all functional spheres, without an exception. Unstable business surrounding, unforeseeable fluctuations of prices on financial markets, disruption of long-term partnerships and political conflicts are only the few factors influencing performance of Ukrainian enterprises. All of them have caused the situation when current investors owning, in point of fact, many business entities, start to pay more attention to the problem of informational support while making deliberate and

effective financial decisions.

At the same time, the problem of the direct executives (directors and managers) work control by the owners of the capital invested in their businesses needs to be shed the light on. Thus, it is important to mention that on the current stage of economic relationship development the question of search for the full, unbiased and immediate information about the performance of the enterprise and the state of its assets source that can be used without any limits by its owners, who don't run the enterprise directly, for making strategic and tactic managerial decisions and control of the executives actions is topical.

On the other hand, top and middle managers at Ukrainian enterprises need to acquire enough arguments to prove the expediency of the decisions taken by them and expenses made in front of the collegiate regulatory bodies, for example, executive board, general assembly of stockholders, investors who have already allocated financial resources in the enterprise or plan to do so in the future. However, investors, analytics and regulatory bodies quite often criticize management of the organization for low profitability, to their mind, and ambiguous, questionable managerial decisions. They require deep understanding of the risk management possibilities, notable for every sphere of their activity. In general, management has to convince shareholders and co-owners constantly in the effectiveness of the enterprise management [1]. That's why internal data about the results of the enterprise performance, availability and the ways to use its' corporate resources are also very important for managers.

### **Internal Audit**

While conducting the process of internal audit it is possible to acquire data needed to satisfy informational needs both of the business owners, as well as recruited by them for administrative functions performance employees. Organization and carrying out of internal audit in Ukraine is voluntary, but, taking into consideration everything mentioned above, quite urgent question.

Necessity of internal audit for normal functioning of the enterprise only now gradually starts to be realized on the governmental level, despite the fact that the history of formation and development of the modern internal audit in the whole world is almost 100 years. Thus, in the Law of Ukraine "on financial services and governmental regulations of the financial services market" the necessity of the internal audit organization in financial institutions is stated which include according to the law banks, loan associations, pawnshops, leasing companies, trust institutions, insurance companies, accumulative pension fund schemes, investment funds and companies and other legal entities, providing financial services, and, in case directly stated by the law, other services (operations), connected with the provision of financial services [2].

As for the businesses that provide others, in addition to financial, activities, the peculiarities of their internal audit are not regulated by legislature. The fact that internal

audit is not obligatory for Ukrainian companies, and there is no proper informational and methodological base for its organization and conduction at the initiative of the owners of businesses, allows management of the companies to avoid creation services or units of internal audit in their companies to save time, financial, human resources and more.

However, V. Andreev emphasizes that in the current economic conditions internal audit penetrates deeply in the functions of management, organizational activities of the company, provides information about the quality of management, presents data to the management for analysis, evaluations, recommendations, advice and financial predictions of objects inspected [3, p.3-4], i.e. strongly emphasizes the need and expediency of internal audit organization in the enterprise.

Thoughts on the importance of implementing internal audit in the practice of most economic structures are shared by many experts and analysts who state that internal audit helps the company achieve its goals using a systematic and consistent approach to the evaluation and improvement of the efficiency of risk management, control and corporate governance.

An attempt to regulate the internal audit practice in Ukrainian businesses practice can be considered a bill number 11338 from 15.10.2012 entitled "On internal audit". However, the developers of the bill include the following structures, where internal audit should be carried out: ministries and other central executive bodies, their territorial authorities, public institutions belonging to the Ministry and other central executive bodies, bodies of state social insurance and pensions and their subordinate organizations and institutions, state-owned enterprises, banks [4]. That is, organizing and conducting internal audit at other forms of property enterprises, which are prevalent in Ukraine (according to the State Statistics Service of Ukraine, as of August 1, 2014 the number of state enterprises is 5592 entities in the total number of subjects in United State Register of Enterprises and Organizations of Ukraine - 1314829 [5], which is about 0.42%), is again left to the discretion of their respective owners. It is necessary to emphasize the fact that the bill is still not considered properly, the question of its adoption remains open.

It does not seem possible for modern enterprises to put an effective internal audit in order, due to the contradictions existing even in determination of the internal audit notion, not to mention the purpose of its organization and tasks of conduction. On the whole, modern concepts to the meaning of the internal audit notion differ sufficiently, from declaring it as an activity on evaluation or a part of internal control to the system of verifications carriage, which has its specific characteristics.

მეორე ცხრილიდან ჩანს, რომ მოგების მიღება იწყება წონასწორობის წერტილის შემდეგ. საოპერაციო ლევერიჯის ყველა კოეფიციენტი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც რისკების შემცირებაზე მიუთითებს. პირველი კოეფიციენტი (**FC/VC**) - წონასწორობის წერტილში ერთზე მეტია, ე.ი. რისკი არსებობს, მაგრამ, მუდმივი დანახარჯები უკვე დაფარულია და კოეფიციენტი რისკს აღარ უნდა აჩვენებდეს. უნდა ვიფიქროთ თუ არა, რომ წარმოების რისკი მაინც არსებობს. მუდმივი და ცვალებადი ხარჯები ერთმანეთს დაახლოებით 367 ერთეულის წარმოების და გაყიდვების შემთხვევაში გაუტოლდება და ამის შემდეგ, საოპერაციო რისკი აღარ არსებობს. მეორე და მესამე კოეფიციენტი ყველა ალტერნატივის დროს ერთზე დაბალია და მაშასადამე, რაც უფრო ახლოსაა ნულთან, მით უფრო ამცირებს რისკებს. მაგრამ, შეუძლებელია დადგინდეს მისი ნორმალური დონე. დავაკვირდეთ საოპერაციო ლევერიჯის მეოთხე კოეფიციენტს - მუდმივი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ფარდობას (**FC/EBIT**), იგი წარმოების წონასწორობის წერტილში ნულია. ე.ი. მუდმივი ხარჯების დაფარვის რისკი არ არსებობს. მაგრამ, წონასწორობის წერტილის შემდეგ იგი ნახტომისებურად ერთზე მაღლა ადის და რაღაც ინტერვალის შემდეგ ერთზე დაბლა ეცემა.

ამასთან, წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობა რაც უფრო შორსაა წარმოების წონასწორობის წერტილიდან ანუ წარმოების უსაფრთხოების დიაპაზონი რაც უფრო ფართოა, წარმოების რისკის ყველა განხილული მაჩვენებელი მით უფრო დაბალია. რაც შეეხება ზღვრული მოგების მარჯვას (ზღვრული მოგება შეფარდებული შემოსავალთან), მასზე არანაირ გავლენას არ ახდენს მუდმივი ხარჯების დონე და არც წონასწორობის წერტილი, მაგრამ, თვით ახდენს გავლენას საოპერაციო მოგებასა და გადანყვეტილებების მიღებაზე, თუ რა რაოდენობის პროდუქტი დამზადდეს და გაიყიდოს, რომ სანარმო რეალურად მომგებიანი იყოს.

ამის შემდეგ გავაგრძელებთ მეოთხე მაჩვენებელზე დაკვირვება. განვიხილეთ სხვა მაგალითი. დავუშვათ დაგეგმილია 2000 ცალი პროდუქტის დამზადება. ერთეულის სარეალიზაციო ფასია 20 ლარი, ცვლადი ხარჯი ერთეულზე 12 ლარი და მუდმივი ხარჯი 6 ლარი, სულ 12000ლ. გამოთვლები წარმოდგენილია მესამე ცხრილში.

როგორც მესამე ცხრილიდან ჩანს, წონასწორობის წერტილში კოეფიციენტი - **FC/VC**, ერთზე ნაკლებია. მეორე და მესამე ცხრილის მაჩვენებლების შედარებისას ირკვევა, რომ (**FC/VC**) ერთ შემთხვევაში წონასწორობის წერტილის შემდეგაა ერთის ტოლი, მეორე შემთხვევაში კი - წონასწორობის წერტილამდე. რას უნდა მივანეროთ ეს? როგორც ცნობილია, პროდუქციის გამოშვების ზრდის ზეგავლენით, მუდმივი ხარჯები პროდუქტის ერთეულზე მცირდება (იხ. ცხრილი 3). ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სანამ მუდმივი ხარჯები ერთ ცალ პროდუქტზე აღემატება ცვალებადი ხარჯების დონეს, იქამდე (**FC/VC**) ერთზე მაღალია. ამასთან, მუდმივი ხარჯებისა და

საოპერაციო მოგების (FC/EBIT) ფარდობა წონასწორობის წერტილში მეორე შემთხვევაშიც ნულის ტოლია. კარგად ჩანს, რომ ეს კოეფიციენტი წონასწორობის წერტილში ყოველთვის ნულის ტოლი იქნება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთლიანი მუდმივი ხარჯების დაფარვის რისკი აღარ არსებობს, მაგრამ წარმოების ეფექტიანობის რისკი ისევ რჩება, რადგან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ მიზნები შეიძლება მიღწეულ ვერ იქნეს.

საოპერაციო რისკებზე მხოლოდ მუდმივი ხარჯების ეფექტიანობა არ ახდენს გავლენას. მასზე ცვალებადი ხარჯების ეფექტიანობაც ზემოქმედებს. ამასთან, კომპანიის მიზანი როგორც ხარჯების დაფარვა, ასევე მომგებიანობის ამაღლებაა, რაც სხვა მრავალი ვალდებულებების დაფარვის წყაროა.

ცხრილი 3

**წარმოების წონასწორობის წერტილი და საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები**

მაჩვენებლები	1 ცალზე	1000 ცალზე	წ.წ. 1500 ცალზე	2000 ცალზე	4000 ცალზე
შემოსავალი (ლარებში)	20	20000	30000	40000	80000
ცვალებადი ხარჯი	(12)	(12000)	(18000)	(24000)	(48000)
-----	-----	-----	-----	-----	-----
ზღვრული მოგება (MP)	8	8000	12000	16000	32000
მუდმივი ხარჯები სულ	(12000)	(12000)	(12000)	(12000)	(12000)
-----	-----	-----	-----	-----	-----
საოპერაციო მოგება(ზარალი)	(11992)	(4000)	0	4000	20000
საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები:					
1. FC/VC	-	1	0,67	0,5	0,25
2. FC/OC			0,40	0,333	0,20
3. FC/S			0,40	0,300	0,15
4. FC/EBIT			0	3,0	0,6
უსაფრთხოების დიაპაზონი (ერთეული)				500	2500
მუდმივი ხარჯები	12000	12	8	6	3
პროდუქტის ერთეულზე ზღვრული მოგების მარჟა	0,40	0,40	0,40	0,40	0,40

მუდმივი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ფარდობის კოეფიციენტის (FC/EBIT) – ტენდენციები კვლავ საინტერესოდ გამოიყურება. იგი წარმოების წონასწორობის წერტილში ნულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მთლიანი მუდმივი ხარჯების დაფარვის რისკი არ არსებობს, მაგრამ წარმოების წონას-



წორების წერტილის შემდეგ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი წარმოების გარკვეულ დიაპაზონში ერთზე მაღალია და ერთს გაუტოლდება, როცა საოპერაციო მოგება მუდმივ ხარჯებს გაუთანაბრდება. ეს იმასაც გვაფიქრებინებს, რომ წარმოების უსაფრთხოების დიაპაზონი რეალურად უფრო მცირეა, ვიდრე სხვაობა პროდუქციის რეალიზაციის დაგეგმილ რაოდენობასა და წონასწორობის წერტილს შორის. მაშასადამე, მთლიანი მუდმივი საოპერაციო ხარჯების ეფექტიანობის რისკი უკვე აღარ იარსებობს. ვფიქრობთ, ამის შემდეგ, სანარმოს დანარჩენი ფინანსური ვალდებულებების (პროცენტები, დივიდენდები, რეზერვები) დაფარვის რისკიც აღარ იარსებებს. თუმცა მენეჯმენტმა უნდა იხელმძღვანელოს იმით, რომ მთლიანი ფინანსური ვალდებულებები საოპერაციო მოგებას არ უნდა აღემატებოდეს. ამრიგად, (FC/EBIT) - კოეფიციენტი ყველაზე სრულად აკმაყოფილებს რისკის გამზომი ზოგადი მაჩვენებლის თვისებას.

ამის შემდეგ ჩვენ მიერ გაანალიზებულ იქნა ზემოთ მოტანილი მეხუთე კოეფიციენტი (5), რომელსაც უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასევე საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ იგი ახასიათებს მგრძობელობის ხარისხს მათ შორის [7. გვ. 458; 12. გვ. 57]. იგი გამოითვლება საოპერაციო მოგების პროცენტული ცვლილების ფარდობით შემოსავლების პროცენტულ ცვლილებასთან.

მეოთხე ცხრილში აღებული იქნა დაშვება, რომ პირველ ცხრილში ნაჩვენები შემოსავალი თუ გაიზრდებოდა 30%-ით, მაშინ ცვალებადი ხარჯებიც იმავე ტემპით გაიზრდება, მუდმივი ხარჯები კი იგივე დარჩება, რადგან ისინი პროდუქციის მოცულობის პროპორციულად არ იცვლება. შედარება აჩვენებს, რომ პირველ ცხრილში საოპერაციო მოგება სამივე სანარმოში ერთნაირი იყო. მაგრამ ამჯერად, როგორც მეოთხე ცხრილის ინფორმაცია აჩვენებს, საოპერაციო მოგების მაჩვენებლები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ლევერიჯის კოეფიციენტები ერთზე დაბალი მეორე სანარმოშია, სადაც საოპერაციო მოგება ყველაზე დაბალია. პირველ და მესამე სანარმოში კი ერთზე მაღალია. მაშასადამე, ამ სანარმოებში რეალიზაციის მოცულობა წონასწორობის წერტილიდან ჯერ კიდევ სახიფათო დიაპაზონში იმყოფება.

მეოთხე ცხრილში გამოანგარიშებულია მეხუთე (5) კოეფიციენტიც: საოპერაციო მოგების პროცენტული ცვლილების ფარდობა შემოსავლების პროცენტულ ცვლილებასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მას ვუნოდებთ **კორელაციის ხარისხს საოპერაციო მოგებასა (EBIT) და შემოსავლებს (შ) შორის. ეს კოეფიციენტი საოპერაციო ხარჯების ახალი სტრუქტურისათვის, ახალი უნდა გამოითვალოს.**

**საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტები სანარმოთა  
ემოსავლების 30%-ით ზრდის შემდეგ**

მაჩვენებლები	№1სანარმო	№2სანარმო	№3სანარმო
შემოსავალი რეალიზაციიდან (მატება 30%) ლარში	19 500	19 500	19 500
საოპერაციო ხარჯები (ლარი):			
ცვლადი ხარჯები	7 800	10 400	5 200
მუდმივი ხარჯები	6 000	4 000	8 000
-----	-----	-----	-----
ჯამი	13 800	14 400	13 200
საოპერაციო მოგება	5 700	5 100	6 300
საოპერაციო მოგების %-ული ცვლილება			
კოეფიციენტები:	90 %	70 %	110 %
1. C / VC	0,77	0,38	1,54
2. FC / OC	0,43	0,28	0,61
3. FC / S	0,31	0,21	0,41
4. FC / EBIT	1,05	0,78	1,27
EBIT-ის %-ლი ცვლილება / შემოსავლების %-ული ცვლილება	3,0	2,33	3,67

მოტანილი გაანგარიშებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მართლაც, შემოსავლების ცვლილება იწვევს პროპორციულზე მეტ ცვლილებას საოპერაციო მოგებაში. კერძოდ, პირველ სანარმოში შემოსავლების 30%-ით მატებამ გამოიწვია საოპერაციო მოგების სამჯერ მეტი ანუ 90 %-ით (30% \* 3) მატება (იხ. ცხრილი 4) და 5700 ლარი (3000 \* 1,9) შეადგინა. თუკი შემოსავლების მატება 50 % იქნებოდა, მაშინ, საოპერაციო მოგება მოიმატებს 150 %-ით და იქნება 7500 ლარი (3000 \* 2,5); მეორე სანარმოში შემოსავლების 30%-ით მატებამ საოპერაციო მოგების 70%-ით (30 \* 2,33) ზრდა გამოიწვია და მართლაც შეადგენს 5100 ლარს (3000 \* 1,7) და ა.შ. მაშასადამე, სადაც საოპერაციო ანუ სამენარმო რისკი (FC/EBIT) მაღალია, იქ შემოსავლებსა და საოპერაციო მოგებას შორის კორელაციის ხარისხიც მაღალია. დავუშვათ, მეორე სანარმოს მენეჯმენტს თუ სურს წინა წელთან შედარებით, 15%-ით მეტი ანუ 5865 ლარის (5100\*1,15) საოპერაციო მოგება მიიღოს, დანახარჯების სტრუქტურის იმავე მოცემულობის საფუძველზე, მაშინ მას 6,44 %-ით (15/2,33) მეტი შემოსავალი, დაახლოებით 20756 ლარი (19500 \* 1,0644) დასჭირდება.

მაშასადამე, საოპერაციო მოგებისა და შემოსავლების პროცენტული ცვლილებების თანაფარდობის კოეფიციენტი ახასიათებს რა საოპერაციო მოგების მგრძობელობას შემოსავლების ცვლილების მიმართ, აჩვენებს კორელაციის ხარისხს მათ შორის და არ იქნება გამართლებული, იგი საოპერაციო რისკის დონის მაჩვენებელად ვაღიაროთ, თუმცა რისკებზე გავლენას ახდენს.

ამრიგად, ჩატარებული ლოგიკური განსჯისა და ანალიზის საფუძველზე, საოპერაციო რისკის კომპლექსურ მაჩვენებლად მუდმივი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ფარდობის კოეფიციენტი (FC/EBIT) მიგვაჩინია, რომელშიც ასახულია მუდმივი და ცვალებადი ხარჯების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები, წარმოების უსაფრთხოების დიაპაზონის შერჩევის რისკი და ასევე, საოპერაციო მოგების დამოკიდებულება ზღვრულ მოგებასთან. ეს კოეფიციენტი ერთზე დაბალი უნდა იყოს. ერთის ზემოთ საოპერაციო რისკის მაჩვენებელია.

საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის სრულყოფის მიზნით, კოეფიციენტი (FC/EBIT) წარმოვადგინეთ მასზე მოქმედი ფაქტორების მწკრივით:

$$\text{საერთო საოპერაციო რისკის დონე (FC/EBIT)} = \frac{\text{FC}}{\text{VC}} * \frac{\text{VC}}{\text{OC}} * \frac{\text{OC}}{\text{MP}} * \frac{\text{MP}}{\text{EBIT}}$$

ჩვენ მიერ შემუშავებული ოთხფაქტორიანი მოდელის საფუძველზე, ანალიზის აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით, შესაძლებელია გაიზომოს საერთო საოპერაციო ლევერიჯის დონეზე მოქმედი შემდეგი ფაქტორების გავლენა:

1. **საოპერაციო ხარჯების ორგანული შედგენილობა (FC/VC).** ეს კოეფიციენტი რაც უფრო მაღალი იქნება, ანუ რაც უფრო მეტი იქნება მუდმივი ხარჯები ცვალებად ხარჯებზე, მით უფრო გაიზრდება საოპერაციო რისკი;

2. **ცვალებადი ხარჯების წილი საოპერაციო ხარჯებში (VC/OC)** - მისი ზრდა სხვა თანაბარ პირობებში, ცვალებადი ხარჯების არაეფექტიანად გამოყენების ალბათობას ზრდის და შესაბამისად ზრდის საოპერაციო რისკს;

3. **საწარმოს საოპერაციო ხარჯების ფარდობა ზღვრულ მოგებასთან (OC/MP)** აჩვენებს, რამდენი ლარის საოპერაციო ხარჯი იქნა განეული ერთი ლარის ზღვრული მოგების მისაღებად. იგი რაც უფრო მაღალი იქნება ერთზე, მით უფრო გაიზრდება ხარჯების ეფექტიანად გამოყენების რისკი და შესაბამისად გაზრდის საოპერაციო რისკს;

4. **ზღვრული მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან (MP/EBIT)** ასევე ზეგავლენას ახდენს საოპერაციო რისკზე. იგი რაც უფრო მაღალია ერთზე, მით მაღალია მუდმივი ხარჯების მაღალი ეფექტიანობით გამოყენების რისკი.

საილუსტრაციოდ განვიხილეთ მეოთხე ცხრილში მოტანილი პირველი და მეორე საწარმოს მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 5). ცხრილში შედარებულია ორი ერთგვაროვანი პირობითი საწარმოს რისკის კოეფიციენტები. საოპერაციო ლევერიჯის დონე მეორე საწარმოში დაბალია პირველთან შედარებით 0,269 პუნქტით. პირველი და მეოთხე ფაქტორის ზეგავლენით, მეორე საწარმოში რისკები შემცირდა. მეორე და მესამე ფაქტორების გავლენით კი, სა-

ოპერაციო რისკი გაზრდილია. ამდენად, მეორე სანარმოს მენეჯმენტმა უნდა იზრუნოს ცვალებადი ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებაზე და წარმოების უსაფრთხოების დიაპაზონის გაფართოებაზე, რადგან ზღვრული მოგებისა და საოპერაციო მოგების ფარდობა (MP/EBIT) წარმოების წონასწორობის ნერტილსა და უსაფრთხოების მასშტაბს უკავშირდება. ამასთან, პირველი სანარმოს მენეჯმენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს საოპერაციო ხარჯების ორგანული შედგენილობის ოპტიმიზაციას და მუდმივი ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებას.

ცხრილი 5

**საოპერაციო ლევერიჯის ფაქტორული ანალიზის შედეგები**

მაჩვენებლები	#1 სანარმო	N#2 სანარმო	გადახრა (+, -)
საოპერაციო ლევერიჯი (FC/EBIT)	1,053	0,784	-0,269
მოქმედი ფაქტორები:			
1. FC/VC	0,7692	0,3846	-0,3846
2. VC/OC	0,5652	0,7222	+0.157
3. OC/MP	1,1795	1,5824	+0.4029
4. MP/EBIT	2,0526	1,7843	-0,2683
<b>ფაქტორების გავლენა:</b>			
პირველი ფაქტორის გავლენა	-	-	-0,526
მეორე ფაქტორის გავლენა	-	-	+0,146
მესამე ფაქტორის გავლენა	-	-	+0,229
მეოთხე ფაქტორის გავლენა	-	-	-0,118

ზემოთ მოტანილი ყველა გაანგარიშებით ის ჭეშმარიტებაც დასტურდება, რომ რისკების მიუხედავად მოგების მიღების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს. ამასთან, რისკი რაც უფრო მაღალია, მოგებაც მაღალია. ამიტომაც მიდიან მენარმეები რისკზე. ოღონდ, მენეჯმენტი უნდა ცდილობდეს მაღალი კორელაცია არ იყოს საოპერაციო მოგებასა და შემოსავლებს შორის, რადგან შემოსავლების მცირე ცვლილებამაც კი შეიძლება დიდი საოპერაციო დანაკარგი გამოიწვიოს.

\* \* \*

ჩატარებული კვლევის შედეგებმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში [7. 8. 9. 12 და სხვა] საოპერაციო რისკების მრავალი კოეფიციენტი განიხილება, საიდანაც უნდა შეირჩეს ერთი, ყველაზე კომპლექსური ხასიათის მაჩვენებელი. საოპერაციო რისკი არის იგივე სამენარმეო რისკი, რომელიც დაკავშირებულია მუდმივი საოპერაციო ხარჯების გამოყენების, წარმოების წონასწორობის ნერტილის, უსაფრთხოების დიაპაზონის და საოპერაციო მოგების მაჩვენებლებთან. ვინაიდან, რისკების მარ-

თვა აქტუალურია მოგების მიღების უზრუნველყოფის და რომ, მოგება კი არ ზემოქმედებს ხარჯებზე, პირიქით, ხარჯები ზემოქმედებენ მოგებაზე, ამიტომ, ჩვენი აზრით, სტატიაში განხილული კოეფიციენტებიდან, **საოპერაციო რისკის მაჩვენებელს - მუდმივი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ფარდობა (FC/EBIT) წარმოადგენს**. დანარჩენი კოეფიციენტები მასზე მოქმედი ფაქტორებია, რაც საოპერაციო რისკს ზრდის ან ამცირებს.

საოპერაციო ლევერიჯის მართვა ემსახურება, მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ოპტიმალური სტრუქტურის გზით, საოპერაციო მოგების გადიდების ამოცანას. შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ზოგჯერ, საოპერაციო მოგება სხვადასხვა საწარმოში ერთნაირია, მაგრამ რისკები განსხვავებულია (იხ. ცხრილი 1), რაც გამოწვეულია მუდმივი და ცვალებადი ხარჯების განსხვავებული პროპორციით. ზოგჯერ, საოპერაციო რისკის კოეფიციენტიც და მოგებაც დაბალია. ხოლო, საოპერაციო რისკი სადაც მაღალია, იქ მოგებაც მაღალია (იხ. ცხრილი 4). მეწარმეთათვის რისკები სწორედ ამიტომ ხდება მიმზიდველი, თუმცა, არსებობს გადახდისუუნარობის რისკი, რაც შემდეგი კვლევის საგანია.

სტატიაში შემუშავებულია საოპერაციო ლევერიჯის ((FC/EBIT) ოთხ-ფაქტორიანი მოდელი, რომლის პრაქტიკული გამოყენება მენეჯმენტს დაეხმარება, ტრადიციული ანალიზური ხერხებით გამოიკვლიოს რისკებზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

#### ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ. ეკონომიკური განუსაზღვრელობა და რისკები ბიზნესმენტა საქმიანობაში. უნივერსალი. თბ., 2010.
2. ლაზვიაშვილი ნ. რისკმენეჯმენტი. სახელმძვანელო, მერიდიანი. თბ., 2010.
3. ნარმანია დ. ფარესაშვილი ნ. რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში. უნივერსალი. თბ., 2012.
4. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა, ტ.1. თბ., 1998.
5. ცაავა გ. აბრამია ტ. ცაავა დ. რისკოლოგია. აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. თბ., 2007.
6. ჭილაძე ი. ფინანსური ანალიზი. სახელმძღვანელო. მერიდიანი. თბ., 2012.
7. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი უმცროსი. კორპორაციული ფინანსები. მე-12 გამოცემა. თარგმანი ინგლისურიდან. თბ., 2008.
8. Brigham, Eugene.F. Fundamentals of Fiancial Managemnet, 2014.
9. Hansen, Don R. and Maryane M. Mownen, Managerial Accounting, 2011.
10. Ivo Welch. Corporate Finace (3td Edution), 2014.
11. Jonathan RerK, Peter Denarzo. Corporate Finance, 2013.
12. Sanjay Borad. Operating Leverage and Degree of Operating Leverage, 2011.

## Improvement of the Company's Operating Leverage Analysis

*Izolda Chiladze,*

*Doctor of Economic, Associate Professor, TSU*

*e-mail: Izolda.Chiladze@tsu.ge*

Companies always have to work in uncertain conditions, as there always exists some probability that the objectives of the company might not be achieved, and that achieving these objectives is accompanied by the risk of non-fulfillment. Therefore, the theoretical and practical research on the ways of reducing risks and avoiding anticipated additional expenses is very important and at the same time rather problematic.

There are various types of business risks. The article reflects only the questions of measuring company's operating risks. Operating leverage ratio is used to define business, i.e. operating, risks of a company. Various operating leverage ratios are discussed in the article, and it is justified which ratio can be acknowledged as the most general index of an operating risk.

Operating leverage is linked with the existence of fixed operating expenses, and characterizes the risks involved in the production and realization processes. Operating risks include the risk of fixed expenses, in particular, the possible inefficient usage of production management and service, which will be reflected in the reduction of the anticipated profit. Thus, the concept of operating leverage means the possibility of profit increase by means of the optimization of fixed and variable expenses ratio.

In the author's view, the most general index of the operating leverage is the ratio of fixed and operating profit, whose factor model can be presented in the following way:

$$DOL = \frac{FC}{EBIT} = \frac{FC}{VC} * \frac{VC}{OC} * \frac{OC}{MP} * \frac{MP}{EBIT}$$

Based on the presented four-factor model, using absolute difference, it is now possible to measure the influence of the operating leverage certain indicator on the deviation of the operating leverage general indicator, such as: The ratio of fixed costs to variable costs; the ratio of variable costs to operating costs; the ratio of operating costs to marginal profit; the ratio of marginal profit to operating profit (EBIT).

**Keywords:** Company's risk; operating leverage; marginal profit; degree of operating leverage; factor model of operating leverage.

**JEL Classification:** M10, M20, M21

## ადამიანთა რესურსების მნიშვნელობა ინოვაციური კომპანიის ფორმირებაში

*ქრისტინე ოდიშვილი*

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი*

ადამიანთა რესურსები და ინოვაციურობა თანამედროვე ბიზნესში უდიდესი გამოწვევაა. The Conference Board CEO Challenge 2015-ის მიერ გამოქვეყნებულ გამოკითხვაში ბიზნეს ლიდერებმა ორ ყველაზე დიდ გამოწვევად მიიჩნიეს: 1) ადამიანისეული კაპიტალი და 2) ინოვაცია [4, გვ. 2].

შესაბამისად, სტატიაში აქცენტი კეთდება ორ ყველაზე დიდ გამოწვევაზე თანამედროვე წარმატებული კომპანიების ლიდერებისთვის—ადამიანთა რესურსებსა და ინოვაციურობაზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციის ინოვაციურობის განმსაზღვრელი, მეტწილად, არის არა მისი ფინანსური მდგომარეობა, არამედ ადამიანთა კაპიტალი[3]. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ მსოფლიოს ყველაზე ინოვაციური კომპანიები დიდ ყურადღებას აქცევენ ადამიანთა რესურსებს და თვლიან, რომ სწორედ მათი გაძლიერება და ხელშეწყობა არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კომპანიის ინოვაციურობის შესანარჩუნებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ადამიანთა რესურსები; მენეჯმენტი; ინოვაციები.

### ინოვაციურობა- კომპანიათა წარმატების მძლავრი ფაქტორი

ინოვაციურობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია კომპანიაში დამკვიდრებული იმგვარი კულტურა, რომ კომპანიის ინოვაციურობა ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობას გულისხმობს, ყველა თანამშრომელი ფიქ-

რობს კომპანიის განვითარებაზე, მის ადაპტირებას თანამედროვე მოთხოვნებსა და კონკურენტუნარიანობის მიღწევაზე. ასეთ კომპანიებში ცდილობენ ყველა თანამშრომელი ისე გადაამზადონ, რომ თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობდეს; წარმატებული კომპანიები არ ერიდებიან რისკების მიღებას, რადგან მაღალკვალიფიციური კადრის იმედი აქვთ და სჯერათ, რომ რისკი იქნება ახალი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება და ხშირად, ინოვაციურობის გარანტიც; ამავე დროს, აღნიშნული კომპანიების ხელმძღვანელები ცდილობენ შიგა და გარე თანამშრომლობის გაძლიერებას, რაც ახალ შესაძლებლობებს აძლევს თანამშრომლებს გლობალურად შეხედონ გამომწვევებს, განსაჯონ სხვა კომპანიებში არსებული მიღწევები, კონკურენტები სათანადოდ შეაფასონ, იფიქრონ ნოვაციებზე. ადამიანთა რესურსების როლი ძალზე დიდია კომპანიის ამგვარი კულტურის ჩამოყალიბებაში. თანამშრომლების მცირეოდენი წახალისებაც კი, შესაძლოა კომპანიის ინოვაციურობის საწყისი იყოს: თანამშრომელს უსმენენ მაშინაც კი, როცა მისი იდეა სრულყოფილად არ ჟღერს, ასეთ შემთხვევაში მას მოტივი აქვს იფიქროს კრეატიულად, ის არ წყვეტს ფიქრს კომპანიის განვითარებაზე.

უდავოდ დიდია ადამიანთა რესურსების როლი ორგანიზაციის დიზაინში, აღნიშნული კი ინოვაციურობის წინაპირობასაც წარმოადგენს, კერძოდ, ორგანიზაციული დიზაინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თანამშრომლების მიერ იდეების გაცვლაში, მათი ფუნქციებისა და თანამდებობების მიუხედავად.

თანამედროვე ბიზნესში ყველა თანხმდება, რომ ინოვაციურობა ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია კომპანიის წარმატებისთვის. კომპანიებს, რომელთაც სურთ იყვნენ კონკურენტუნარიანნი და მაშასადამე, წარმატებულნი, ცდილობენ ინოვაციები დანერგონ კომპანიაში, რადგან ეს უკანასკნელი არის წარმატების გარანტი. აღსანიშნავია ისიც, რომ ინოვაციების დანერგვის რესურსებს უნდა ფლობდეს კომპანია; არსებობს ე.წ. „ინოვაციური მახე“ რომელშიც ხშირად საკმაოდ წარმატებული ფირმა ხვდება. საქმე ისაა, რომ ფირმებს არ სურთ კონკურენტებს ჩამორჩნენ და ამისთვის ცდილობენ ის ინოვაციური ტექნოლოგიები დანერგონ, რაც მათ კონკურენტებს აქვთ. თუმცა, ეს ხშირად გაუაზრებლად კეთდება, შედეგი კი არის ის, რომ იხარჯება საკმაოდ დიდი თანხა, მისი გამოყენების ეფექტი კი არ არის დიდი, რაც საბოლოოდ შედეგს ვერ აღწევს და ფირმები წინ ვერ მიდიან. გამომდინარე აქედან, ფირმამ ინოვაციურობას იმ დოზით უნდა მიმართოს, რისი შესაძლებლობაც მას აქვს. გარდა ამისა, სხვადასხვა ფირმისთვის ინოვაციურობა ერთიდაიგივე არაა, ისინი განსხვავებულია მათი ფუნქციიდან გამომდინარე და შესაბამისად, ინოვაციების დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით ხდება.



საინტერესოა ისიც, თუ რა აქვთ ინოვაციურ კომპანიებს საერთო ინოვაციურობის მიღწევის კუთხით, ზოგი ასეთად თვლის ტექნოლოგიური მხარეს, მაგრამ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რაც უფრო განსხვავებული სფეროში ფუნქციონირებენ ფირმები განსხვავებულია მათი ინოვაციურობის მიღწევის გზები, პასუხი არის ცალსახა – ადამიანური რესურსები.

### კომპანიათა ინოვაციურობის ძირითადი ფაქტორები

საერთაშორისო აუდიტურმა კომპანია KPMG-მ გამოაქვეყნა 11 მთავარი ფაქტორი კომპანიის ინოვაციურობისა, რაც თანამედროვე ბიზნესში აქტუალურია და ფირმები ცდილობენ, სწორედ აღნიშნული გზებით განვითარდნენ, სადაც ადამიანთა რესურსებს საკმაოდ დიდი ყურადღება ეთმობა; იგი, პირველ რიგში, ტოპმენეჯმენტის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას და მიიჩნევს, რომ მენეჯერები უნდა ცდილობდნენ ფირმის სტრატეგიის განსაზღვრის დროს ინოვაციები იყოს ინტეგრირებული; მეორე მხრივ, აუცილებელია ტოპმენეჯერებს შესწავდეთ უნარი რისკების მართვისა ისე, რომ მისი არსებობის შემთხვევაში რისკი გარდაქმნან ღირებულების მომტან საშუალებად.

გამომდინარე იქიდან, რომ კავშირებს ორგანიზაციის წინსვლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, აუცილებელია თანამშრომელთა წახალისება შიგა და გარე კავშირების შექმნისა და მართვისკენ; თანაც, ურთიერთობის გაძლიერება გარე პარტნიორებთან (მომწოდებლები, მრჩეველები). საქმე ისაა, რომ თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან ინოვაციურობის ერთდერთი წინაპირობაა. ამის გათვალისწინებით, კომპანიებმა უნდა განიხილონ რამდენად შესწევთ მათ თანამშრომლებს კავშირების გაძლიერება.

ყურადღებას იმსახურებს ბარიერები, რომელიც თანამშრომლებისთვის სამუშაო პროცესში გვევლინება ერთდერთ ხელისშემშლელ ფაქტორად კომპანიის წინსვლასა და განვითარებაში. აუცილებელია, სამუშაო პროცესი იყოს არა ვინროდ შემოფარგლული, არამედ თავისუფალი, ეს კი ნებისმიერ თანამშრომელს მისცემს საშუალებას თვითონაც შეიტანოს წვლილი კომპანიის ინოვაციურობაში. კრეატიულობა მაშინ იჩენს თავს, როცა თანამშრომლები უსაფრთხოდ, დაცულად გრძნობენ თავს, როცა მათ აქვთ საშუალება გამოხატონ თავიანთი აზრი ნებისმიერი საკითხის შესახებ სამსახურში, გამოთქვან ახალი იდეები (რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს ის), ამიტომ, უნდა იყოს შესაბამისი დამოკიდებულება ადამიანთა რესურსების სპეციალისტებისგან, რომელთაც უნდა იზრუნონ მათ მოტივაციაზე, ასევე აუცილებელია შესაბამისი სტრუქტურის არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება იდეების გამოხატვა და მოხდება მისი გავრცელება. მაგალითად, საქართველოში არსებული

საკონსულტაციო კომპანიადსინერჯი ჯგუფი, რომელმაც ძალიან ბევრ ორგანიზაციას სტრუქტურა შეუცვალა, მიიჩნევენ, რომ უმეტეს ორგანიზაციებში უდიდესი პრობლემა იყო ისეთად აგებული სტრუქტურა, სადაც თანამშრომელთა ესა თუ ის მოსაზრება ვერ აღწევდა მენეჯერებამდე, ის რჩებოდა გარკვეულ მცირე ჯგუფში, მიუხედავად ამ იდეის კრეატიულობისა. პრობლემა, რომელიც ტოპდმენეჯმენტიდან მოდის ადამიანთა რესურსების სპეციალისტებთან ერთად, საჭიროა გააქტიურდეს ნებისმიერ სამსახურში, რადგან აღნიშნული დამოკიდებულება აფერხებს განვითარებას.

შემდეგ, აქცენტი კეთდება ხედვის არსებობის აუცილებელობაზე ნებისმიერ თანამშრომელში. კომპანიაში ჯანსაღი მდგომარეობაა, თუ თანამშრომლები ფიქრობენ მის მომავალზე, შედეგებზე, მაგალითად, რამდენად ხშირად განიხილება ტოპდმენეჯერთა მიერ ორგანიზაციის მომავალი ან/და არიან თუ არა დაბალი დონის მენეჯერები ამ განხილვაში ჩართულნი. როდესაც თანამშრომლებს აქვთ წარმოდგენა რა ხდება მათ სამსახურში, რა ცვლილებები იგეგმება მომავალში, ისინი შესაბამისად აღიქვამენ სტრატეგიულ და ტაქტიკურ კონკურენტებს და მზადა არიან კონკურენციისთვის.

ითვალისწინებს რა კომპანიის განვითარებისთვის მოქნილი პროცესის აუცილებელობას, KPMG გვთავაზობს, არსებობდეს ინოვაციურობის ხელშემწყობი პროცესი; თანამშრომლების გადამზადება უნდა მოხდეს ამ პროცესში ჩართვისათვის. დღევანდელ დინამიურ სამყაროში კი მუდმივად უნდა გადაიხედოს და, შესაბამისად, განახლდეს აღნიშნული პროცესი. ამავე დროს, თუ კომპანიას სურს იყოს ნოვატორი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი მეთოდოლოგია შერჩეული. რა არის ეს რეალურად? –სხვა არაფერი, თუ არა ისეთი გარემოს არსებობა, რომელიც თანამშრომელთა იდეების გამოვლენისკენაა მიმართული.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი ე.წ. პორტატიული საზღვრების სახელითაა ცნობილი, სადაც აქცენტი გაკეთებულია იმაზე, თუ რამდენად მოქნილია ორგანიზაცია იმისათვის, რომ გარე თანამშრომლობაზე გააკეთოს აქცენტი, წარმოაჩინოს შესაბამისად თავი, ყურადღება მიიპყროს დარგის სპეციალისტებისა და შესაბამისი დარგით დაინტერესებული ადამიანების მხრიდან. ყურადღება უნდა გამახვილდეს სოციალური მედიისა და ადამიანების ინტერესის გაღვივებაზე. აქ ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის ინფრასტრუქტურა (შენობა, განლაგება, ობიექტები...) რამდენად შეუწყობს ხელს თანამშრომლობას.

ასევე, ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო ფაქტორად მიჩნეულია ღია საუბრები. კომპანია, სადაც თანამშრომლები ღიად საუბრობენ განსახილველ საკითხებზე, არ აქვთ ბარიერები იდეის გამოთქმისა და მათი მოსმენის კუთხით, აქვთ მოტივაცია უკეთეს იდეებზე იფიქრონ. თანამშრომლები ამ დროს ძალიან

დიდ როლს თამაშობენ. პასუხისმგებლობა ტოპ-მენეჯერებს ანევთ, რადგან მათ ევალებათ თანამშრომლებს შეუქმნან ისეთი გარემო, რომ მზად იყვნენ გახსნილი, ღია განხილვებისთვის, გამოხატონ თავიანთი პრეტენზიები, უკმაყოფილება, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მას უმეტესობა. ამავე დროს, აუცილებელია გამჭვირვალე, მიუკერძოებელი იყოს ასეთი განხილვები და სიტუაციის შეფასებები.

მნიშვნელოვანია, რომ კომპანია არასოდეს არ გაჩერდეს, არ დაკმაყოფილდეს წარმატებით. უფრო მეტიც: აუცილებელია გრძელვადიანი მიზნების გადახედვა და შედარება მათ ამბიციებთან, სურვილთან თუ როგორი უნდა იყოს მათი ბიზნესი. პარალელურად, კონკურენტების შესწავლა უნდა ხდებოდეს. აუცილებელია, ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ გარდაქმნა მოხდეს საუკეთესო კომპანიად, რომელიც მუდმივად უნდა პასუხობდეს ახალ გამოწვევებს. ამისთვის, პირველ რიგში, თანამშრომლები უნდა იყვნენ მზად, შემდეგ – აღნიშნული კომპანიის ქმედებები გრძელვადიან მიზნებთან უნდა იყოს თანხვედრაში.

უდავოა, რომ ადამიანთა რესურსების მენეჯერებმა ხელი უნდა შეუწყონ კომპანიის წინსვლას. ამისთვის კი მათ პრიორიტეტი უნდა გააკეთონ განსხვავებულ, კრეატიულ თანამშრომლებზე და დანერგონ ნახალისების სისტემა მათთვის; აღნიშნული, რა თქმა უნდა, ადამიანთა რესურსების მენეჯერის ფუნქციაა; საქმე ისაა, რომ ასეთი ტიპის ადამიანები მნიშვნელოვანი ფასეულობაა კომპანიისთვის და უნდა არსებობდეს მათთვის სამოტივაციო სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ, რათა მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი, რაც კომპანიის წინსვლის საწინდარია.

უმნიშვნელოვანესია კრახისადმი ორგანიზაციაში არსებული დამოკიდებულება. წარმატებას ვერ მიაღწევს ვერც ერთი კომპანია, თუ ადამიანთა რესურსების მენეჯერს არ აქვს შემუშავებული დასჯისა და დაჯილდოვების სისტემა, თუ არაა წინასწარ გათვლილი შეცდომების აღიარების მექანიზმები, ვინ არის მათზე პასუხისმგებელი და ა.შ. კომპანიის მუდმივად განვითარებისთვის, აუცილებელია წარსულში დაშვებული შეცდომების გაანალიზება – რატომ მოხდა, რამ გამოიწვია, ვისი შეცდობით და ამის შემდეგ იფიქროს რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ შეცდომა აღარ განმეორდეს. მეორე მხრივ, კომპანიის მარცხი გარკვეული კუთხით უნდა იყოს ახალი შესაძლებლობების დანახვის საშუალება, რაც მომავალში წარმატებას მოუტანს ორგანიზაციას; ნებისმიერ წარმატებულ კომპანიას გარკვეული შეცდომები დაუშვია და მათი სიძლიერე კი სწორედ ასეთ სიტუაციებში სწორი მიდგომა იყო.

დაბოლოს, კომპანიაში ისეთი გარემო უნდა იყოს, რომ ყველას საქმე ემსახურებოდეს განვითარებას, ინოვაციურობას, რაც შესაბამისად უნდა იქნეს დაფასებული. საჭიროა აქტიურად განიხილებოდეს ინოვაციური საკითხები ორგანიზაციის ბრიფინგებსა და ყოველდღიურობაში, ხოლო ინოვატორები

დიდ მხარდაჭერას უნდა გრძნობდნენ კოლეგებისა და მენეჯერების მხრიდან, რაც, როგორც მის, ასევე, სხვების მოტივაციაზეც აისახება, აღნიშნული კი მათი წინსვლის საშუალებაა [1, გვ. 9–12].

ფაქტია, ინოვაციურობა და კონკურენტული უპირატესობა ადამიანთა რესურსების დეპარტამენტის მთავარ ფუნქციად გვევლინება, რადგან მის მიერ გატარებული ღონისძიებები კომპანიის წარმატებაზე პირდაპირ აისახება; დღეს წარმატება კი ინოვაციურობის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე მსოფლიოში წარმატებულ ბიზნესმენტა უმეტესობა მთავარ გამოწვევად ადამიანთა რესურსებსა და ინოვაციურობას მიიჩნევს, მათ შორის კი არის კავშირი, რომელიც აუცილებელია დანახულ იქნეს ორგანიზაციის მენეჯერთა მხრიდან.

თანამედროვე ბიზნესში დიდია ინოვაციურობის მნიშვნელობა, ამისთვის კი ფირმები უამრავ რესურსს ხარჯავენ, სულ უფრო და უფრო ამახვილებენ ყურადღებას ინოვაციურობის მიღწევაში ადამიანთა რესურსების დეპარტამენტის როლზე. პრობლემა კი ისაა, რომ ადამიანთა რესურსების პროფესიონალთა მხოლოდ 20%-ია ჩართული კომპანიის ინოვაციურობაში, მაშინ როცა მათი როლი უმნიშვნელოვანესია აღნიშნულში [2].

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ადამიანთა რესურსების როლი ინოვაციურობაში, რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა და შემდეგი ქმედებებია საჭირო:

- აუცილებელია არსებობდეს საინოვაციო პროცესის საბაზისო გეგმა და ფილოსოფია;
- ყველა თანამშრომელს, მიუხედავად მისი პოზიციისა, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა იყოს ნოვატორი, რისთვისაც შესაბამისი გარემოა არსებობა საჭირო;
- აუცილებელია, სხვადასხვა პროექტის არსებობა, რომელიც საქმის უკეთ გააზრების და ახალი აზრის დაბადების შესაძლებლობას მისცემს თანამშრომელს;
- დიდი მნიშვნელობა აქვს რისკ-მენეჯმენტის კუთხით გადაგმულ ნაბიჯებს, თანამშრომლები არ უნდა ფიქრობდნენ რისკების თავის არიდებაზე იმის გამო, რომ შეიძლება მარცხი განიცადონ;

ითვალისწინებს რა აღნიშნულ ტენდენციებს ქართველი საზოგადოება, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება იგეგმება მომავალში. დღეისათვის კი მიღწევად შეგვიძლია მივიჩნიოთ სულ რაღაც ერთი წლის წინ შექმნილი მაღალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი, რომელიც შექმნის ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს შეუწყობს ინოვაციური იდეების

განვითარებას საქართველოში. აღნიშნულმა წაახალისა ადეკვატური კვლევებისადმი დაინტერესება და მოამგვალში შესაძლებელი იქნება კვლევებზე დაყრდნობით მსჯელობა აღნიშნულ პროცესზე.

გამომდინარე ბოლო პერიოდის ტენდეციებიდან, ადამიანისეული რესურსების მენეჯერებმა უნდა გააცნობიერონ თუ რამდენად დიდია მათი პასუხისმგებლობა ორგანიზაციის ინოვაციურობაში.

#### ლიტერატურა:

1. Bolton R; (2013), HR as a driver for Organizational Innovation, KPMG cutting through complexity.
2. Barry J., Kevin D., (2010), The Global Innovation 1000 “How the top Innovators Keep Winning. Issue 61.
3. Zahari A., Pawanchik A., Sulaiman S., (2014), Does HR matter in innovation? Is there innovation in HR?, Organization & Culture, Reports.
4. The Conference Board CEO CHALLENGE 2015 <http://employeeengagement.com/wp-content/uploads/2014/01/2015-CEO-Challenge-Conference-Board-Report1.pdf>

## **The Value of HR in the Formation of Innovative Company**

*Kristine Odishvili*

*Doctoral Student, Tbilisi State University*

In the Article “The value of HR in the Innovative organization” we consider Human Resource as a main factor for organizational innovation. There is accented an interest in two big challenge: Human Resource and Innovation for leaders of modern successful companies. Studies have shown that the determinant of innovation to a large extent is not his financial situation, but also human capital. In the article was considered several issues, which emphasizes the importance of human resources in innovative organization.

Based upon the results of analysis identified problems and the solutions to offer, namely:

- There is necessary the basic plan and the philosophy of the innovation process.
- All employees, regardless of his position, should have the opportunity to be innovative; An environment is required that employees be able to express their ideas, even if it does not sound very well.
- It is necessary, in a variety of projects that contribute to the existence of a better understanding and new ideas.

- Risk management can play very important role, employees should not be thought of in order to avoid hazards due to the risk of failure.

Georgian society is considering the trends in the direction of the measures planned for the future. By that time can be taken a significant step was created of high technologies and innovations development center, which will create an unified ecosystem of innovation and technology and promote the development of innovative ideas in Georgia. Therefore, there is an interest in studies and we can talk about the Georgian experience in the future.

**Keywords:** Human resource management, innovation.

**JEL Classification:** M12, M16, M19.

## ანალიტიკური ინფორმაცია ANALYTICAL INFORMATION

---

### საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური ანალიზი

*შორენა ფარჯიანი*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის  
ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტი*

თანამედროვე მსოფლიოს თითქმის ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (პუი), რამდენადაც ის ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასთან [4]. შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნის 90-იანი წლების II ნახევრიდან პუი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად იქცა. თემის აქტუალურობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პუი-ის ინტენსიური კვლევა და ანალიზი, როგორც მთლიანად მსოფლიოში, ასევე – საქართველოში [3].

სტატიაში განხილულია 1996 წლიდან საქართველოში განხორციელებული პუი, როგორც წლიურ და კვარტალურ დინამიკაში, ასევე, გეოგრაფიული და სექტორული ჭრილით. მონაცემთა ბაზად გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები [1] [2].

**საკვანძო სიტყვები:** პირდაპირი ინვესტორი; ინვესტორი ქვეყანა; ინვესტიციების წილი; სტრუქტურა; საინვესტიციო პოლიტიკა.

### პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წლიური და კვარტალური დინამიკა

1996 წლიდან 2014<sup>1</sup> წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პუი სულ 12776.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის: ყველაზე

---

1 2014 წლის მონაცემები წინასწარია, დაზუსტებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება 2015 წლის აგვისტოში;

მაღალი მაჩვენებელი – 2014.8 მლნ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 15.8%) დაფიქსირდა 2007 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 3.8 მლნ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 0.03%) – 1996 წელს. პუი-ის პირველი მნიშვნელოვანი ნაკადები დაფიქსირდა 1997 წელს - 242.6 მლნ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 1.9%), 1998 წელს - 265.3 მლნ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 2.1%), 2003 წელს – 340.1 მლნ დოლარი (2.7%) და 2004 წელს – 499.1 მლნ დოლარი (3.9%). საწყის ეტაპზე უცხოური კაპიტალის ზრდა განაპირობა ძირითადად ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალზე განხორციელებულმა სამუშაოებმა. 2005 წლიდან საქართველოში განხორციელდა გარკვეული რეფორმები საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ სფეროებში და ზოგადად, საინვესტიციო ბაზარზე შემოსვლის ბარიერების მოხსნის მიმართულებით. გააქტიურდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. შედეგად, უცხოურ ინვესტიციათა ყველაზე მაღალი ნაკადები საქართველოში დაფიქსირდა 2007 წელს. 2008 წლის მეორე ნახევარში, აგვისტოს ომის მოვლენებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა პუი-ს მასშტაბები მინიმუმამდე შეამცირა, შესაბამისად, 2009 წელს 658.4 მლნ დოლარის (5.2%) ინვესტიცია დაფიქსირდა. 2009 წლიდან მოყოლებული საქართველოში განხორციელებული პუი სტაბილური მაჩვენებლით (წელიწადში საშუალოდ 200-300 მლნ აშშ დოლარი) იზრდებოდა, თუ არ ჩავთვლით 2012 წლის კლების მაჩვენებელს, როდესაც წლიურმა პუი-მა 911.6 მლნ დოლარი შეადგინა, კლებაზე მოქმედ მთავარ ფაქტორად კი 2012 წლის წინასაარჩევნო მოლოდინი და პოსტსაარჩევნო განუსაზღვრელობა სახელდება. თუ დავაკვირდებით საანგარიშო პერიოდში პუი-ს ჯაჭვური მეთოდით გადაანგარიშებულ მატების ტემპს, დავინახავთ, რომ დინამიკა ასევე საკმაოდ ცვალებადია (იხ. დიაგრამა 1).

საინვესტიციო ნაკადების დინამიკას 2009-2014 წლებში ასახავს ცხრილი 1. რომლის მიხედვით, 2009 წელს ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა ჯამში შეადგინა 1088 მლნ დოლარი, მათ შორის ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირება<sup>1</sup> შეადგენდა 429 მლნ დოლარს, შესაბამისად, პუი-ს მაჩვენებელი 2009 წელს შეადგენდა 658 მლნ დოლარს. 2010 წელს, წინა წელთან შედარებით, 1303 მლნ დოლარამდე (აბსოლუტური მატება – 2015 მლნ დოლარი) გაიზარდა ინვესტიციების მთლიანი შემოდინების მაჩვენებელი, 489 მლნ დოლარამდე (აბსოლუტური მატება – 60 მლნ დოლარი) გაიზარდა ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირების მაჩვენებელი, შესა-


1 ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხის და პროცენტის თანხის გადახდა;



ბამისად, პუი 2010 წლისათვის შეადგენდა 815 მლნ დოლარს<sup>1</sup>. 2011 წელს წინა წელთან შედარებით ინვესტიციების შემომავალი ნაკადები გაიზარდა 1596 მლნ დოლარამდე (აბსოლუტური მატება – 293 მლნ დოლარი), აღნიშნულ პერიოდში 11 მლნ დოლარით ნაკლები ვალდებულების შემცირება დაფიქსირდა და შეადგინა 478 მლნ დოლარი, შესაბამისად, პუი-ს რაოდენობა შეადგენდა 1117 მლნ დოლარს. 2012 წლის მონაცემებით, ინვესტიციების მთლიანი შემოდინების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირდა და შეადგინა 1430 მლნ დოლარი (აბსოლუტური მატება - -166 მლნ დოლარი), ამასთან, 518

დიაგრამა 1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 1996-2014 წწ.**  
(მლნ დოლარი; %-ჯაჭვური მატების ტემპი) [1]



მლნ დოლარამდე გაიზარდა ინვესტიციების მიმართ ვალდებულების შემცირების მაჩვენებელი (მატება – 40 მლნ დოლარი), შესაბამისად, შემცირდა პუი-ს მაჩვენებელი აღნიშნულ პერიოდში და შეადგინა 912 მლნ დოლარი. 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა, როგორც ინვესტიციების მთლიანი შემოდინების მაჩვენებელი (სულ 2234 მლნ დოლარი; აბსოლუტური მატება – 804 მლნ დოლარი), ასევე ვალდებულების შემცირების მაჩვენებელი (სულ – 1292 მლნ დოლარი; აბსოლუტური მატება – 774 მლნ დოლარი), შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა პუი-ს მატება (სულ 942 მლნ დოლარი). რაც შეეხება 2014 წლის წინასწარ მაჩვენებლებს, აღნიშნულ პერიოდში, წინა წელთან შედარებით, 2198 მლნ დოლარამდე შემცირ-

<sup>1</sup> ცალკეულ შემთხვევაში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

და ინვესტიციების მთლიანი შემოდინება (აბსოლუტური მატება - -36 მლნ დოლარი), შემცირდა ასევე ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირების მაჩვენებელი (აბსოლუტური მატება - -367 მლნ დოლარი), შესაბამისად, 2014 წლის წინასწარი მონაცემებით დაფიქსირდა 1273 მლნ დოლარის პუი.

ცხრილი 1

**საინვესტიციო ნაკადები საქართველოში, 2009-2014 წწ. (მლნ დოლარი) [1]**

	2009	2010	2011	2012	2013	2014
<b>პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ</b>	658	815	1117	912	942	1273

მათ შორის:


**ინვესტიციების მთლიანი შემოდინება**                      1088              1303              1596              1430              2234              2198

**ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება**                      -429              -489              -478              -518              -1292              -925

საინტერესოა საქართველოში განხორციელებული პუი-დან რეინვესტიციის ხვედრითი წონის დინამიკა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2006 წლიდან 2014 წლის წინასწარი მონაცემების ჩათვლით, სურათი შემდეგნაირია (იხ. დიაგრამა 2): 2006 წელს რეინვესტიციებს ეკავა პუი-ს 5.4% და შეადგენდა 64 მლნ დოლარს, 2007 წელს იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 49 მლნ დოლარს (წლიური პუი-ის 2.4%-ს), 2008 წელს – 76 მლნ დოლარს (4.9%), 2009 წელს დაფიქსირდა რეინვესტირების უარყოფითი ნიშნული და შეადგინა -55 მლნ დოლარი. 2010 წელს შესაბამისი მაჩვენებელი გაიზარდა 229 მლნ დოლარამდე (28.1%), ხოლო 2011 წელს – 336 მლნ დოლარამდე (30.1%), რაც რეინვესტირების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია მოცემულ პერიოდში. 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა რეინვესტიციების კლება და თანხობრივად შეადგინა 120 მლნ დოლარი (13.2%). 2013 წელს 268 მლნ დოლარამდე მოიმატა აღნიშნულმა მაჩვენებელმა (28.5%), ხოლო 2014 წლის წინასწარი მონაცემებით, რეინვესტიციის მაჩვენებელმა შეადგინა 266 მლნ დოლარი, რაც წლიური პუი-ს 20.9%-ია.

დიაგრამა 2

**რეინვესტიციის მაჩვენებელი მთლიან პუი-ში, 2006-2014 წწ.**  
(მლნ დოლარი; %-რეინვესტიციის ხვედრითი წონა) [1]




განვიხილოთ საქართველოში განხორციელებული პუი-ს დინამიკა კვარტალური ძრილით: 2005 წლის I კვარტლიდან 2014 წლის IV კვარტლის ჩათვლით, პუი-ს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წლის IV კვარტალში (703 მლნ - წლიური მაჩვენებლის 35%), შემდეგ, 2008 წლის II კვარტალში (605 მლნ - წლიური მაჩვენებლის 39%) და 2008 წლის I კვარტალში (538 მლნ - წლიური მაჩვენებლის 34%). 2008 წლის შემდეგ პუი-ის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წლის III კვარტალში (508 მლნ - წლიური მაჩვენებლის 40%). აღნიშნული მკვეთრი ზრდა ძირითადად განაპირობა ჩინური ინვესტიციის დიდი ნაწილის მიღებამ სამშენებლო სექტორში (ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის - "თბილისი 2015" - საცხოვრებელი შენობების მშენებლობა). რაც შეეხება კვარტალური ძრილით ინვესტიციათა ყველაზე დაბალ ნაკადებს, 2008 წლის III კვარტლის შემდეგ (135 მლნ - წლიური მაჩვენებლის 9%), პუი-ის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2009 წლის I კვარტალში (114 მლნ - წლიური მაჩვენებლის 17%) და 2014 წლის II კვარტალში (151 მლნ - წლიური მაჩვენებლის 12%) (იხ. დიაგრამა 3). 2008-2009 წლების კონკრეტულ კვარტლებში დაფიქსირებული დაბალი საინვესტიციო ნაკადები ცალსახად უკავშირდება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომსა და მსოფლიო ფინანსურ კრიზისს. რაც შეეხება 2014 წლის II კვარტალში პუი-ის დაბალ მაჩვენებელს, ძირითადად უნდა დავუკავშიროთ საფინანსო სექტორში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ: თიბისი ბანკის ლონდონის საფონდო ბირჟაზე გასვლის შემდეგ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა თიბისი ბანკში თავისი წილის მნიშვნელოვანი ნაწილი

გაყიდა იმ ინვესტორებზე, რომლებიც აქციების 10%-ზე ნაკლებს ფლობდნენ. ამ ოპერაციით პუი-ის ნაწილი გადაკლასიფიცირდა პორტფელის ინვესტიციად, შესაბამისად, შემცირდა პუი-ს მაჩვენებელი. იმავე პერიოდში, თიბისი ბანკმა უცხოელი ინვესტორისაგან შეიძინა ბანკი „კონსტანტა“-ს აქციათა 80%. ამ ოპერაციით უცხოელი ინვესტორი ჩაანაცვლა ქართულმა კომპანიამ, შესაბამისად, შემცირდა პუი-ის მაჩვენებელი აღნიშნულ პერიოდში.

დიაგრამა 3


პუი კვარტალური ქრილით, 2005-2014 წწ.  
(მლნ დოლარი) [1]



### პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გეოგრაფია

საქართველოში განხორციელებული პუი ინვესტორი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირია: 1996 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან განხორციელებული პუი-ის ჯამურმა მაჩვენებელმა შეადგინა 5326.2 მლნ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 41.7%), დსთ-ის ქვეყნებიდან შემოვიდა 1841.1 მლნ დოლარის ინვესტიცია (14.4%), მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან შემოსულმა საინვესტიციო ნაკადებმა შეადგინა 5368.5 მლნ დოლარი (42.0%). საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შესრულებული პუი იყო 229.6 მლნ დოლარი (1.8%), ხოლო 11.0 მლნ დოლარის (0.1%) პუი-ის წარმოშობის ქვეყანა უცნობია (იხ. დიაგრამა 4).

**პუი-ის განაწილება ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, 1996-2014 წწ.  
(მლნ დოლარი) [1]**




1996-2014 წლებში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყო: ნიდერლანდები (1327.6 მლნ), აშშ (1306.6 მლნ), გაერთიანებული სამეფო (1275.8 მლნ), აზერბაიჯანი (1003.6 მლნ), თურქეთი (1003.5 მლნ), არაბეთის გაერთიანებული ემირატები (704.9 მლნ), ვირჯინიის კუნძულები, ბრიტანეთი (582.5 მლნ), რუსეთი (538.7 მლნ), ჩეხეთი (455.2 მლნ), გერმანია (376.9 მლნ), ჩინეთი (365.2 მლნ), ლუქსემბურგი (346.3 მლნ), დანია (324.9 მლნ), კვიპროსი (303.4 მლნ), ყაზახეთი (264.0 მლნ) (იხ. დიაგრამა 5).

შეგვიძლია დინამიკაში გავშალოთ ხუთი უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნის (მათზე მოდის პუი-ის საერთო მაჩვენებლის 46.3%) მიერ განხორციელებული ინვესტიციები: ნიდერლანდებიდან შემოსული პუი-ის მნიშვნელოვანი ნაკადები დაფიქსირდა 2007-2008 წლებში, თუმცა, ამ ქვეყნიდან შემოსული პუი-ის მოცულობა ყველაზე მაღალი იყო 2014 წლის წინასწარი მონაცემებით (331.2 მლნ); აშშ-დან განხორციელებული ინვესტიციების მაღალი ნაკადი დაფიქსირდა ჯერ კიდევ 1997 წელს, აღნიშნულმა მაჩვენებელმა ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია 2006 წელს (182.7 მლნ); 2006 წელს ასევე ყველაზე მაღალი იყო გაერთიანებული სამეფოდან განხორციელებული პუი (186.8 მლნ); აზერბაიჯანიდან შემოსული საინვესტიციო ნაკადების მოცულობა ყველაზე მასშტაბური იყო 2014 წელს (302.1 მლნ); თურქეთის რესპუბლიკიდან პუი ყველაზე მსხვილი ოდენობით განხორციელდა 2008 წელს (164.5 მლნ) (იხ. დიაგრამა 6).


დიაგრამა 5

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში, 1996-2014 წწ.  
(მლნ დოლარი; %-ხვედრითი წონა მთლიან ინვესტიციებში) [1]



დიაგრამა 6

სუთი უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნიდან მიღებული ინვესტიციების დინამიკა [1]




## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით

საქართველოში განხორციელებული პუი-ს სექტორული ჭრილით გაშლის შესაძლებლობა მხოლოდ 2007 წლიდან გვაქვს. 2007 წლიდან 2014 წლის წინასწარი მონაცემების ჩათვლით, პუი-ს ჯამური მაჩვენებლები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე გადანაწილდა: საერთო მაჩვენებლის 20% ეკავა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს; 15% - ენერგეტიკის სექტორს; დამამუშავებელი მრეწველობის სექტორს ასევე 15%; 11-11% მოდიოდა უძრავ ქონებას<sup>1</sup> და დანარჩენ სექტორებზე<sup>2</sup>; 10% იყო საფინანსო სექტორის<sup>3</sup> წილი; 8% - მშენებლობის; 6% - სასტუმროების და რესტორნების; 3% - სამთომპოვებითი მრეწველობის; 1% - სოფლის მეურნეობის და თევზჭერის სექტორი (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით (2007-2014 წწ.) [1]



- 1 ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;
- 2 ვაჭრობა; განათლება; კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება;
- 3 საფინანსო სექტორის მონაცემები 2009 წლიდან მოიცავს საბანკო, მიკროსაფინანსო და სადაზღვევო ორგანიზაციებში განხორციელებულ პუი-ის მონაცემებს.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორების მიხედვით, 2007-2014 წ. (მლნ დოლარი) [1]

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
<b>სულ</b>	<b>2014.8</b>	<b>1564.0</b>	<b>658.4</b>	<b>814.5</b>	<b>1117.2</b>	<b>911.6</b>	<b>941.9</b>	<b>1272.5</b>
<b>მათ შორის:</b>								
<b>სოფლის მეურნეობა</b>	15.5	7.8	22.3	8.6	14.9	16.1	11.9	19.1
<b>თევზჭერა სამთომოპოვებითი მრეწველობა</b>	86.2	18.1	15.0	53.4	40.2	4.9	43.7	48.4
<b>დამამუშავებელი მრეწველობა</b>	312.1	188.3	124.8	175.3	120.3	167.9	99.8	174.0
<b>ენერგეტიკა</b>	362.6	294.9	-2.1	21.9	204.0	179.4	244.7	98.7
<b>მშენებლობა</b>	171.9	56.7	105.2	4.7	48.1	41.8	49.8	295.0
<b>სასტუმროები და რესტორნები</b>	242.1	181.9	37.5	17.1	22.7	17.7	-13.4	39.7
<b>ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება</b>	416.7	422.7	98.4	215.1	126.5	72.8	140.1	343.4
<b>უძრავი ქონება</b>	30.5	277.8	147.4	119.3	224.8	52.8	42.3	87.0
<b>საფინანსო სექტორი</b>	157.7	10.9	49.7	107.4	167.7	162.6	166.4	78.1
<b>დანარჩენი სექტორები</b>	219.1	104.2	59.8	90.4	131.2	178.0	155.8	88.3

